მაია ოთიაშვილი ია გაბუნია

მუსიკა

და

ბავშვები

მასწავლებლის წიგნი

3



წყაროსთვალი

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება:

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა;

ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა:

მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო;

გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი:

დღეს, როდესაც ადამიანისათვის მისაწვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, მისი ეფექტიანად გამოყენების უნარი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მოზარდს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასებაც შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით, დასახული მიზნებისათვის მისი გამოყენების ფორმების განსაზღვრა; ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გასაუმჯობესებლად;

დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება:

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევები;

ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე:

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს მოზარდის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად;

ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების

განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;

სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება; მოზარდი მზად უნდა იყოს არჩევანი გააკეთოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის;

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან:

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები, მათ შორის იმათ, ვისთვისაც საქართველოს სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის;

თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე:

დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების

ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება.

მაია ოთიაშვილი ია გაბუნია

მუსიკა და ბავშვები

მასწავლებლის წიგნი

III კლასი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს მიერ 2018 წელს

წყაროსთვალი
2018

ავტორები
მაია ოთიაშვილი
ია გაბუნია

მუსიკალური რედაქტორები
ირინე მიქაძე
ლევან მიზანდარი

ეთნომუსიკოსი
ნანა ვალიშვილი

ლიტერატურული რედაქტორები
მარინა ნონიკაშვილი
თამარ ფაშალიშვილი

მხატვარი
თინათინ მღებრიშვილი

ყდის დიზაინი
ია გაბუნია

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ზაზა გელაშვილი

აუდიო და ვიდეომასალით, ფონოგრამებითა
და მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამა
LMMS-ით უზრუნველყოფა
მიხეილ ვაწაძე

მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამა
LMMS -ის ინსტრუქცია
მიხეილ ვაწაძე

აუდიო რეჟისორები
მიხეილ კილოსანიძე
მიხეილ ვაწაძე

ფსიქოლოგი
ლია ქურხული

„წყაროსთვალი“

მის: თბილისი, გარე-კახეთის ქ. 4
ტელ: 274 63 69; 227 30 73
599 76 10 39; 599 30 16 84
ვებ-გვერდი: www.tskarostvali.ge
ელ-ფოსტა: tskarostvali@gmail.com

© „წყაროსთვალი“ 2018
© მაია ოთიაშვილი
© ია გაბუნია

ISBN 978-9941-9295-2-6

Maia Otiashvili
Ia Gabunia
MUSIC AND CHILDREN
2018 © “Tskarostvali“

სარჩევი

წინათქმა 5
მუსიკის სტანდარტი 6
მუსიკის წლიური პროგრამა 11
სტრატეგია და ზოგადი მეთოდური რეკომენდაციები 14
შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები 15
რა არის მუსიკა? 18
გარე სამყარო მუსიკაში
პლანეტების მუსიკა..... 19
მხიარული ნოტები..... 21
დო, რე, მი..... 22
გარე სამყარო მუსიკაში; თემა: ქალაქის ხმები
ქალაქის ხმები – 1..... 28
ქალაქის ხმები – 2..... 30
ქალაქის საათები..... 37
სად ცხოვრობენ „მხიარული ნოტები“?..... 39
„მზეო თიბათვისა“..... 41
ქალაქის ხმები – 3..... 42
ვიოლინოს გასაღები..... 43
მუსიკა და ნაბიჯები..... 48
ქალაქის ხმები – 4 – **შემაჯამებელი გაკვეთილი** 49
შემოდგომის დღესასწაული – **შემაჯამებელი გაკვეთილი** 50
გარე სამყარო მუსიკაში; თემა: მუსიკალური გასეირნება ქალაქში
ატრაქციონები..... 53
მხიარული ნოტი მი..... 54
მი ოსტინატო 56
საახალწლო სიმღერა..... 57
გასეირნება ცირკში 60
ეთნოგრაფია და მუსიკა; თემა: სხვადასხვა ხალხის ხალხური მუსიკა
„კირია ლესა“..... 62
ლარჭემი..... 65
მხიარული ნოტი – სოლ 67
სოლ – ოსტინატო 70
ეთნოგრაფია და მუსიკა; თემა: სხვადასხვა ხალხის ხალხური მუსიკა
მესხური „მზე შინა“..... 71
სტუმრად „ბასტი-ბუბუს“ სტუდიაში 73
მუსიკა ყინულზე 75
მხიარული ნოტი – სი 76

სი – ოსტინატო 78
საახალწლო სიმღერები – **შემაჯამებელი გაკვეთილი** 79
გასეირნება ზოოპარკში – **შემაჯამებელი გაკვეთილი** 81
ერთად ვიმღეროთ გუნდში 82
მხიარული ნოტი – „დო“ 87
დო – ოსტინატო 101
ეთნოგრაფია და მუსიკა; თემა: სხვადასხვა ხალხის ხალხური მუსიკა
უჩა ბიჭი 88
მხიარული ნოტი – „რე“ 90
რე – ოსტინატო 92
ედელვაისი 93
პატარა მუსიკოსები 97
მხიარული ნოტი – „ფა“ 98
ფა – ოსტინატო 102
პატარა ლუი 106
მხიარული ნოტი – „ლა“ 107
ლა – ოსტინატო 109
ეთნოგრაფია და მუსიკა; თემა: სხვადასხვა ხალხის ხალხური მუსიკა
სტუმრად „ამერ-იმერთან“ 110
„ჩაკრულო“ 112
მხიარული ნოტი – „დო“ 113
დო – ოსტინატო 116
თოლია 118
ინტონაცია საუბრის დროს 122
„დო“-დან... „დო“-მდე – **შემაჯამებელი გაკვეთილი** 124
კლავიატურა 127
მუსიკა და ჩვენი ყოფა; თემა: ჩემი ცხოვრების ერთი დღე
ჩემი ცხოვრების ერთი დღე – 1 128
უსინათლო დირიჟორი 130
მხიარული დღე 131
ჩემი ცხოვრების ერთი დღე – 3 132
ჩემი ცხოვრების ერთი დღე – 4 134
მოვიარე სიმღერით – **შემაჯამებელი გაკვეთილი** 135
„ჩიტი და მელა“ ბლიც-ოპერა – **შემაჯამებელი გაკვეთილი** 136
III კლასის შემაჯამებელი გაკვეთილების შეფასების კრიტერიუმები 153
ფსიქოლოგიური დასკვნა 155
LMMS-ის ინსტრუქცია 157
ელექტრონული რესურსების სია 161
მუსიკალური ლექსიკონი 166

წინათქმა

I კლასში გავეცანით და გავიაზრეთ სამი დიდი თემა: ხმების მრავალფეროვნება, ყოფითი საგნები მუსიკაში და თამაშები მუსიკაში. ბავშვების ყურადღება გავამახვილეთ საგნის ხმა-ბგერებზე, ხმაურზე, ბგერის თვისებებზე, ხარისხზე, რიტმსა და მეტრზე. ბავშვებმა შეძლეს ამოეცნოთ და გაერჩიათ სხვადასხვა საგნის ხმა-ბგერები და აეჟღერებინათ საგნები. მათი ხმა-ბგერები გამოიყენეს მრავალფეროვან რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებში, სიმღერებში, ცეკვებში, თამაშებში. კლასში შექმნეს „დასარტყამ საკრავთა ორკესტრი“. ისწავლეს მრავალი საბავშვო თუ ხალხური სიმღერა და ამ „ორკესტრის“ თანხლებით შეასრულეს ისინი. მუსიკალურად გააფორმეს ზღაპრები. პირველად შეეხნენ მუსიკალურ კომპიუტერულ პროგრამას LMMS, სადაც ააჟღერეს სხვადასხვა საგნის ხმა-ბგერები და შექმნეს პატარა მუსიკალური კომპოზიციები. წლის ბოლოს, იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით, წარმოადგინეს თამაში-სპექტაკლი „სკოლობანა“, რითაც ერთგვარად განამტკიცეს და შეაჯამეს ნასწავლი მასალა და მოემზადნენ II კლასისათვის.

II კლასი მოიცავდა შემდეგ თემებს: ცხოველები მუსიკაში, ბუნებრივი მოვლენები, დღესასწაულები. აქაც, როგორც I კლასში, ვუსმენდით და ვაკვირდებოდით გარესამყაროში გაბნეულ ხმა-ბგერებს, ხმაურს, ბუნებრივსა თუ ხელოვნურს, ვუკავშირებდით ინტონაციას, მოძრაობას, ამბავს. ბავშვები უსმენდნენ ფრინველების, ცხოველების, ბუნებრივი მოვლენების ხმა-ბგერებს, ხმით ბაძავდნენ მათ, აჟღერებდნენ LMMS პროგრამაში და ქმნიდნენ პატარა მუსიკალურ კოლაჟებს. ამ ხმა-ბგერებსა და ხმაურს უკავშირებდნენ და განასხვავებდნენ ერთმანეთისგან და ინტონაციით ჰყვებოდნენ პატარა ისტორიებს. მთელი წლის განმავლობაში ბავშვებმა გაითამაშეს სამი ზღაპარი: „ჩიჩილაკი“, „წითელქუდა“ და „დათუნია დრუნჩა“. დაეუფლნენ ახალ უნარ-ჩვევას – მუსიკალური გამფორმებელი. ისინი ათამაშებდნენ თოჯინებს თოჯინურ სპექტაკლში და თან მუსიკალურად აფორმებდნენ.

III კლასი მოიცავს შემდეგ თემებს: გარე სამყარო მუსიკაში: ქალაქის და სოფლის ხმები, მუსიკალური გასეირნება ქალაქში და სოფელში; მუსიკა და ჩვენი ყოფა – ჩემი ცხოვრების ერთი დღე.

როგორც I და II კლასში, აქაც ბავშვები ყურადღებით უსმენენ და აკვირდებიან გარე სამყაროს: ქალაქის, სოფლის ხმებს, ხმაურს. ამ ხმა-ბგერებისგან ქმნიან პატარა მუსიკალურ კოლაჟებს, ეცნობიან ახალ ცნებას – ოსტინატოს და მის ფონზე აჟღერებენ სხვადასხვა ინტონაციებსა და ხმა-ბგერებს. III კლასში ბავშვები შეისწავლიან სანოტო დამწერლობას. ნოტებს მიუსადაგებენ პლანეტებს, უსმენენ მათ ბუნებრივ ხმოვანებას, გაიაზრებენ და ქმნიან კომპიუტერულ პროგრამა LMMS-ში ორიგინალურ კომპოზიციებს – კოლაჟებს. სასწავლო პროგრამა გაწერილია 72 აკადემიურ საათზე.

სამყაროს ხმები არეულია და შეგვიძლია დავალაგოთ, ნებისმიერი ხმაური ვაქციოთ სრულყოფილებად.

უსმინე სამყაროს ♡ ყურით

მუსიკის სტანდარტი

მუსიკა დაწყებით საფეხურზე

შესავალი

დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებით დიდია მუსიკის, როგორც საგნის მნიშვნელობა, მაშინ, როდესაც ბავშვის თანდაყოლილი, ბუნებრივი უნარები, მიდრეკილებები ჯერ ბოლომდე არ გამოვლენილა და მათ გახსნა, წარმართვა სჭირდება. ამ ასაკში ბავშვს უჭირს მუსიკის აბსტრაქტული სახეების აღქმა და ორიენტირებისთვის მუსიკის აღსაქმელად მას ნაცნობი ხილული ანალოგიები სჭირდება. ამის განხორციელება შესაძლებელია მოსწავლისთვის ნაცნობი აქტივობებით - სიმღერა, ცეკვა, იმპროვიზაცია, თამაში, დაკვირვება და ა. შ., რომლებიც გარემოში არსებული ხილული სახეების მუსიკაში ამოცნობას ისახავს მიზნად. ეს კი, თავის მხრივ, ითვალისწინებს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების ამოქმედებას, ერთობლივ შემოქმედებით პროცესებში მათ ჩართვას.

მიმართულებების აღწერა

მუსიკის სწავლება ორი მიმართულებით იშლება:

1. შემოქმედებითობა და პრაქტიკა;
2. მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია.

სწავლება ორივე მიმართულების ფარგლებში მიმდინარეობს პარალელურად და ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში.

1. შემოქმედობითობა და პრაქტიკა

ამ მიმართულების უშუალო მიზანია მოსწავლის შემოქმედებითი უნარების განვითარება. მოსწავლე ეუფლება გარესამყაროში არსებული მოვლენების, სახეების მუსიკალური გამოხატვის სხვადასხვა ფორმას და გამომსახველობით ხერხს; მას უვითარდება პრაქტიკული უნარები, რაც ხელს უწყობს საკუთარი თავის აღმოჩენაში, გამოხატვასა და განვითარებაში: მღერის, უკრავს, ცდილობს შექმნას მუსიკა - მარტივი მელოდიურ-რიტმული კომპოზიციები. მხატვრული სახის, განწყობილების, ემოციის გადმოცემისას მოსწავლე იყენებს და ეუფლება ხელოვნების სხვა დარგების გამომსახველობით საშუალებებსაც - ცეკვავს, გაითამაშებს თეატრალურ ეტიუდებსა და სცენებს, ხატავს, თხზავს ტექსტს.

ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეს უვითარდება მუსიკალური სმენა და მეხსიერება, რიტმის გრძნობა, რასაც ხელს უწყობს რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები. მეოთხე კლასიდან ამას ემატება იმპროვიზაციული ელემენტები, რითიც შემოქმედებით საწყისს მეტი დატვირთვა ენიჭება. მოსწავლე პრაქტიკულად ეუფლება და იყენებს მუსიკალური ენის ნასწავლ ელემენტებს - განარჩევს და სხვადასხვა ხერხით გამოხატავს ბგერას, მეტრს, ტემპს, რეგისტრს, დინამიკურ ნიუანსებს, იმეორებს და აბოლოებს თანაკლასელის ან მასწავლებლის მიერ წამოწყებულ მელოდიას და ა. შ.. მოსწავლე სწავლობს სიმღერას, ასევე სწავლობს მუსიკალურ დამწერლობას - ამოიცნობს, ჩაწერს და იყენებს ნასწავლ ნიშნებს.

შემოქმედებითი აქტივობების დროს - სიმღერა, დაკვრა, ცეკვა, პრეზენტაცია, სცენის გათამაშება - მოსწავლე წარდგება აუდიტორიის წინაშე, ეჩვევა და უყალიბდება წარდგენის, აუდიტორიასთან ურთიერთობის უნარ-ჩვევა და ეჩვევა საკუთარი ემოციების, ქცევის მართვას. ეს აქტივობები შეიძლება იყოს ინდივიდუალური, როდესაც მოსწავლე პერსონალურადაა პასუხისმგებელი საკუთარ გამოსვლაზე ან ჯგუფური. ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის დროს მოსწავლე ჩართულია შემოქმედებით თანამშრომლობაში, რომლის დროს საკუთარი ემოცია, თვალსაზრისი, ინტერპრეტაცია საერთო ხედვას უნდა შეუთანხმოს. მოსწავლეს უვითარდება პასუხისმგებლობის გრძნობა თანაგუნდელების მიმართ, ყალიბდება კოლექტივის წევრად და არ არღვევს გუნდის (სიმღერა, ცეკვა, ფერხული, სცენის გათამაშება) მთლიანობას.

ამავე მიმართულების ფარგლებში სასურველია მოსწავლე იყენებდეს ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ისტ-ს) - აკეთებდეს აუდიო ჩანაწერს; აუდიო და ვიდეო ინფორმაციის გასაზიარებლად იყენებდეს ინფორმაციის შესანახ მოწყობილობას; აჟღერებდეს ხმას, მუსიკალურ საკრავს ელექტრონულ გარემოში; შეარჩევდეს გამომსახველობით ხერხებს და ფონს მელოდიისთვის; იყენებდეს ჩაწერილ ხმას იმპროვიზაციის პროცესში.

2. მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია

მუსიკა, რომელიც აღიარებულია საკომუნიკაციო ენად, მრავალგვარი და მრავალჯერადი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. მოსწავლე მუსიკის შესახებ მიღებულ ინფორმაციას აკავშირებს გარემოსთან, ყოველდღიურ მოვლენებთან და საკუთარ გამოცდილებასთან, სხვა საგნობრივ დისციპლინებთან. აღიქვამს მუსიკას, როგორც სამყაროს ნაწილს, იკვლევს და აკვირდება ხმის წარმოქმნის წყაროებს; ეჩვევა ხმოვან სამყაროსთან, მუსიკასთან კომუნიკაციას - მუსიკის მოსმენას, მუსიკისა და პერფორმანსის შეფასებას, აზრის ნათლად გამოთქმას, საკუთარი შეხედულების დასაბუთებას კამათის, მსჯელობის დროს შესაფერისი ტერმინოლოგიის გამოყენებით, წიგნიერი ენით და ქცევის ნორმების დაცვით.

კამათისა და მსჯელობის დროს მოსწავლე აცნობიერებს, რომ მუსიკა ყველა დროისა და ხალხის კულტურისა და ყოფის განუყოფელი ნაწილია. ეცნობა და პარალელს ავლებს ეროვნულ და მსოფლიო ხალხთა მუსიკალურ ტრადიციებს შორის. ქართულ ხალხურ საკრავებს აკავშირებს სხვა ერების ხალხურ საკრავებთან. მოსწავლე განასხვავებს ქართულდა მსოფლიო ხალხურ, კლასიკურ და თანამედროვე მუსიკალურ ნაწარმოებებს.

I-IV კლასების სტანდარტი

ა) IV კლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები

ინდექსების განმარტება

დაწყებით საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **მუს.დაწყ.(I).1.:**

„მუს.“ - მიუთითებს მუსიკის საგანს;

„დაწყ.“ - მიუთითებს დაწყებით საფეხურს;

„(I)“ – მიუთითებს, რომ სტანდარტი მოიცავს I-IV კლასებს;

„1“ - მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

მუსიკის სტანდარტი (I-IV კლასები)	
შედეგების ინდექსი	**1. მიმართულება: შემოქმედება და პრაქტიკა**
	სტანდარტის შედეგები მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მუს.დაწყ.(I).1.	გარესამყაროში ბუნებრივად არსებული და ხელოვნურად შექმნილი ხმის, ბგერის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) გამოყენება გარკვეული ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად;
მუს.დაწყ.(I).2.	ხმის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) მეშვეობით გარესამყაროს ასახვა;
მუს.დაწყ.(I).3.	ხმოვანი გზავნილის სხვადასხვა სიმბოლოთი ჩაწერა.
	2. მიმართულება: მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მუს.დაწყ.(I).4.	მოსმენის დროს სახე-ხატების შექმნაში მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) როლის განსაზღვრა;
მუს.დაწყ.(I).5.	ცალკეულ მუსიკალურ ელემენტებს (მაგ.: რიტმს, ტემპს, მელოდიას და ა.შ.), ხმაურსა და ვიზუალურ რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა;
მუს.დაწყ.(I).6.	ხალხური მუსიკის თავისებურებების ამოცნობა.

ბ) შინაარსი

ცნებითი კატეგორიების ჩარჩო და სასწავლო თემები

მუსიკის საგანი ხმოვანი გზავნილის შინაარსის ამოკითხვას მუსიკალურ-გამომსახველობით ელემენტებსა და გარესამყაროში არსებულ სახეებს შორის ასოციაციური კავშირების საშუალებით შეასწავლის. საგნის სწავლება შემდეგი ცნებითი კატეგორიებითა და თემებით წარიმართება:

ცნებები და ტერმინები:

საგნის სწავლა-სწავლების პროცესი უნდა წარიმართოს შემდეგი ცნებების დამუშავების საფუძველზე:

1. მუსიკალური ენის ძირითადი ელემენტები: რიტმი, მელოდია;
2. მუსიკალური ენის არაძირითადი ელემენტები: ტემპი, რეგისტრი, ტემბრი, ფაქტურა;
3. მეტრი: ორწილადი, სამწილადი, ოთხწილადი;
4. ბუნებრივი და ხელოვნურად შექმნილი ხმები;
5. ბგერის თვისებები: სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა, ტემბრი;
6. მელოდიის შემადგენელი ნაწილები: ინტონაცია, მოტივი;
7. საკომპოზიციო ხერხები: რიტმული და მელოდიური ოსტინატო, რიტმული და მელოდიური მონაცვლეობა, კონტრაპუნქტი, მუსიკალური კოლაჟი:

8. მუსიკალური დამწერლობა:
ტრადიციული: ხუთხაზიანი სანოტო სისტემა;
არატრადიციული: შტრიხები, ხაზები, პიქტოგრამები;
9. ხალხური მუსიკის სხვადასხვა ჟანრი: საცეკვაო, სარიტუალო სიმღერები.

მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ცნებების დამუშავება უნდა მიმდინარეობდეს თვალსაჩინო მაგალითების საფუძველზე. მოსწავლე კონკრეტული მაგალითების მეშვეობით გაიაზრებს მათ მნიშვნელობას და გამოიყენებს შესაბამისად. ამ ეტაპზე სასურველია ცნებებისა და მათი განმარტებების თეორიული სწავლება მინიმუმამდე იყოს დაყვანილი.

სავალდებულო თემები I-IV კლასებისთვის:

გარესამყარო მუსიკაში
1. ხმების მრავალფეროვნება (I კლასი);
2. ცხოველები მუსიკაში (II კლასი);
3. ბუნებრივი მოვლენები მუსიკაში (II კლასი);
4. ქალაქის/სოფლის ხმები (III კლასი);
5. მუსიკალური გასეირნება ქალაქში/სოფელში (III კლასი);
6. მუსიკა და ტელევიზია (IV კლასი).

მუსიკა და ჩვენი ყოფა
1. ყოფითი საგნები მუსიკაში (I კლასი);
2. თამაშები მუსიკაში (I კლასი);
3. წვეულებები და დღესასწაულები სახლში და გარეთ (II კლასი);
4. ჩემი ცხოვრების ერთი დღე (III კლასი);
5. მუსიკა და თავისუფალი დრო (IV კლასი).

ეთნოგრაფია და მუსიკა
1. გარესამყაროს ხმები სხვადასხვა ქვეყნის ხალხურ მუსიკაში (I კლასი);
2. სხვადასხვა ხალხის დღესასწაულების მუსიკა (II კლასი);
3. სხვადასხვა ხალხის გართობის ფორმები და მუსიკა (III კლასი);
4. სხვადასხვა ხალხის რიტუალები და მუსიკა (IV კლასი).

მუსიკა და კინო
1. მუსიკის როლი ანიმაციაში და საყმაწვილო კინოში (IV კლასი).

თემები კლასების მიხედვით

III კლასი

თემა	**სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები:** *გრაფაში მოცემული კონკრეტული შეკითხვის პროვოცირება (ანუ მათ მიმართ მოსწავლის ინტერესის გაღვივება და დაფიქრება) მუსიკის საგნის ორი ან მეტი გაკვეთილის მიზანს წარმოადგენს.*	**ცნებები**
გარესამყარო მუსიკაში		
ქალაქის/სოფლის ხმები	როგორ ვითარდება მუსიკალური აზრი სხვადასხვა ხმაურის, მოქმედების გადმომცემი მუსიკალური ინტონაციების, რიტმისა და ტემპის მონაცვლეობით (მაგ.: მელოდიის განვითარება სხვადასხვა ინტონაციის, რიტმისა და ტემპის მონაცვლეობის გზით)? **მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;** როგორ შევქმნათ კოლაჟი ქალაქის სხვადასხვა ხმის, მუსიკალური ინტონაციის, რიტმისა და ტემპის მეშვეობით? **მუს.დაწყ.(I).1, 2;** რა სიმბოლოებით შეიძლება ჩაიწეროს მუსიკალური კოლაჟი, რომელიც ქალაქის ხმაურს გადმოსცემს? **მუს.დაწყ.(I).3.**	რიტმის, ტემპის, მუსიკალური ინტონაციების კონტრასტები; მუსიკალური ინტონაციების, რიტმებისა და ტემპებისგან შედგენილი კოლაჟი
მუსიკალური გასეირნება ქალაქში/სოფელში	რა ხერხებით შეუძლია მუსიკას მოგვითხროს გასეირნების დროს მიღებული სხვადასხვა გამოცდილების შესახებ (მუსიკალური განვითარების უმარტივესი პრინციპები)? **მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;** როგორ გამოვიყენოთ მელოდიური და რიტმული ოსტინატო ქალაქში მოგზაურობის შესახებ მუსიკალური კომპოზიციის შესაქმნელად? **მუს.დაწყ.(I).1, 2;** როგორ ჩავწეროთ მუსიკალური კომპოზიცია? **მუს.დაწყ.(I).3.**	რიტმული და მელოდიური ოსტინატო; კონტრაპუნქტი
მუსიკა და ჩვენი ყოფა		
ჩემი ცხოვრების ერთი დღე	როგორ შეიძლება მუსიკალური ინტონაციებით რაიმე მოქმედების დამახასიათებელი განწყობის გადმოცემა? **მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;** როგორ უნდა შეირჩეს მუსიკალური თანხლება, რომელიც გარკვეულ მოქმედებას რაიმე განწყობას შეუქმნის? **მუს.დაწყ.(I).1, 2;** როგორ შეიძლება სხვადასხვა ხმით და მუსიკალური მასალით შეიქმნას კოლაჟი, რომელშიც რაიმე საქმიანობა/მოქმედება და მისგან გამოწვეული განწყობა იქნება გადმოცემული? **მუს.დაწყ.(I).3.**	რიტმული და მელოდიური ოსტინატო; სხვადასხვა ემოციის გადმომცემი ინტონაციები მელოდიაში; მოტივი, ტემპის მონაცვლეობა, მოტივების მონაცვლეობა, მუსიკალური კოლაჟი, მუსიკალური კომპოზიცია.
ეთნოგრაფია მუსიკაში		
სხვადასხვა ხალხის გართობის ფორმები და მუსიკა	როგორ აისახება გართობის სხვადასხვა ფორმა ხალხურ მუსიკაში? **მუს.დაწყ.(I).4, 5, 6;**	საჭიდაო, საცეკვაო სიმღერები

მუსიკის წლიური პროგრამა

III კლასი

გარესამყარო მუსიკაში

თემა: ქალაქის/სოფლის ხმები

1. სტანდარტის შედეგები (მუსიკის აღქმა კონტექსტში ინტერპრეტაცია)	სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და ძირითადი ცნებები
მუს.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს მოსმენისდროს სახე-ხატების შექმნაში მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) როლის განსაზღვრა; **მუს.დაწყ.(I).5.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ცალკეულ მუსიკალურ ელემენტებს (მაგ.: რიტმს, ტემპს, მელოდიას და ა.შ.), ხმაურსა და ვიზუალურ რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა; **მუს.დაწყ.(I).6.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ხალხური მუსიკის თავისებურებების ამოცნობა.	**შეკითხვები:** როგორ ვითარდება მუსიკალური აზრი სხვადასხვა ხმაურის, მოქმედების გადმომცემი მუსიკალური ინტონაციების, რიტმისა და ტემპის მონაცვლეობით (მაგ.: მელოდიის განვითარება სხვადასხვა ინტონაციის, რიტმისა და ტემპის მონაცვლეობის გზით)? **ცნებები:** რიტმის, ტემპის, მუსიკალური ინტონაციების კონტრასტები.
რეკომენდაციები	
საკლასო აქტივობების მაგალითები: • გონებრივი იერიში - მასწავლებელი კლასს ასმენინებს ქუჩის ხმებს და სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ, რის ხმებია (მანქანის ძრავის, ფეხის ხმა, მშენებლობის ხმა, საუბარი, სიცილი და სხვ.), ხოლო შემდეგ იმსჯელონ, თუ რა მუსიკალური საშუალებებით შეიძლება ამ ხმების გადმოცემა; • მასწავლებელი ასმენინებს მოსწავლეებს რამდენიმე მუსიკალურ ნაწარმოებს მანქანის თემაზე („ავტომობილში“ ფ. პულენკის საფორტეპიანო ციკლი “გასეირნებები“; „ავტო“ ვ. ზადერაცკის საფორტეპიანო ციკლიდან „მინიატურების რვეული“) და სთხოვს მათ, დაადგინონ რა მუსიკალური ხერხებით მიგვანიშნებენ კომპოზიტორები იმაზე, რომ ნაწარმოები მანქანით მოძრაობას ასახავს.	
2. სტანდარტის შედეგები (შემოქმედობითობა და პრაქტიკა)	**სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და ძირითადი ცნებები**
მუს.დაწყ.(I).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს გარესამყაროში ბუნებრივად არსებული და ხელოვნურად შექმნილი ხმის, ბგერის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) გამოყენება გარკვეული ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად; **მუს.დაწყ.(I).2.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ხმის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) მეშვეობით გარესამყაროს ასახვა; **მუს.დაწყ.(I).3.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ხმოვანი გზავნილის სხვადასხვა სიმბოლოთი ჩაწერა.	**შეკითხვები:** როგორ შევქმნათ კოლაჟი ქალაქის სხვადასხვა ხმის, მუსიკალური ინტონაციის, რიტმისა და ტემპის მეშვეობით? რა სიმბოლოებით შეიძლება ჩაიწეროს მუსიკალური კოლაჟი, რომელიც ქალაქის ხმაურს გადმოსცემს? **ცნებები:** მუსიკალური ინტონაციების, რიტმებისა და ტემპებისგან შედგენილი კოლაჟი.
რეკომენდაციები	
საკლასო აქტივობების მაგალითები • მასწავლებელი სთავაზობს კლასს ვიდეოს, რომელშიც ნაჩვენებია, თუ რა საშუალებებით შეიძლება ხმით, ტუჩით და სხვადასხვა საგნის დახმარებით მანქანის ძრავის ხმის იმიტირება. შემდეგ სთავაზობს კლასს, ხმით წარმოქმნან მანქანის ძრავის ხმა. წინასწარ შეთანხმებული ნიშნებით მასწავლებელი უჩვენებს კლას ს მანქანის სიჩქარის მომატებას. სიჩქარის მომატებისას კლასი ზევით წევს ხმას, როგორც ამას მანქანას ძრავი აკეთებს. შემდეგ მასწავლებელი ანიშნებს სიჩქარის დაკლებას. სავარჯიშოს მთავარი ამოცანაა, ყველა მოსწავლემ შეძლოს დაახლოებით ერთ სიმაღლეზე აწიოს ან დაწიოს ბგერა. • მასწავლებელი აჩვენებს სხვადასხვა მაღაზიის ვიტრინების სურათებს და სთხოვს მოსწავლეებს, მოცემული მუსიკალური მაგალითები რაიმე ნიშნით დაუკავშირონ ვიტრინების სურათებს (იგივე შეიძლება გაკეთდეს სხვადასხვა შენობის სურათებზე).	

თემა: მუსიკალური გასეირნება ქალაქში/სოფელში

1. სტანდარტის შედეგები (მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია)	სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და ძირითადი ცნებები
მუს.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს მოსმენისდროს სახე-ხატების შექმნაში მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) როლის განსაზღვრა; **მუს.დაწყ.(I).5.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ცალკეულ მუსიკალურ ელემენტებს (მაგ.: რიტმს, ტემპს, მელოდიას და ა.შ.), ხმაურსა და ვიზუალური რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა; **მუს.დაწყ.(I).6.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ხალხური მუსიკის თავისებურებების ამოცნობა.	**შეკითხვები:** რა ხერხებით შეუძლია მუსიკას მოგვითხროს გასეირნების დროს მიღებულ სხვადასხვა გამოცდილების შესახებ (მუსიკალური განვითარების უმარტივესი პრინციპები)? **ცნებები:** რიტმული და მელოდიური ოსტინატო; კონტრაპუნქტი.
რეკომენდაციები	
საკლასო აქტივობების მაგალითი: მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს ნაწყვეტს გერშვინის სიმფონიური პოემიდან „ამერიკელი პარიზში“, სთხოვს მათ გამოიცნონ ამერიკელის თემა და ახსნან, თუ რა ნიშნით ამოიცნეს მათ ეს თემა (მასწავლებელი მოსმენამდე უყვება მოსწავლეებს ამ ნაწარმოების შესახებ). შემდეგ მასწავლებელი ეკითხება კლასს, თუ რატომ მეორდება მრავალჯერ ეს თემა მთელი ნაწარმოების მანძილზე; რა როლს ასრულებს ეს თემა ამ ნაწარმოებში და ა.შ. (იგივე შეიძლება გაკეთდეს მუსორგსკის „სურათები გამოფენიდან“).	
2. სტანდარტის შედეგები (შემოქმედობითობა და პრაქტიკა)	**სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და ძირითადი ცნებები**
მუს.დაწყ.(I).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს გარესამყაროში ბუნებრივად არსებული და ხელოვნურად შექმნილი ხმის, ბგერის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) გამოყენება გარკვეული ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად; **მუს.დაწყ.(I).2.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ხმის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) მეშვეობით გარესამყაროს ასახვა; **მუს.დაწყ.(I).3.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ხმოვანი გზავნილის სხვადასხვა სიმბოლოთი ჩაწერა.	**შეკითხვები:** როგორ გამოვიყენოთ მელოდიური და რიტმული ოსტინატო ქალაქში/სოფელში მოგზაურობის შესახებ მუსიკალური კომპოზიციის შესაქმნელად? როგორ ჩავწეროთ მუსიკალური კომპოზიცია? **ცნებები:** რიტმული და მელოდიური ოსტინატო; კონტრაპუნქტი.
რეკომენდაციები	
საკლასო აქტივობების მაგალითები: • მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად. იწყებს ერთი ჯგუფი და ინსტრუმენტებზე უწყვეტად იმეორებს რაიმე რიტმულ ფიგურაციას, მას უერთდება შემდეგი ჯგუფი განსხვავებული რიტმული ფიგურიაციით და ა.შ.. ასე ერთდროულად სხვადასხვა ჯგუფი უკრავს სხვადასხვა რიტმულ ფიგურაციას და იქმნება პოლირიტმული კომპოზიცია. ამ კომპოზიციას შეიძლება დაერქვას „სხვადასხვა ფეხით მოსიარულე ქალაქის ქუჩებში“ (იგივე შეიძლება შესრულდეს ინსტრუმენტებზე სხვადასხვა მოკლე მოტივების ერთდროულად დაკვრით). • მოსწავლემ უნდა შექმნას მუსიკალური კოლაჟი გასეირნება ნაცნობ ქუჩაზე სხვადასხვა მოტივისა და რიტმის მონაცვლეობით.	

მუსიკა და ჩვენი ყოფა

თემა: ჩემი ცხოვრების ერთი დღე

1. სტანდარტის შედეგები (მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია)	სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და ძირითადი ცნებები
მუს.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს მოსმენის დროს სახე-ხატების შექმნაში მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) როლის განსაზღვრა; **მუს.დაწყ.(I).5.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ცალკეულ მუსიკალურ ელემენტებს (მაგ.: რიტმს, ტემპს, მელოდიას და ა.შ.), ხმაურსა და ვიზუალური რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა; **მუს.დაწყ.(I).6.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ხალხური მუსიკის თავისებურებების ამოცნობა.	**შეკითხვები:** როგორ შეიძლება მუსიკალური ინტონაციებით რაიმე მოქმედების დამახასიათებელი განწყობის გადმოცემა? **ცნებები:** რიტმული და მელოდიური ოსტინატო; სხვადასხვა ემოციის გადმომცემი ინტონაციები მელოდიაში.
რეკომენდაციები	
საკლასო აქტივობების მაგალითები: • გონებრივი იერიში - მასწავლებელი მონოტონურად და ინტონაციური მრავალფეროვნებით წარმოთქვამს ლექსს, ფრაზას და სთხოვს მოსწავლეებს ამოიცნონ, თუ რომელი ჟღერს უფრო მოსაწყენად. • მასწავლებელი ასმენინებს კლასს ორ კოლაჟს, რომელიც უფროსის და ბავშვის ხმებისგან არის შედგენილი. შემდეგ იგი სთხოვს მოსწავლეებს ამოიცნონ, რომელი კოლაჟი ასახავს უფროსის ან ბავშვის ჩვეულებრივ დღეს. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ახსნან, თუ როგორ ამოიცნეს ისინი. • მასწავლებელი ასმენინებს მოსწავლეებს ერთი და იმავე მოქმედების დროს გამოცემულ ხმას სხვადასხვა მუსიკალური თანხლებით. სთხოვს მათ იმსჯელონ, რა ემოციურ დატვირთვას აძლევს ამ ხმას სხვადასხვა მუსიკა.	
2. სტანდარტის შედეგები (შემოქმედობითობა და პრაქტიკა)	**სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და ძირითადი ცნებები**
მუს.დაწყ.(I).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს გარესამყაროში ბუნებრივად არსებული და ხელოვნურად შექმნილი ხმის, ბგერის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) გამოყენება გარკვეული ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად; **მუს.დაწყ.(I).2.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ხმის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) მეშვეობით გარესამყაროს ასახვა; **მუს.დაწყ.(I).3.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ხმოვანი გზავნილის სხვადასხვა სიმბოლოთი ჩაწერა.	**შეკითხვები:** როგორ უნდა შეირჩეს მუსიკალური თანხლება, რომელიც გარკვეულ მოქმედებას რაიმე განწყობას შეუქმნის? როგორ შეიძლება სხვადასხვა ხმით და მუსიკალური მასალით შეიქმნას კოლაჟი, რომელშიც რაიმე საქმიანობა/მოქმედება და მისგან გამოწვეული განწყობა იქნება გადმოცემული? **ცნებები:** მოტივი, ტემპის მონაცვლეობა, მოტივის მონაცვლეობა, მუსიკალური კოლაჟი, მუსიკალური კომპოზიცია.
რეკომენდაციები	
საკლასო აქტივობების მაგალითები: • მოსწავლემ მასწავლებლის მოქმედების ხმას უნდა შეურჩიოს ორი სხვადასხვა მუსიკალური თანხლება და ახსნას, თუ რა ემოციურ დატვირთვას იძენს ერთი და იგივე ხმა სხვადასხვა მუსიკალურ თანხლებასთან ერთად. • მოსწავლემ უნდა შექმნას ხმებისა და მუსიკალური თანხლებისგან კოლაჟი, რომელიც მის ერთ გატარებულ დღეს ასახავს.	

სტრატეგია და ზოგადი მეთოდური რეკომენდაციები

სახელმძღვანელოს სერიაში მოცემული თემატურ ჯგუფებში გამოყენებული აქტივობების მეთოდური რეკომენდაციები:

სახელმძღვანელო ემყარება **ინტეგრირებული** სწავლების მეთოდს. ინტეგრირება ხდება ქართული ენის, ხელოვნების, გამოყენებითი ხელოვნების, ისტორიის, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგნებთან.

მოსწავლეებისათვის **სანოტო დამწერლობის** სწავლა თამაშით მიმდინარეობს, მაგალითად, პირველ ეტაპზე მოსწავლეები სწავლობენ ნოტების დახატვას, ხოლო მომდევნო კლასებში-ნოტების სანოტო სისტემაზე ჩაწერას. **ასაკობრივი თავისებურებები** ყველა კლასშია გათვალისწინებული. მაგალითად, მოსწავლეები კომპოზიტორებს ეცნობიან თავისი ასაკიდან გამომდინარე, ჰაიდნი, მოცარტი და ბეთჰოვენი მათივე თანატოლი ხდება, ახალი მასალის გაცნობის ამგვარი ხერხი მოტივაციის ამაღლებას უწყობს ხელს. სახელმძღვანელოს გმირებს ფუნქციები აქვთ განაწილებული: პატარა დირიჟორი საქართველოში მოგზაურობს და სიმღერებს ასწავლის ბავშვებს, პითაგორა ბიჭუნა კი – ნოტებს. **მუსიკის შემეცნებითი ფუნქციის** გაზრდის მიზნით სახელმძღვანელოში შემოდიან მითიური გმირები: მუზები, აპოლონი კითარით, ორფეოსი ქნარით, სირინოზები. ზღაპრები,მითები და ლეგენდები ყველა კლასში გვხვდება. სახელმძღვანელოს გმირებს საკუთარი ლაითმოტივებიც აქვთ, მაგალითად, ია გოგოს – მყარი და მერყევი ბგერების ინტონაცია აი იას ბგერებზე, პატარა დირიჟორს-ვ. მოცარტის „ღამის პატარა სერენადის“ ინტონაცია. სახელმძღვანელოში გამოყენებული რუბრიკა – „მუსიკის ისტორიიდან“ მასწავლებლის ინფორმირებას უწყობს ხელს.

სახელმძღვანელოში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მოსწავლეთა **წარმოსახვითი და ასოციაციური** უნარების განვითარებას, რაც დასაწყისში მცირე დოზით შემოდის, მომდევნო ეტაპზე კი ღრმავდება, მაგალითად, მოსწავლეები მზის სისტემის სხვადასხვა პლანეტის ბუნებრივ ხმოვანებას ისმენენ და ბგერების ხმოვანებას, მათ გრაფიკულ გამოსახულებებს მიუსადაგებენ. სახელმძღვანელოში მრავლადაა ნახატების, ცხოველთა მოძრაობების მისადაგება მუსიკასთან, მოტივთან, თამაშების გახმოვანება ხმით, ხმაბაძვითი ბგერებით.მოსწავლის შემოქმედებითი უნარები ჯამდება ყველა კლასში მოცემულ სპექტაკლებში.

ახალი ტექნოლოგიების გამოყენება და მუსიკალურ-კომპიუტერულ პროგრამაში სხვადასხვა აქტივობის შესრულება საკუთარი ხედვის, **ინტერპრეტირების** უნარის განვითარებას უწყობს ხელს. მოსწავლეები სხვადასხვა სახის დავალებას ასრულებენ: ნასწავლი სიმღერებიდან ცალკეული ფრაზების ამოჭრა, ფრაზებად გაერთიანება, სიმღერის აწყობა, ასევე, მუსიკალურ-კომპიუტერულ პროგრამაში ჩატვირთული ხმების (ყოფითი საგნების, ცხოველების,სოფლისა და ქალაქის), ბგერების, მუსიკალური ფრაგმენტების გამოყენებით მუსიკალური კოლაჟების შექმნა.

სახელმძღვანელოში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა **სიმღერების შესწავლას და რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების შესრულებას**. მაგალითად, „მუსიკალური კიბე“ იმღერება სამხმოვანების ბგერებზე ცხოველთა აღმნიშვნელი სიტყვების, შემდეგ ეტაპზე კი – მარცვლების გამოყენებით, რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო „აი ჩემი საქართველო“ გამის ტეტრაქორდების გამღერებაზეა აგებული.

სახელმძღვანელოში მოცემული სიმღერების დიდი ნაწილი ავტორს ეკუთვნის. გაკვეთილებში მოცემულ აქტივობებს თან ერთვის მეთოდური მითითებებიც,რაც კონკრეტული აქტივობის შესრულების რეკომენდაციას იძლევა.

შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები:

საგნის სწავლების პროცესში მოსწავლე შემდეგი აქტივობებით ფასდება:

- საკლასო აქტივობებში ჩართულობა;
- ინფორმაციის მიწოდება (მომდევნო კლასებში – მოძიება) გარესამყაროს შესახებ და პრეზენტაციის მომზადება;
- შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა: მუსიკალური კომპოზიციის, მუსიკალური ლოგოტიპის შექმნა;
- იმპროვიზაციული სავარჯიშოების შესრულება: მოტივის და ცალკეული ინტონაციის სხვადასხვა ვარიანტების შექმნა და მათი სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება;
- მოთხრობის, ფოტოების, ანიმაციური/მხატვრული ფილმის (მომდევნო კლასებში ვიდეორგოლის, მუსიკალური კლიპის), ყოფითი შემთხვევების განხილვა და მათი მუსიკალური ანალოგიების შექმნა;
- დისკუსია (დებატი);

მოსმენილი კომპოზიციის, ნაწარმოების განხილვა და საკლასო მსჯელობაში-დისკუსიაში მონაწილეობა.

შეფასების კრიტერიუმები				
მოსმენილი კომპოზიციის, ნაწარმოების შინაარსისა და განწყობის აღწერა	ამბის, მოთხრობის გამოგონება (პროფესიული მუსიკის შემთხვევაში ავტორისეულ ჩანაფიქრთან დაკავშირება)	აქტიური მონაწილეობა	საკუთარი აზრის დასაბუთება	სხვისი აზრის პატივისცემა

სიმღერის შესრულება

შეფასების კრიტერიუმები:					
სანოტო და სიტყვიერი ტექსტის შესრულება		ინტონირების სიზუსტე		გამომსახველად სიმღერა (ცდილობს გადმოსცეს ნაწარმოების მხატვრული შინაარსი, ითვალისწინებს დინამიკურ ნიშნებს), საკუთარი ინტერპრეტაციით შესრულება(იყენებს მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს)	
უჭირს სიტყვიერი ან სანოტო ტექსტის დამახსოვრება	სანოტო და სიტყვიერ ტექსტს იოლად იმახსოვრებს	ინტონირებისას უშვებს შეცდომებს	იცავს ინტონირების სიზუსტეს	მღერის ერთფეროვნად	ცდილობს შეასრულოს გამომსახველად, საკუთარი ხედვით

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების შესრულება

შეფასების კრიტერიუმები					
ბგერათრიგის, ინტერვალების, მოტივების სიმღერა		ინტონირების სიზუსტე, რიტმული ნახაზის სიზუსტე		იმპროვიზირების უნარი	
უჭირს სიმღერა	სწორად მღერის (ნაწილობრივ, სრულად)	უჭირს ინტონირების, რიტმული ნახაზის სიზუსტის დაცვა	იცავს ინტონირების, რიტმული ნახაზის შესრულების სიზუსტეს (ნაწილობრივ, სრულად)	ვერ ავლენს იმპროვიზირების უნარს	ნაწილორივ ან კარგად ავლენს იმპროვიზირების უნარს

რიტმული ნახაზის შესრულება

შეფასების კრიტერიუმები:					
რიტმული ნახაზის სიზუსტე		სინქრონულობის დაცვა წყვილში, ჯგუფში შესრულებისას		რიტმული იმპროვიზირების უნარი	
ნაწილობრივ იცავს	ზუსტად იცავს	უჭირს სინქრონული შესრულება	არ არღვევს სინქრონულობას	ვერ ავლენს იმპროვიზირების უნარს	ნაწილობრივ ან კარგად ავლენს იმპროვიზირების უნარს

სხვადასხვა სახის პრაქტიკული სამუშაო

შეფასების კრიტერიუმები					
ორგანიზებულობა		ტექნიკის (ხმის, სხეულის მოძრაობის, მიმიკის და ა. შ.) და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების (რიტმის, მეტრის, მელოდიის, რეგისტრის და ა. შ.) ფლობა, პრაქტიკული გამოყენების უნარი		შემოქმედებითობა: ტექნიკის, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, წარმოსახვითი და ასოციაციური უნარების, იმპროვიზირების ეფექტური გამოყენება ჩანაფიქრის გადმოსაცემად	
ნაკლებად არის ჩართული პრაქტიკული სამუშაოს შესრულებაში	აქტიური და ორგანიზებულია პრაქტიკული სამუშაოს შესრულებაში	ნაწილობრივ ავლენს პრაქტიკულ უნარებს	კარგად ავლენს პრაქტიკულ უნარებს	ნაწილობრივ ავლენს შემოქმედებით უნარებს	კარგად ავლენს შემოქმედებით უნარებს

მითითება: შემაჯამებელი გაკვეთილების შეფასების კრიტერიუმები იხილეთ დანართში.

რა არის მუსიკა?

– დედამიწაზე ყველაფერი ხმას გამოსცემს: საგნები, ბუნების მოვლენები, ცხოველები, ფრინველები. განსხვავებული ხმები ისმის ქალაქში, სოფლად... ახლა უფრო შორს წავიდეთ, გავცდეთ დედამიწას, კოსმოსიდან მოვუსმინოთ ამ ყველაფერს. ყველა პლანეტა თავისებურ ხმას – თავის მუსიკას გამოსცემს. პლანეტა ბერძნული სიტყვაა და მოხეტიალე ვარსკვლავს ნიშნავს. მზის სისტემაში სულ რვა პლანეტაა. ისინი კოსმოსში მზის გარშემო ბრუნავენ, „მღერიან“ და ქმნიან ერთიან კოსმიურ მუსიკას – ესაუბრება პატარა დირიჟორი კესოს და ტასოს, თან ტელესკოპში იყურება.

– საინტერესოა, თვითონ სიტყვა „მუსიკა“ რას ნიშნავს? – იკითხა კესომ.

– მუსიკა ბერძნულად მუზების ხელოვნებას ნიშნავს...

– ესე იგი მუსიკა მუზისაგან წარმოდგება? – იკითხა ტასომ.

– დიახ, მუზებისაგან – ძველ ბერძნულ მითოლოგიაში სიმღერის, პოეზიის, ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველი ქალღმერთებისაგან! ზევსისა და მნემოსინეს ასულები საბერძნეთში ოლიმპოს მთაზე ცხოვრობდნენ და მონადიმე ღმერთებს სიმღერით, პოეზიითა და ცეკვით ატკბობდნენ. სულ ცხრა მუზას მოიხსენიებენ: ევტერპე, ერატო, თალია, კალიოპე, კლიო, მელპომენე, ტერფსიქორე, პოლიჰიმნია და ურანია.

ერატო ევტერპე ტერფსიქორე კლიო თალია მელპომენე კალიოტე პოლიჰიმნია ურანია

ინფორმაციისათვის: მუზები ბერძნულ მითოლოგიაში თავდაპირველად სიმღერის, მოგვიანებით ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველი ქალღმერთები, პოეტური შთაგონების წყაროა. ჰომეროსი „ილიადაში“ ახსნებს, ხოლო ჰესიოდე „თეოგონიაში“ ასახელებს ცხრა მუზას: კლიო – ისტორიის, მელპომენე – ტრაგედიის, თალია – კომედიისა და მსუბუქი პოეზიის, ევტერპე – მუსიკის, სატფრიალო პოეზიის, ტერფსიქორე – ცეკვისა და გუნდური სიმღერის, კალიოპე – ეპიკური პოეზიის მუზა, ერატო – სასიყვარულო პოეზიის მუზა, ურანია – ასტრონომიის, პოლიჰიმნია – ჰიმნის.

მუსიკალური განტვირთვა: ვიქტორ დოლიძე – **„ცეკვა ქართული“**, 1. ხალხურ საკრავთა ორკესტრის შესრულებით, 2. სიმფონიური ორკესტრის შესრულებით. ბავშვები უსმენენ მუსიკას და ამოიცნობენ რა განსხვავებაა ამ ორ შესრულებას შორის.

მუსიკალური ლექსიკონი

მუსიკა – ხელოვნების დარგი, რომელიც სინამდვილეს ასახავს მუსიკალური მხატვრული ფორმებითა და განსაზღვრული წესით ორგანიზებული მუსიკალური ბგერების მეშვეობით. ყველაზე მეტად უახლოვდება მეტყველებას. მუსიკა შეიძლება იყოს ერთხმიანი (მონოდია) და მრავალხმიანი (პოლიფონია, ჰომოფონია). მუსიკა ფიქსირდება სანოტო დამწერლობის საშუალებით. შესრულების მიხედვით მუსიკა არის საკრავიერი, ვოკალური და ვოკალურ-საკრავიერი.

ლექსიკონი

ზევსი – ბერძნულ მითოლოგიაში უზენაესი ღმერთი; ცის, ქუხილის, ელვისა და წვიმის ღვთაება. მრავალი ღმერთისა და გმირის მშობელი.

მნემოსინე – ბერძნულ მითოლოგიაში მეხსიერების ქალღმერთი, რომელსაც ზევსისაგან ცხრა მუზა შეეძინა,

ოლიმპოს მთა – საბერძნეთში ღმერთების სამყოფელი.

ჰომეროსი – ძ.წ.აღ. მე-8 საუკუნე, ბერძენი პოეტი, ევროპის კონტინენტზე პირველი ლიტერატურული ნაწარმოებების – „ილიადასა“ და „ოდისეას“ ავტორი.

გარე სამყარო მუსიკაში

პლანეტების მუსიკა

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

პატარა დირიჟორი ტელესკოპში იყურება და პითაგორა-ბიჭუნას ეძახის: – ჩამოდი, ჩამოდი... გეყოფა პლანეტების მუსიკის მოსმენა, ჩვენც მოგვასმენინე და ბავშვებს III კლასში სანოტო დამწერლობა უნდა ასწავლო...

პითაგორა-ბიჭუნა კვლავ ერთ-ერთ პლანეტაზე იჯდა და კოსმოსში გაბნეულ ხმა-ბგერებს, ხმაურს, პლანეტების მუსიკას უსმენდა. დირიჟორის თხოვნა შეასრულა, ჩაიწერა პლანეტების მუსიკა და დედამიწაზე დაბრუნდა.

აქტივობა: მასწავლებელი ბავშვებს უჩვენებს **ვიდეოს** პლანეტების ხმებზე. სთხოვს, ყურადღებით მოუსმინონ და იმსჯელონ:

1. რა ხმები ესმით? 2. როგორია ეს ხმები: მხიარული თუ სევდიანი? 3. რომელი პლანეტის ხმა უფრო მოსწონთ?

მეორედ ჩვენებისას ბავშვები უკვე თვალდახუჭულნი უსმენენ პლანეტების ხმის ამსახველ ვიდეოს. ამის შემდეგ, მასწავლებელი ასმენინებს **გუსტავ ჰოლსტის სიუიტას – „პლანეტების მუსიკა“ – მარსი.** სთხოვს ბავშვებს, შეადარონ პლანეტების ხმები კომპოზიტორის მიერ შექმნილ მუსიკას.

მეთოდური მითითება: III კლასში ვსწავლობთ ნოტებს და მათ გამოვსახავთ სანოტო სისტემაზე. უფრო საინტერესო და შემეცნებით რომ გამხდარიყო ნოტებს მივუსადაგეთ მზის სისტემის რამდენიმე პლანეტის ვიზუალი და ხმოვანება.

ჯერ მასწავლებელმა თავად უნდა გაიაზროს და გაითავისოს ეს თემა და სურვილისამებრ ბავშვებს მარტივი, ხალისიანი და თამაშის ფორმით შესთავაზოს. ამ აქტივობას არა აქვს სავალდებულო ხასიათი. ბავშვებმა არ უნდა დაიზეპირონ ფოტოზე მოცემული პლანეტები და ნოტები. ეს მასწავლებელს დაეხმარება შემდეგ გაკვეთილებზე მუსიკალური კოლაჟების აღსაქმელად, რომელიც მუსიკალურ-კომპიუტერულ პროგრამა „**LMMS**“-ში არის შესრულებული. ბავშვებს ეძლევათ თავისუფალი არჩევანი თავად მიუსადაგონ ნოტები პლანეტებს.

ბავშვს აინტერესებს სამყაროს შემეცნება. სამყაროში არსებული ხმები და ამასთან დაკავშირებით სვამს ყოველთვის შეკითხვებს: რა არის ღრუბელი? რა არის ვარსკვლავი? საიდან მოდის წვიმა? რა იწვევს ქარს, თოვლს, სეტყვა? სამყაროს მუდმივი შემეცნება ხელს უწყობს მისი ფუნქციების მომწიფებასა და განვითარებას: მეტყველებას, აზროვნებას, აღქმას, შეგრძნებებს, ემოციას, ასოციაციურ აზროვნებას. ეს აქტივობა კი, მას ამ ყველაფერში ეხმარება.

ბავშვის ინდივიდუალური ბუნებიდან გამომდინარე ვაძლევთ არჩევანს – საშუალებას თავად განსაზღვროს სამყაროსა და მუსიკალური ბგერების ურთიერთკავშირი.

ამ აქტივობის – „პლანეტები და ნოტების“ – გაცნობითა და შესწავლით, შესაძლებელს ვხდით დავაჩქაროთ ამ ასაკის ბავშვთა დასახელებული ფუნქციების წინსვლა და განვითარება. ზუსტად ამას ემსახურება ეს აქტივობა.

მასწავლებელს ვთხოვთ, ამ გაკვეთილს მიუდგეს შემოქმედებითად.

პლანეტები და ნოტები

უფროსი ძამიკო

უმცროსი ძამიკო

პატარა პრინცესა

სატურნი


დედამიწა


ვენერა

სოფლელი ბიჭი

ყველაზე ლამაზი მზე

მეოცნებე მთვარე


მარსი

მზე

მთვარე

კუდიანი ვარსკვლავი

უმცროსი ძამიკო

იუპიტერი


პლუტონი

მხიარული ნოტები

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: **მასწავლებელი ბავშვებს ახსენებს მხიარულ ნოტებს. ბავშვები მღერიან დო-მაჟორს აღმავალი და დაღმავალი მიმართულებით, გაორმაგებული ბგერებით და ჰყვებიან „დასარტყამი საკრავებით“**





მასწავლებელი აქცენტით გამოყოფს ძლიერ დროს. ბავშვები ძლიერ დროს გამოხატავენ თავიანთი დასარტყამი „საკრავებით“. I რიგი – ტაში II რიგი – პენალი-ჟღარუნა, III რიგი – ფანქარი. რამდენჯერმე გამღერების შემდეგ მასწავლებელი ესაუბრება ბავშვებს პლანეტებზე:

– ბგერები ირხევიან და ქმნიან ტალღებს, ტალღები გამოსცემენ გარკვეულ ხმაურს. ბგერით ტალღებს გამოსცემს თითქმის ყველა საგანი, მათ შორის – კოსმოსური სხეულებიც, პლანეტები. კოსმოსური კვლევის ორგანიზაცია **Nasa**-მ ჩაიწერა სხვადასხვა პლანეტის მიერ გამოსხივებული ბგერითი ტალღები, მათ შორის დედამიწისაც, ჩვენ წინა გაკვეთილზე უკვე ვუყურეთ ამ ვიდეოს და მოვუსმინეთ მათ ხმოვანებას.

მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS-ი

აქტივობა 1: „**LMMS**“ -ში მასწავლებელი აჟღერებს „მხიარულ ნოტებს“. თითოეული ნოტის გრაფა სხვადასხვა ფერითაა წარმოდგენილი: **დო**-თეთრი; **რე**-მწვანე; **მი**-ვარდისფერი; **ფა**-ყავისფერი; **სოლ**-ყვითელი; **ლა**-ლურჯი; **სი**-იისფერი; **დო**-წითელი; მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, „მხიარულ ნოტებს“ მიუსადაგონ ფერები, ააჟღერონ, გაიმღერონ და „ითამაშონ“ – შეუცვალონ ნოტებს ადგილები სურვილისამებრ.

ნიმუში აუდიოფაილის სახით მოცემულია ამავე აქტივობის ფოლდერში.

დო რე მი

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 90 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: მასწავლებელი ბავშვებს ახსენებს მხიარულ ნოტებს. ბავშვები მღერიან დო-მაჟორს აღმავალი და დაღმავალი მიმართულებით, გაორმაგებული ბგერებით და ჰყვებიან „დასარტყამი საკრავებით“





მხიარული ნოტები: მასწავლებელი კიდევ ერთხელ გაამღერებს ბავშვებს შვიდ ნოტს. აუხსნის, რომ ისინი მესამე კლასში სანოტო ნიშნების წერასა და კითხვას შეისწავლიან.

– აქამდე ნოტები ჩვენი საყვარელი გმირები იყვნენ: დო – უფროსი ძამიკო; რე – უმცროსი; მი – პრინცესა; ფა – სოფლის ბიჭი; სოლ – მზე; ლა – მთვარე; სი – კუდიანი ვარსკვლავი; ჩვენც მათთან ერთად ვთამაშობდით, ვცეკვავდით, ვმღეროდით. ახლა მუსიკალური ანბანის სერიოზულად შესწავლის დრო დადგა. მანამდე კი სანოტო ნიშნების წერას მივეჩვიოთ და შევასრულოთ სავარჯიშო – „დახატე და გააფერადე ნოტები“:

ამ სავარჯიშოებით ბავშვებს სანოტო სისტემისა და ნოტების მართლწერის უფრო ადვილად აღსაქმელად, შესასწავლად და შესაყვარებლად ვამზადებთ. მასწავლებელს, სურვილისამებრ, შეუძლია, გაკვეთილის ნებისმიერ მონაკვეთში, ეს სავარჯიშოები კლასიკური ან სხვა მუსიკალური ნაწარმოების ფონზეც შეასრულებინოს.

მუსიკალური ლექსიკონი

მუსიკის ისტორიიდან: მუსიკალურმა ხელოვნებამ და სანოტო სისტემამ საბოლოო სრულყოფამდე დიდი და საინტერესო გზა განვლო. მუსიკის წარმოშობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს: მუსიკა წარმოიშვა აღელვებული მეტყველების ინტონაციების საფუძველზე; ნადირ-ფრინველის სასიყვარულო ძახილისაგან; პირველყოფილი ადამიანის შრომის რიტმისა და ბგერითი სიგნალებისაგან; მაგიური შელოცვის რიტუალისაგან... თანამედროვე მეცნიერებმა, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალების შესწავლის საფუძველზე, ასეთი დაასკვნა გააკეთეს: მუსიკის წარმოშობა-განვითარების ხანგრძლივ პროცესში განსაკუთრებული როლი ენიჭება პირველყოფილი ადამიანის სინკრეტულ კომპლექსს – ხელოვნების წინა ეტაპს, რომელიც აერთიანებს მუსიკის, მეტყველებისა და ცეკვის ელემენტებს. პირველადი ქაოსური, დიდი დიაპაზონის შემცველი ბუნების ხმების მიმბაძველი ბგერების რიგი შეიცვალა მხოლოდ რამდენიმე ტონზე აგებული მყარი და მერყევი ბგერების მონაცვლეობით. გაჩნდა სიმებიანი, ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები, რომელთაც განსაზღვრული ბგერათრიგი ჰქონდათ.

ბერძენი ქალები კითარითა და ლირით

მონათმფლობელურ საზოგადოებაში მუსიკა ჩამოყალიბდა როგორც ხელოვნების დამოუკიდებელი დარგი. ერთმანეთს გამოეყო ხალხური და პროფესიული მუსიკა. პირველი პროფესიული მუსიკოსები გაჩდნენ შუმერში, ეგვიპტეში, ბაბილონში, სირიაში, პალესტინაში, ინდოეთში, ჩინეთში, საბერძნეთში, ამიერკავკასიასა და შუა აზიაში. ისინი თავად იყვნენ კომპოზიტორებიც და შემსრულებლებიც. თანდათან განვითარდა და ჩამოყალიბდა მეცნიერული აზრი მუსიკის ესთეტიკისა (პლატონი, არისტოტელე) და მუსიკის აკუსტიკის (პითაგორა) შესახებ.

მუსიკალური განტვირთვა: ვ.ა. მოცარტი. ოპერა „ჯადოსნური ფლეიტა“. უვერტიურა. ბავშვები უსმენენ მუსიკას და ასრულებენ აქტივობას „დახატე და გააფერადე ნოტები“.

ახალი სიმღერის შესწავლა: დო რე მი

ყოველ დილით ღიღინ-ღიღინ
იჩქარიან სკოლაში,
შვიდი და-ძმა მუსიკოსი:
დო, რე,მი, ფა, სოლ, ლა, სი.

მისამღერი:

ქანდარაზე შეგირდები
სკუპი-სკუპით სხდებიან,
ერთი კარგად მოუსმინეთ
რა ლამაზი ხმებია.

სხვა და-ძმებიც აქ სწავლობენ,
ამ მხიარულ სკოლაში.
მათაც ზუსტად ასე ქვიათ:
დო, რე,მი, ფა, სოლ, ლა, სი.

დო რე მი

ტექსტი: გ. ჭიჭინაძისა
მუსიკა: ს. მირიანაშვილისა

Tempo di valse

Piano

f

Canto

mf

ყო - ველ დი - ლით ღი - ღინ ღი - ღინ ი - ჩქა -

mf

რი - ან სკო - ლა - ში, შვი - დი და ძმა მუ - სი -


კო - სი. დო რე მი ფა
სოლ ლა სი
f
ქან - - და - რა - ზე შე - გირ - დე - ბი
f
სკუ - პი სკუ - პით სხდე - - - - ბი - - - -



მეთოდური მითითება: სახელმძღვანელოში ნაწარმოებების გამეორება განპირობებულია მეთოდიკით – ნაწარმოების რამდენჯერმე მოსმენით ხდება ცოდნის განმეორება-განმტკიცება.



აქტივობა – რიტმული მოთელვა

მეთოდური მითითება: თითქმის ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით, რომელიც რიტმულ სავარჯიშოებზეა დაფუძნებული. ეს აქტივობა განაწყობს ბავშვებს მუსიკის გაკვეთილისათვის. მაგალითად: მასწავლებელი შედის კლასში, იწყებს ტაშის დაკვრას. ტაშით გამოხატავს მარტივ რიტმულ სავარჯიშოს, ბავშვებს სთხოვს აჰყვნენ. თანდათანობით მასწავლებელი ცვლის რიტ-მულ სურათს და ისინიც ჰბაძავენ მას. აგრეთვე, ცვლის რიტმული სურათის ტემპს, ხან ანელებს ქმედებას, ხან აჩქარებს. შემდგომ გაკვეთილებზე მასწავლებელს შეუძლია ეს აქტივობა მუსიკის თანხლებითაც შეასრულოს, გამომდინარე იქიდან, ამა თუ იმ გაკვეთილზე რა მუსიკალურ ნაწარ-მოებს ასმენინებს. მაგ. ი. შტრაუსის „რადეცკი მარში“ დაეხმარება მასწავლებელს, სხვადასხვა ქმედებითა და ტაშით აიყოლიოს ბავშვები (ადგილზე სიარული, ტაში, ტაში ზემკლავით და ა.შ.) და გაკვეთილი მეტად აქტიური გახადოს. მასწავლებელს ეძლევა შემოქმედებითი თავისუფლება და შეუძლია ყველა გაკვეთილი დაიწყოს ან დაამთავროს ამგვარი აქტივობით. მასწავლებელს თავად შეუძლია ამოარჩიოს მუსიკალური ნაწარმოები სახელმძღვანელოს აუდიოდისკებიდან და შეასრულოს მოთელვა-განტვირთვა. აგრეთვე, მასწავლებელს შეუძლია რა ნაწარმოებითაც დაიწყო გაკვეთილი-მოთელვა, იმავე აქტივობით დაამთავროს.

რიტმული სავარჯიშო 2/4 ზომაში

მასწავლებელი 1-20 გაკვეთილისთვის რიტმულ მოთელვას ასრულებს 2/4 ზომაში



თემა: ქალაქის/სოფლის ხმები

მიზანი: სხვადასხვა ხმების, მოქმედებების გადმოცემა ინტონაციით, რიტმით, ტემპით. მუსიკალური კოლაჟის შექმნა და სიმბოლოებით ჩაწერა.სიმღერების შესწავლა და რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების შესრულება.

მისაღწევი შედეგები: მუს.დაწყ.(I)1,2; მუს.დაწყ.(I)4,5,6; მუს.დაწყ.(I)3

ქალაქის ხმები - 1

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 90 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში; გაკვეთილი იწყება მოთელვით.

რიტმული ინტონაციური სავარჯიშო; ბავშვები ამ სავარჯიშოს ასრულებენ „დასარტყამ საკრავთა ორკესტრის“ თანხლებით, გამოჰყოფენ ძლიერ დროს სხვადასხვა „საკრავებით“, ჰყვებიან ხმით ნოტების დასახელებით.



აქტივობა, ქალაქის ხმები: მასწავლებელი ასმენინებს კლასს **აუდიოჩანაწერს** – ქალაქის ხმებს: ეკითხება, თუ რა და როგორი ხმები ესმით? ბავშვები ჩამოთვლიან: მანქანის ხმა, ფეხის ხმა, სიცილის ხმა, საუბარი, ფოთლების შრიალი, სასწრაფოს მანქანის სიგნალის, ეკლესიის ზარების ხმა. ბავშვები ფიქრობენ, მსჯელობენ და ცდილობენ მიბაძონ ამ ხმებს. ამ ქმედებებში მათ ეხმარება **„დასარტყამ საკრავთა ორკესტრის“** საგნები: ზარები, პენალი-ჟღარუნა, სახაზავი, ხელები, ფეხის ბაკუნი – ნაბიჯები. ხმით იმიტირებენ მანქანის ღმუილს და ა.შ. მასწავლებელი სთხოვს მათ, ერთდროულად ააჟღერონ ეს ხმები, განუმარტავს ბავშვებს, რომ თითქმის ყოველდღე ესმით მათ ასეთი ხმაური. ეს არის ქალაქის ხმა-ხმაური. შემდგომ ასმენინებს უკვე ამ ხმებისგან შედგენილ მუსიკალურ კოლაჟს – კომპოზიციას, რომელიც **LMMS** პროგრამაშია შესრულებული და სთხოვს ბავშვებს, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები.

ბავშვები ქალაქის სხვადასხვა ბუნებრივ ხმას **LMMS** პროგრამაში გადააქცევენ „სემპლებად“, დაადებენ რიტმულ მონახაზს და ააჟღერებენ. იქმნება მუსიკალური კოლაჟი ქალაქის ხმებისგან.

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, მოუსმინონ და აღწერონ მოსმენილი ხმები, რა ასოციაციები და შთაბეჭდილებები უჩნდებათ მათი მოსმენისას. ბავშვებმა უნდა ისწავლონ მოსმენა და შემდგომ ქალაქის ხმა-ხმაური გამოხატონ ხაზებითა და პიქტოგრამებით.

ქალაქის ხმების გრაფიკული ჩანახატი

მეთოდური მითითება: გრაფიკული ჩანახატის-პიქტოგრამის სახით გაძლევთ ნიმუშს, ქალაქის ხმები, ბავშვები კი შეასრულებენ ამ დავალებას სურვილისამებრ.

აუდიო ლინკი: Around the Paris Opera at Rush Hour

New York - the noisy city - 1988 - Manhattan

მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS-ი

აქტივობა 2: ამ აქტივობაში მოცემულია ქალაქის ხმები და ერთი დასარტყამი ინსტრუმენტის რიტმი. ტრეკები პროგრამაში არეულად არის წარმოდგენილი. ჯერ მოუსმინეთ და ამოიცანით ეს ხმები. შემდეგ შეუთავსეთ ერთმანეთს და შექმენით **მუსიკალური კოლაჟი** ნიმუშის მიხედვით, რომელიც მოცემულია ამავე აქტივობის ფოლდერში.

ვიოლა

კონტრაბასი

– I და II კლასში მრავალ საკრავს გავეცანით. გაიხსენეთ და ჩამოთვალეთ ნასწავლი საკრავები – სალამური, წიკო-წიკო, ფლეიტა, ვიოლინო, ვიოლონჩელო, ფანდური, ჩონგური, ფორტეპიანო, გუდასტვირი, დოლი, დიპლიპიტო, გიტარა, არფა, ქსილოფონი, საქსოფონი, ჩანგი, საყვირი, ჭიანური – ამათგან რომელი მიეკუთვნება სიმებიან, ჩასაბერ და დასარტყამ საკრავებს? – ეკითხება მასწავლებელი, ამოწმებს და განამტკიცებს ბავშვების ცოდნას.

– ახლა გავეცნობით ზომით ყველაზე დიდსა და ხმოვანებით ყველაზე დაბალ ხემიან სიმებიან საკრავს. კონტრაბასი ძველებური სიმებიანი საკრავის – ვიოლასაგან წარმოიშვა. ვიოლასაც დაბალი რეგისტრის ხმოვანება აქვს. თანამედროვე კონტრაბასი ჩელოს მსგავსი, ოთხსიმიანი, ზომით უფრო დიდი, სიმაღლით ორ მეტრამდე საკრავია. კონტრაბასს ფეხზე მდგარი ან მაღალ სკამზე დამჯდარი უკრავენ. კონტრაბასი გავრცელებულია სიმფონიურ და საესტრადო ორკესტრებში.

კონტრაბასი

მასწავლებელი ბავშვებს უჩვენებს კონტრაბასის ფოტოს და სთხოვს, გამოიცნონ, რომელ საკრავს ჰგავს იგი; რომელს უფრო მაღალი რეგისტრის ხმოვანება აქვს – ვიოლინოს, ჩელოს თუ კონტრაბასს.

მუსიკალური განტვირთვა: ნ. რიმსკი-კორსაკოვის „კელას გაფრენა“, კ. სენ-სანსის „ვირი“ და „სპილო“. მასწავლებელი ასმენინებს ვიოლინოს, ჩელოსა და კონტრაბასის ჩანაწერებს და სთხოვს გამოიცნონ: რომელ საკრავს რომელი რეგისტრი და როგორი ხმოვანება აქვს – დაბალი, საშუალო თუ მაღალი.

ამ საკრავთა ხმები ქალაქის რომელ ხმა-ბგერებს შეგვიძლია მივუსადაგოთ და შევადაროთ? ქარი, წვიმა, სეტყვა, ადამიანის ნაბიჯები, მეტყველება, ტრანსპორტის ხმა...

მუსიკალური ლექსიკონი

რეგისტრი – ლათინურად (**registrum**) სიას ნიშნავს – ადამიანის ხმის ან საკრავის ხმოვანების სიმაღლე. არსებობს დაბალი, საშუალო და მაღალი რეგისტრის ბგერები.

ქალაქის ხმები - 2

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 90 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო; ბავშვები ამ სავარჯიშოს ასრულებენ „დასარტყამ საკრავთა ორკესტრის“ თანხლებით, გამოყოფენ ძლიერ დროს სხვადასხვა „საკრავებით“, ჰყვებიან ხმით ნოტების დასახელებით.







დაითვალე რამდენჯერ მეორდება თვითოეული ბგერა?

აქტივობა, სხვადასხვა ხმა: მასწავლებელი ბავშვებს აჩვენებს სურათებზე გამოსახულ ავტომანქანას, გემს, ორთქლმავალს, ტრაქტორს და ასმენინებს მათ ხმებს. სთხოვს ბავშვებს, ამოიცნონ ეს ხმები და მიუსადაგონ თითოეულ სურათს, შეძლებისდაგვარად ხმით მიჰბაძონ ამ ხმებს, შემდგომ ეს ხმები გადააქციონ „სემპლებად“, შეიყვანონ **LMMS** კომპიუტერულ პროგრამაში, დაადონ რიტმული მონახაზი და ააჟღერონ. მივიღებთ ერთ სრულ პატარა კომპოზიციას, რომელიც ასეთი ტექნიკური ხმებითაა შედგენილი. ბავშვებს შეუძლიათ, ამ ხმებს ადგილები შეუცვალონ და ახალი რიტმული ფიგურაცია ან ხმის ეფექტი დაადონ, ე. ი. შექმნან ახალ-ახალი და სხვადასხვაგვარი კომპოზიცია. ამ ქმედებაში მათ ეხმარება მასწავლებელი.

მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS-ი

აქტივობა 3: ამ აქტივობაში მოცემულია მანქანის, მოტოციკლის, ტრაქტორის, მატარებლის და თვითმფრინავის ხმები. ასევე რიტმული ფიგურაციები.

მოუსმინეთ, ამოიცანით ეს ხმები. შემდეგ შეუთავსეთ ერთმანეთს და შექმენით მუსიკალური კოლაჟი ნიმუშის მიხედვით, რომელიც მოცემულია ამავე აქტივობის ფოლდერში.

მერი დავითაშვილი

დილა მშვიდობისა!“ – ამ სათაურით ცნობილი ქართველი კომპოზიტორის მერი დავითაშვილის საბავშვო სიმღერებს გავეცნობით.

სიმღერები – „დილა მშვიდობისა“, „დავიბანე პირი“, „ეს საწყალი კურდღელი“, „პატარა მატარებელი“, „ანაო, ანა-ბანაო“, საბავშვო ოპერები – „ნაცარქექია“ და „ქაჯანა“, მუსიკა კინოფილმისათვის „მანანა“, მულტფილმებისათვის – „ჩხიკვთა ქორწილი“, „წუნა და წრუწუნა“, „ნახევარწიწილა“, „რწყილი და ჭიანჭველა“ მერი დავითაშვილის საუკეთესო ნაწარმოებებია. მისი საოცარი საბავშვო სიმღერები, ქართული საბავშვო სასიმღერო ხელოვნების მოციმციმე მარგალიტები, ყველას ბავშვობას გვახსენებს. რამდენი თაობა გაიზარდა ამ სიმღერებზე! კოლეგები მას ხშირად იაკობ გოგებაშვილს ადარებდნენ და ეუბნებოდნენ: რაც გოგებაშვილმა ბავშვებისათვის „დედა ენით“ შეძლო, შენ იგივე მუსიკაში შენი საბავშვო სიმღერებით გააკეთეო. სწორედ ამიტომაც, ღირსეულად დაიმსახურა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია.

ახლა შევისწავლოთ **მ. დავითაშვილის „მანანას სიმღერა“** კინოფილმიდან **„მანანა“**:

მიყვარს ხტუნვა-თამაში, თამაში,
ყველაფერზე ძალიან, ძალიან,
მოსაწყენად, მითხარით,
აბა სადა მცალია!
დელი, დელა, დელასა, და.

მისამღერი:
ჩიტებს მიუსიმღერებ,
ჭიკ-ჭიკ-ჭიკ-ჭიკ – მერცხალო,
მანანა ვარ, იცოდეთ,
სხვებში არ შეგეცვალოთ.

თუკი ცოტას ვიცელქებ, ვიცელქებ,
ისე ჯავრობს მამიკო, მამიკო,
თითქოს პატარობისას
თვითონ ცელქი არ იყო,
დელი, დელა, დელასა, და.

მისამღერი:
ჩიტებს მიუსიმღერებ
ჭიკ-ჭიკ-ჭიკ-ჭიკ – მერცხალო,
მანანა ვარ, იცოდეთ,
სხვებში არ შეგეცვალოთ.

მეთოდური მითითება: მასწავლებელს შეუძლია, გამოიყენოს ინფორმაცია „მუსიკის ისტორიიდან“ და ერთ-ერთ გაკვეთილზე ორიოდე სიტყვით ბავშვებს უამბოს, როგორ გაჩნდა სანოტო დამწერლობა; თან მუსიკა მოასმენინოს და ნოტები გააფერადებინოს.

მუსიკალური განტვირთვა: ბავშვები უსმენენ **ჟ. ბიზეს ოპერა „კარმენის“** III მოქმედების საორკესტრო შესავალს. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს თავიანთი შთაბეჭდილება-განწყობა დაწერონ.

მეორე მოსმენისას ასრულებენ აქტივობას „დახატე და გააფერადე ნოტები“.





მანანას სიმღერა





გამოყავი მოტივი და დაითვალე, რამდენი ბგერისაგან შედგება



მისამღერზე ბავშვები აჰყვებიან **„დასარტყამ საკრავთა ორკესტრით“,** რაც სიმღერას უფრო მხიარულს გახდის.

ინფორმაციისათვის

მუსიკის ისტორიიდან: კლასიკური მუსიკის სათავეების ძიებას მაინც ანტიკური ხანის საბერძნეთამდე მივყავართ. სწორედ ძველი ბერძნული მუსიკა დაედო საფუძვლად ევროპული მუსიკის განვითარებას. შემთხვევითი არ არის, რომ თანამედროვე მუსიკის თეორია და ჰარმონია თითქმის მთლიანად ბერძნული მუსიკალური ტერმინებითაა გაჯერებული.

ანტიკური ხანის ბერძნულ მუსიკაში ორი მიმართულება გამოიყოფა: მამაკაცთა და ბავშვთა საგუნდო მუსიკა და ვოკალურ-საკრავიერი ერთხმიანი ლირიკული სიმღერები კითარის, ფლეიტის, ლირის, არფის, ავლოსის (სალამურის მსგავსი საკრავი, შემოსულია აზიიდან) თანხლებით.

მენადა ორმაგი ავლოსით

ძვ. წ.აღ. VII საუკუნეში კუნძულ ლესბოსზე განვითარდა საკრავიერი ხელოვნება – არფის მსგავსი შვიდსიმიანი კითარა. 675 წელს ლესბოსზე ტერმინდრემ დააარსა პირველი ბერძნული სამუსიკო სკოლა. ბერძნულ ტრაგედიაში მუსიკას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, რომელიც წარმოდგენილი იყო გუნდისა და ორკესტრის სახით. დამოუკიდებელი, დახვეწილი სახე ვოკალურმა სასიმღერო ლირიკამ საბერძნეთში ძვ. წ. აღ. VII-VI სს.-ში მიიღო (იონიელი და ეოლიელი მუსიკოსები – ტერპანდრე, არიონი, საფო, ანაკრეონტე).

ძველბერძნული ერთხმიანი მუსიკა მთლიანად დამოკიდებული იყო პოეზიაზე. ძველი ჩინური, იაპონური, პოლინეზიური მუსიკის მსგავსად, ისიც ხუთ საფეხურს ეყრდნობოდა, რომლებზეც იქმნებოდა უძველესი მელოდიები. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა შვიდსაფეხურიანი წყობა – **c, d, e, f, g, a, h.** გამა შედგებოდა ორი დიატონური ტეტრაქორდისაგან. საკრავზეც ოთხი სიმი ისე იყო განლაგებული, რომ I და IV ერთმანეთთან წმინდა კვარტას ქმნიდა. განასხვავებენ იონიურ, დორიულ, ფრიგიულ, ლიდიურ, მიქსოლიდიურ, ეოლიურ და ჰიპოფრიგულ კილოებს.

ანტიკური ხანის მუსიკალურ ხელოვნებას მეცნიერული საფუძველი ჩვ. წ.აღ.მდე VI საუკუნეში ბერძენმა ფილოსოფოსმა პითაგორამ ჩაუყარა. პითაგორას გზას გაჰყვნენ, – მუსიკალური აზროვნების არსი და დანიშნულება შეისწავლეს, – არისტოტელემ, პლატონმა, პლუტარქემ, პტოლემეუსმა. თავისი დროის უდიდეს ბერძენ მუსიკისმცოდნედ და თეორეტიკოსად გვევლინება არისტოტელეს მოწაფე არისტოქსენე (დაახ. 350წ. ჩვ. წ.აღ.), რომელმაც გააგრძელა და დაამუშავა პითაგორას მიერ დაწყებული მათემატიკურ-აკუსტიკური თეორია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ნაშრომი მუსიკალური რიტმის თეორიაში.

ძველი ბერძენი მეცნიერების თეორია მუსიკის შესახებ საფუძვლად დაედო შუასაუკუნეების მუსიკის სწავლებას. შუა საუკუნეების მუსიკალური ცხოვრება მთლიანად ეკლესია-მონასტრებსა და ღვთისმსახურებას უკავშირდებოდა.

მუზა არფით.
ძვ. წ. 440 წ.

ეპისკოპოსმა წმინდა ამბროსიმ დაადგინა ბერძნებისაგან ნასესხები ოთხი ძირითადი, ავთენტიკური კილო. უფრო მნიშვნელოვანი რეფორმა გაატარა რომის პაპმა გრიგორი დიდმა – ავთენტიკურ კილოებს დაუმატა ოთხი პლაგალური კილო, რითაც დახვეწა და განავითარა სასიმღერო-ვოკალური სკოლა – **Cantus planus**, ე.წ. გრიგორიანული ქორალი. თუ ანტიკური ხანის ბერძნულ მუსიკაში მუსიკალური მეტრი განისაზღვრებოდა პოეტური ტექსტით, გრიგორიანულ ქორალში მელოდია ერთგვაროვან რიტმულ ნახაზზე დაფუძნებული ნოტებით გაიმღერება – რიტმული მრავალფეროვნება უკანა პლანზე გადადის.

დროთა განმავლობაში გაჩნდა მოთხოვნა, შექმნილიყო მუსიკალური ბგერების ჩაწერის სისტემა – ნოტაცია. ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან ადრეულ შუა საუკუნეებამდე არსებობდა ბერძნული ანბანის ოცდაოთხი ასოთი გამოსახული ნოტების ჩაწერის ანბანური – ასოითი – სისტემა. ასო აღნიშნავდა ცალკეულ მუსიკალურ ბგერას, ტონს და გადმოსცემდა ერთხმიან მელოდიას. მოგვიანებით ნოტების ჩასაწერად დამკვიდრდა გრიგორიანული სისტემა – ე.წ ნევმები და ბერძნული ანბანის შვიდი ასო. ნევმები მომღერალ კაცუნებს მოგვაგონებდა, რომლებიც ცვლიდნენ მელოდიის მიმართულებას, ხასიათს, მაგრამ არ ხერხდებოდა გრძლიობის აღნიშვნა. მუსიკალური ნოტაცია არ იყო სრულყოფილი და შეცვლას საჭიროებდა.

ლექსიკონი

ნოტი – ლათინურად მუსიკალური ბგერის პირობითი გრაფიკული ნიშანი.
მენადა – დიონისეს მხევალი, უკრავდა ავლოსზე.



ქალაქის საათები

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

აქტივობა, ქალაქის საათები: ყველა დიდ ქალაქს ამშვენებს ცენტრალურ მოედანზე განთავსებული საათები და მათი ხმები. ისინი ყოველ საათში ერთხელ გამოსცემენ სხვადასხვა მელოდიას, რომლებიც ზარის ტემბრული ხმოვანებითაა აწყობილი. საათის ზარების ხმა ერთგვარ ელფერს აძლევს ქალაქის გაბმულ და არეულ ხმა-ხმაურს. ზოგიერთი საათის მელოდია იმდენად გამახსოვრდება, რომ ხმის მიხედვითაც შეგიძლია დაადგინო, რომელი ქალაქის საათი ჟღერს. ხშირად საათის ზარის ხმა აგებულია იმ ქვეყნის ჰიმნის ან ცნობილი სიმღერის მელოდიაზე.

მასწავლებელი აჩვენებს **ვიდეოს** სხვადასხვა ქალაქის საათებზე და ასმენინებს მათ ხმებს. აცნობს, თუ რომელი ზარის ხმა რომელი ქალაქის საათის ხმას შეესაბამება: ლონდონის – ბიგ-ბენის საათის, ილინოისის შტატის – პარკის საათის, კალიფორნიის შტატის – სან-ფრანცისკოს საათის ხმები.

დავალება: LMMS პროგრამაში მოცემულია სხვადასხვა ქალაქის ზარების „სემპლები“. ბავშვები ამ „სემპლებს“ დაადებენ ხმის ეფექტს ან რიტმს და ქმნიან მუსიკალურ კოლაჟებს. ბავშვები უსმენენ მუსიკალურ კოლაჟს და ასახელებენ, რომელი ქალაქის ზარის ხმებია გამოყენებული ამ კოლაჟში. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ჩაიწერონ თბილისის თავისუფლების მოედნის საათის ხმა და ამოიცნონ, რომელი ცნობილი სიმღერაა გამოყენებული. ასევე ამოიცნობენ თი-ბი-სი ბანკის საათის მელოდიას.

ილინოისის პარკის საათი

ლონდონი, ბიგ-ბენის საათი

სან-ფრანცისკოს საათი

მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS-ი

აქტივობა 4: ამ აქტივობაში მოცემულია ილინოისის, ტეხასის შტატის და ლონდონის ბიგ ბენის ზარები, ასევე მუსიკალური ფონი.

ტრეკები პროგრამაში არეულად არის დაწყობილი. დაალაგეთ ტრეკები ნიმუშის მიხედვით, რომელიც აუდიო ფაილის სახით არის მოცემული ამავე აქტივობის ფოლდერში.

ამოიცანით ნაცნობი ზარები. შემდეგ შეგიძლიათ ტრეკები დაალაგოთ სხვადასხვა თანმიმდევრობით და შექმნათ მუსიკალური კოლაჟის რამდენიმე ვარიანტი.

მუსიკალური განტვირთვა: ვ.ა. მოცარტი. „ფიგაროს ქორწინება“ – უვერტიურა. გაკვეთილის ბოლოს ბავშვები უსმენენ მუსიკას და ასრულებენ აქტივობას – „დახატე და გააფერადე ნოტები“. ასეთ აქტივობებს ეთმობა ოთხი გაკვეთილი და ვემზადებით სანოტო დამწერლობის შესასწავლად.



სად ცხოვრობენ „მხიარული ნოტები“?

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

– ბავშვებო, წერა-კითხვა უკვე ვისწავლეთ, ახლა კი მუსიკალური ანბანის შესწავლის დროც დადგა!

სად ცხოვრობენ მხიარული ნოტები? – ჩვეულებრივ, ისინი ხაზებზე ცხოვრობენ.

მასწავლებელი დაფაზე ავლებს ხუთ ხაზს და ბავშვებს ეკითხება:

– ბავშვებო, დათვალეთ, რამდენი ხაზია.

– ხუთი, – უპასუხებენ ბავშვები.

– ეს მათი სახლია! აქამდე ჩვენ ცალკეულ ხაზზე – ჯერ ერთზე, შემდეგ – ორზე, ოთხზე – ვხატავდით და ვაფერადებდით ნოტებს. ამ სავარჯიშოების დახმარებით თქვენ ძალიან გაგიადვილდებათ ნოტების სწორად და ზუსტად მოხაზვა. მხიარული ნოტები იწერება ხაზებზე და ხაზებს შუა. ამ ხუთ ხაზს **სანოტო სისტემა** ეწოდება. მესამე კლასში ჩვენ შევისწავლით შვიდი მხიარული ნოტის წერას.

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, სწორად გაავლონ ხუთი პარალელური ხაზი.

მუსიკალური განტვირთვა: ბავშვები **უსმენენ რიჩარდ როჯერსის სიმღერას – „დო, რე, მი...“ – კინოფილმიდან „მუსიკის ჰანგები“** და ასრულებენ სავარჯიშოს – „დახატე და გააფერადე ნოტები“.

ინფორმაციისათვის

მუსიკის ისტორიიდან: მუსიკაში უდიდეს რეფორმატორად გვევლინება იტალიელი მუსიკოსი, პედაგოგი და თეორეტიკოსი გვიდო დ’არეცო (არეცოელი, 995-1050 წწ). მისი რეფორმა მრავალწლიანი პედაგოგური მოღვაწეობის ნაყოფია: „ჩემთვის უცხოა ფილოსოფოსების გზა, ის არ არის ჩემი მიზანი, მე ვცდილობ და ვზრუნავ, ჩემს მოსწავლეებს მუსიკის შესწავლა შევუმსუბუქო“. მან ამ მიზნით შექმნა ახალი მარტივი სანოტო სისტემა – ოთხი ხაზი – შავი და ფერადი ხაზი (მანამდე ხმარობდნენ ერთ ხაზს). ყოველ მუსიკალურ ბგერას, ხმას, ნოტს სანოტო ხაზზე სხვადასხვა ადგილი მიუჩინა. ნოტებს წერდა ხაზზე და ხაზებს შორისაც. 1026 წელს გვიდო დ’არეცო რომის პაპმა დაიბარა რომში. პირველად აქ გამოცხადდა საჯაროდ გვიდო დ’არეცოს გამოგონების შესახებ. მისი მუსიკალური რეფორმა მოიწონეს და მიიღეს მუსიკოსებმა და თეორეტიკოსებმა.

გვიდო დ’არეცოს დამსახურება არ შემოიფარგლება მხოლოდ ახალი ოთხხაზიანი სისტემის გამოგონებით, მანვე შემოიტანა პირველი ექვსი ნოტის მარცვლოვანი დასახელება. ამისათვის გამოიყენა იოანე ნათლისმცემლის ჰიმნის სიტყვების პირველი მარცვლები, რომლებიც თანმიმდევრულად ემთხვეოდა დიატონურ გამას; – „**ut**-queant Laxis – **re**-sonare fibris – **mi**-ra gestorum“... ორიგინალური იყო გვიდოს პედაგოგიური მეთოდი – სწორედ ამ ჰიმნის დახმარებით ასწავლიდა თავის მონაფეებს მუსიკას. VII საფეხური – სი – XVI საუკუნეში დაამატა ბავარიელმა მუსიკოსმა. „სი” ნოტის დასახელება მიღებულ იქნა ჰიმნის ბოლო სტრიქონის პირველი ორი მარცვლიდან – **Sancte Ioanes**. ხოლო XVIII-ში იტალიელმა მუსიკოსმა ჯოვანი ბატისტა დონიმ **ut** შეცვალა **do**-თი. წმ. იოანეს ჰიმნი ყველაზე მნიშვნელოვანი ლოცვა-საგალობელია, ვინაიდან ნოტების წარმოშობას სწორედ ამ ჰიმნმა დაუდო სათავე. ამრიგად, მივიღეთ სრულყოფილი ხუთხაზიანი სანოტო სისტემა, რომელიც დღემდე იხმარება.



გვიდო დ’არეცო

დო – Dominus – უფალი
რე – rerum – მატერია
მი – miraculum – სასწაული
ფა – familias planetarium – მზის სისტემა
სოლ – solis – მზე
ლა – lactea via – ირმის ნახტომი
სი – siderae – ზეცა

ლექსიკონი

ნევმები (ძველბერძნულად სუნთქვა) – მუსიკის ჩაწერის შუასაუკუნოვანი სისტემა. ტექსტზე ზემოდან აღნიშნული სპეციალური ნიშნები მიუთითებდა მელოდიის მიმართულებას, თუმცა არ განსაზღვრავდა ბგერის ზუსტ სიმაღლეს.

ქორალი – 1. ძველბერძნულად – გუნდური გალობა. 2. კათოლიკური და პროტესტანტული მრავალხმიანი გალობა. 3. საგალობელი.



„მზეო თიბათვისა“

მზის სხივი მუსიკაში: „მარადიული მზის სხივი მუსიკაში“ – ასე უწოდა ვოლფგანგ ამადეუს მოცარტს რუსმა კომპოზიტორმა და პიანისტმა ანტონ რუბინშტეინმა. არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი შემოქმედებით ნათელ, წარუშლელ კვალს ტოვებენ დედამიწაზე. ისინი საუკუნის ადამიანები არიან. რუბრიკით „მზის სხივი მუსიკაში“ გავეცნობით გამოჩენილ მუსიკოსთა და მომღერალთა შემოქმედებას.



ჰ. გონაშვილი

მუსიკის ფონზე – ს.ცინცაძე საკვარტეტო მინიატურა „მზე შინა“ – მასწავლებელი უკითხავს ბავშვებს:

„მზეო თიბათვისა...“ ცნობილი ქართველი საოპერო მომღერალი, „საქართველოს ბულბულად“ წოდებული ვანო სარაჯიშვილი მშობლიურ კახეთს – ანაგას – ხშირად სტუმრობდა. მათი სახლიდან ყოველთვის სიმღერის ხმა გამოდიოდა. სოფლელები ტკბებოდნენ და ამაყობდნენ სახელგანთქმული თანამემამულით. მარიამისა და სარაჯიშვილების ეზოებს ერთი ღობე ჰყოფდა. მარიამი ღობესთან იჯდა, ვანოს სიმღერას უსმენდა და შენატროდა:

– ნეტავი ამის დედას, ასეთი საამაყო შვილი რომ ჰყავსო!

გავიდა ხანი. მარიამიც გახდა დედა და სამშობლოს სასიქადულო შვილები აღუზარდა. ერთხელ მისმა ვაჟმა დედასთან ჩასვლა დააგვიანა. მარიამმა თბილისში ჩააკითხა, მაგრამ იქაც ვერ ნახა. დადარდიანებული დედა მატარებლის კუპეში იჯდა და სოფელში ბრუნდებოდა. ფიქრები ახალგაზრდა კაცის სიმღერამ გაუფანტა: ვიღაც ფანდურზე უკრავდა და განუმეორებელი, ღვთაებრივი ხმით მღეროდა. უსმინა, უსმინა მარიამმა და უნებურად აღმოხდა:

– ნეტავ შენს დედას, ასეთი შვილი რომ გაუზრდიხარო!

ბაქანზე ჩამოსულმა მარიამმა თვალი მოჰკრა მომღერალს... ახალგაზრდა კაცი გამოჩენილი ქართველი მომღერალი ჰამლეტ გონაშვილი იყო, ხოლო მარიამი ჰამლეტის დედა, ბავშვები სიყვარულით მარგო ბებიას რომ ვეძახდით.

დაუსრულებლად შეიძლება ისაუბრო ამ დიდებულ ადამიანზე: უაღრესად დიდსულოვანი, განათლებული, კეთილშობილი პიროვნება, რომელსაც განუზომლად უყვარდა საქართველო, თავისი ხალხი, ბუნება, პოეზია. გასტროლებიდან ისე არ დაბრუნდებოდა, ყვავილების თესლი ან ნერგი რომ არ ჩამოეტანა. თბილისში, მის ეზოში, ახლაც დგას სირიიდან ჩამოტანილი იშვიათი ჯიშის ლეღვის ხე. შორეულ ქვეყნებში მოგზაურობისას სულ გემბანზე იდგა, ათვალიერებდა გარემოს, ცას შეჰყურებდა, თოლიებს ესაუბრებოდა – დაიყრიდა ხელის გულზე პურის ნამცეცებს და თოლიებიც მისი ხელიდან კენკავდნენ. ეს ამბავი ყველას აოცებდა.

ჰამლეტ გონაშვილის იშვიათი ხმისათვის სიმღერები და ვოკალური ნაწარმოებები დაწერეს ოთარ თაქთაქიშვილმა, იაკობ ბობოხიძემ, ეთერ ჭელიძემ, ხოლო გია ყანჩელმა გონაშვილის ხმა თავის მე-3 სიმფონიაში გამოიყენა. გალაკტიონის ლექსზე შექმნილი იაკობ ბობოხიძის ულამაზესი სიმღერა „მზეო თიბათვისა“ ჰამლეტ გონაშვილმა შეასრულა.

მუსიკალური განტვირთვა: ი. ბობოხიძე – „მზეო თიბათვისა“, ასრულებს ჰამლეტ გონაშვილი.

ბავშვები თვალდახუჭული უსმენენ სიმღერას. განმეორებითი მოსმენისას მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს გადმოსცენ საკუთარი აზრი და განწყობილება.

მასწავლებელს შეუძლია ბავშვებს მოასმენინოს ჰამლეტ გონაშვილის შესრულებით სხვა სიმღერებიც: **„ჭონა“, „წინ წყარო“** და სხვა, რომელიც მოცემულია ელექტრონული რესურსის დამატებით სიაში.

გალაკტიონ ტაბიძე

როგორ შევქმნათ მუსიკალური კოლაჟი ქალაქის სხვადასხვა ხმის, მუსიკალური ინტონაციის, რიტმისა და ტემპის მეშვეობით

ქალაქის ხმები - 3

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

სიმღერების განმეორება: „დო რე მი“, „მანანას სიმღერა“.

აქტივობა: ამოიცანი ნაბიჯები. მოსწავლის წიგნში მოცემულია ბავშვის, ქალის, მამაკაცისა და ჯარისკაცის ფოტოები. მასწავლებელი ასმენინებს სხვადასხვა ნაბიჯის ხმას და სთხოვს ბავშვებს, ამოიცნონ რომელი ნაბიჯის ხმა რომელ სურათს მიესადაგება. ამის შემდეგ ასმენინებს ერთ მუსიკალურ ნაწარმოებს, მარშს: **ჯ. ფ. სოუსა – washington post** ბავშვები ამ ნაწარმოებს უსადაგებენ სურათებზე გამოსახულ ადამიანებს. მასწავლებელი კითხვებით ამოწურავს ბავშვების ნააზრევსა და შთაბეჭდილებებს. სხადასხვა სიმაღლის ადამიანები განსხვავებულად დადიან. პატარა ბავშვი სწრაფად დადის, მაღალი – ნელა.

1. ბავშვი უფრო სწრაფად დადის თუ ჯარისკაცი?
2. ქალის ფეხის ხმა უფრო ხმამაღლა ისმის თუ მამაკაცის?
3. რომელი ფეხის ხმა ისმის მაღალ რეგისტრში?
4. რომელი ფეხის ხმა ისმის დაბალ რეგისტრში?

მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS-ი

აქტივობა 5: ამ აქტივობაში მოცემულია ბავშვის, ქალის და კაცის ნაბიჯების ხმა.

ბავშვმა უნდა მოუსმინოს და გამოიცნოს რომელი ნაბიჯის ხმა არის ბავშვის, ქალის ან კაცის. შეგიძლიათ ტრეკები სხვადასხვა თანმიმდევრობით მოისმინოთ. ამ „სემპლებს“ დავადოთ ხმის ეფექტი ან რიტმი და შევქმნათ **მუსიკალური კოლაჟი**.

მეთოდური მითითება: ყველა გამოსახულება, ადამიანთა ნაბიჯების, გარემოს ხმები, მუსიკა, რიტმული ფიგურაციები – ყველაფერი ერთ მთლიანობას უნდა ქმნიდეს. ბავშვებმა უნდა გაიგონ, რომ თუ ყურადღებით მოვუსმენთ ამ ხმებს, შეგვიძლია შევთხზათ ამბავი, გადმოვცეთ ჩვენი განწყობა. სხვადასხვა ხმა-ხმაურის ერთობლიობით შეგვიძლია შევქმნათ ერთგვარი მუსიკალური კომპოზიცია – კოლაჟი.

ვიოლინოს გასაღები

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 90 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

ვიოლინოს გასაღები: მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, რვეულებში გაავლონ ხუთი პარალელური სწორი ხაზი.

– ჩვენ უკვე ვიცით, რომ ეს ხუთი ხაზი ნოტების სახლია. როცა სახლი დაკეტილია, რითი უნდა გავაღოთ?

– გასაღებით, გასაღებით!

– მუსიკაში ასეთ გასაღებს „ვიოლინოს გასაღები“ ჰქვია. როგორც კი ვიოლინოს გასაღებს ხაზების წინ დახატავთ, „სახლი ღიაა“ და თავისუფლად შეგიძლიათ განალაგოთ შვიდი ნოტი.

მასწავლებელი ხატავს ვიოლინოს გასაღებს.

– ახლა ვიოლინოს გასაღების გამოხატვა-დაწერა ვისწავლოთ. რომელ ნაცნობ საკრავს მოგაგონებთ გასაღები?

ვიოლინოს გასაღები სანოტო სისტემის ერთ-ერთი ძირითადი გასაღებია, მას „სოლ“ გასაღებსაც უწოდებენ, ვინაიდან პირველი ოქტავის სოლ და ვიოლინოს გასაღებიც – ორივე სანოტო სისტემის მეორე ხაზზე იწერება. ვიოლინოს გასაღები ლათინური ასო **G**-ს შეცვლილი ფორმაა. ამ გასაღებში თავისუფლად იწერება საშუალო და მაღალი რეგისტრის ბგერები.

მუსიკალური განტვირთვა: ბავშვები უსმენენ **ი.ს. ბახის კონცერტს ორი კლავესინისათვის c-moll** და ვიოლინოს გასაღების წერასა და გაფერადებას სწავლობენ.

ინფორმაციისათვის

მუსიკის ისტორიიდან: პითაგორა (VI საუკუნე ჩვ.წ.აღ-მდე) ანტიკური ხანის უდიდესი ბერძენი მოაზროვნე, ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, ბუნებისმეტყველი, ანტიკური მუსიკალური მეცნიერების ფუძემდებელი. პითაგორამ მათემატიკის, ერთ-ერთ ყველაზე ზუსტი მეცნიერების, საშუალებით დაამტკიცა, რომ სამყაროში პლანეტებს, ყველა საგანს – სულიერსა თუ უსულოს – თავისი მუსიკალური ხმა აქვს. ქალდეველებმა და ძველმა კოლხებმა პირველებმა წამოაყენეს აზრი, რომ ციური სხეული – დედამიწა – მარად ასრულებს კოსმიურ ჰიმნს მუდმივი მოძრაობის შესაბამისად.

პითაგორა განიხილავდა სამყაროს, როგორც ერთხმიან მონოქორდს, რომლის ერთი ბოლო მიმაგრებულია სულის აბსოლუტთან, ე.ი. ცასთან, ხოლო მეორე – მატერიის აბსოლუტთან ანუ მიწასთან – სიმი დაჭიმულია ცასა და მიწას შორის. პითაგორელები, პლანეტების სიდიდისა და სისწრაფის მიხედვით, დიატონური გამის ბგერებს არქმევდნენ პლანეტების სახელებს. მათი მოსაზრებით, თითოეული პლანეტა, თავიანთ ორბიტაზე მოძრაობისას, ეთერულ მტვერთან ხახუნის შედეგად, გამოსცემდა განსაზღვრული ტონალობის ხმას, ხოლო შვიდივე ზეციური პლანეტის ერთობლივი ხმა იყო მარადიული გალობა, ჰიმნი უზენაესი შემოქმედის – ღმერთის მიმართ.



ძველი ანტიკური ხანის საკრავებს უმეტესად შვიდი სიმი ჰქონდა. შვიდი სიმი, – ადამიანის შვიდ ნაწილად დაყოფილი სხეული, ანუ შვიდი პლანეტის ანალოგია. საკრავი – ლირა, ქნარი, კითარა – ადამიანის ფიზიკური სხეულია, სიმები – ნერვები, მუსიკა – სული. პითაგორამ საკრავებს მერვე სიმი დაუმატა. პითაგორას მუსიკალურ-აკუსტიკურ მოძღვრებას მთლიანად იზიარებდნენ ანტიკური ხანის ბერძენი ფილოსოფოსები: არისტოტელე, არისტოქსენე, ევკლიდე, ერატოსფენე, დიდიმი, პტოლემეუსი, პლუტარქე.

ავტორისაგან: ჩვენ ზოგადად მიმოვიხილეთ პითაგორას მეცნიერული მოსაზრებები მუსიკასა და მუსიკის თეორიაზე, ხმოვანებასა და სულიერებაზე, სწავლებასა და აზროვნებაზე. ვფიქრობთ, ეს ახლებურად და სხვაგვარად განგაწყობთ, დაგეხმარებათ ბავშვებთან მუშაობაში, გაიზრდება თქვენი თვალსაწიერი, მსოფლმხედველობა, გემოვნება; გაგიჩნდებათ სურვილი, თქვენ თვითონ მოიპოვოთ უფრო მეტი ინფორმაცია და გაიღრმავოთ ცოდნა.

ამ უდიდესი ფილოსოფოსისა და მათემატიკოსის (სკოლაში დღესაც ისწავლება პითაგორას თეორემა) პიროვნებამ დაბადა იდეა, სახელმძღვანელოში შემოგვეყვანა ახალი გმირი – „პითაგორა-ბიჭუნა“. იმედია, ის ბავშვებისა და მასწავლებლების საყვარელი გმირი გახდება.


ისწავლე გითარის გასაღების დაწერა







„შინა ვორგილ“

მოვიარე სიმღერით...

პატარა დირიჟორმა სვანეთში იმოგზაურა. კესომ და ტასომ დირიჟორი სახალხო დღესასწაულზე ეკლესიაში წაიყვანეს.

მალე ცეკვა-სიმღერის ხმა გაისმა. პატარა დირიჟორმა ყურები ცქვიტა და მომღერლებისაკენ გაემართა: ეკლესიის ეზოში, უშბის ფონზე, სვანურ ჩოხებსა და ქუდებში გამოწყობილ ათიოდე კაცს ფერხული ჩაება და მღეროდა. თანდათან რიტმი აჩქარდა და ეს უცნაური ნელი ფერხული ცეცხლოვან ცეკვა-სიმღერაში გადაიზარდა. დირიჟორი აღფრთოვანდა, მაშინვე მოიმარჯვა ნოტის ფურცელი და სიმღერის მელოდია ჩაიწერა.

– რა ენაზე მღერიან? – ჰკითხა გოგოებს.

– სვანურად! სვანურიც ხომ ქართველური ენაა და ჩვენც ყველანი – ქართლელი, კახელი, იმერელი, გურული, აჭარელი, მეგრელი, სვანი, რაჭველი, ლეჩხუმელი, თუში, ფშაველი, ხევსური, მოხევე, მესხი, ჯავახი – ქართველები ვართ და ქართულ ენაზე ვსწავლობთ სკოლაში, – მოკლედ აუხსნეს გოგოებმა.

– რა კარგი აზრი მომივიდა თავში! ამის შემდეგ ჩემს მოსწავლეებს სხვადასხვა კუთხის სიმღერებს ვასწავლი, მათ შორის, სვანურს, მეგრულსა და ლაზურს!

ახალი სიმღერის შესწავლა: სვანური ხალხური სიმღერა **„შინა ვორგილ“**.

შინა ვორგილ, ვორგილ ვოისა,
ვოი, შინა ვოგეგე.
შინა ვორგილ, ვორგილ ვოისა,
ვოი, შინა ვოგეგე. /2-ჯერ/

ოისავრერო რამაიდა,
ოისა ორუდილო რამაიდა. /2-ჯერ/

შინა ვორგილ, ვორგილ ვოისა,
ვოი, შინა ვოგეგე.
შინა ვორგილ, ვორგილ ვოისა,
ვოი, შინა ვოგეგე, ოოო...

მუსიკალური განტვირთვა: ბავშვები უსმენენ სიმღერის „შინა ვორგილ“ აუდიო ჩანაწერს.

„შინა ვორგილ“ – ამ სიმღერის სიტყვებმა საუკუნეების მანძილზე დაკარგეს თავიანთი მნიშვნელობა. ამგვარი სიტყვები მრავლადაა ქართულ ხალხურ სიმღერაში, მაგ. **ჰარალე, ორუდილა, ოდელია, ჰერიო, რანინა** და სხვ. მათ **გლოსოლალიებს** უწოდებენ. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს ამ სიტყვებზე მოიგონონ პატარა მოტივები და კლასში ააჟღერონ.

ინფორმაციისათვის

ქართული სალიტერატურო ენა მწიგნობრობის ენა იყო და არის ამჟამადაც. სვანური, მეგრულ-ჭანური, ანუ ზანური, ქართველური უმწერლო ენებია. სვანური ოცდაათი საუკუნის წინ ცალკე დიალექტად გამოეყო ერთიან ქართულ ენას, მეგრული – ოცი საუკუნის წინ. მართალია, მათ დედაქართულთან საოცარი სიახლოვე და ერთიანობა აკავშირებთ, მაგრამ წინარექართულის (პრექართულის) უძველესი ენობრივი ფორმები და თავისებურებები შეინარჩუნეს.

„შინა ვორგილ“

სვანური



მეთოდური მითითება: სამხმიანი სიმღერისას ბავშვებს ვასწავლით წამყვან ხმას – ხშირად ეს შუა ხმაა, უფრო იშვიათად – მაღალი. რამდენადაც საქართველო მრავალხმიანი მუსიკალური აზროვნებისა და ტრადიციის ქვეყანაა, აუცილებელია, ბავშვებს მრავალხმიანი (ორ ან სამხმიანი) სიმღერის სრულყოფილი ვერსიის აუდიოჩანაწერი მოვასმენინოთ. როცა ბავშვები კარგად აითვისებენ მელოდიას, შესაძლებელია მასწავლებელმა ბანი იმღეროს, რათა ბავშვების ყური თანდათან შეეჩვიოს მრავალხმიანობას, მრავალხმიან აზროვნებას. რატომ ბანი და არა მაღალი ხმა? – იმიტომ, რომ უმეტესად სწორედ ბანია კილოს საყრდენი და ფუნქციონალობის განმსაზღვრელი.

მუსიკა და ნაბიჯები

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: მასწავლებელი ბავშვებს ახსენებს II კლასში ნასწავლ რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებს. თავიდან ბავშვები ასრულებენ მხოლოდ რიტმულ სავარჯიშოს, შემდგომ შემოდის იგივე მარცვლებზე ინტონაცია. ისინი აჰყვებიან ამ ინტონაციას „დასარტყამ საკრავთა ორკესტრით“, რაც უფრო ხალისიანს გახდის აქტივობას.



აქტივობა: მუსიკა და ნაბიჯები. მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს სამ ნაწარმოებს: **კ. დებიუსი – არაბესკა №2** (ბავშვის ფეხის ხმა), **ფ. შოპენი – ნოქტიურნი №9** (ქალის ფეხის ხმა), **ჯ. გერშვინი – Summer time** (კაცის ფეხის ხმა). სთხოვს ბავშვებს, ყურადღებით მოუსმინონ თითოეულს და მიუსადაგონ ბავშვის, ქალისა და მამაკაცის ნაბიჯების ხმას ეს ნაწარმოებები, მოსმენის შემდეგ თითოეული გმირის ნაბიჯების ხმა მიუსადაგონ რიტმულ ფიგურაციებს. მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს:

1. არის ნახტომები ამ მელოდიებში? აღმოაჩინე და დაასახელე.
2. როგორი ნახტომებია, გრძელი თუ მოკლე?

მასწავლებელი უხსნის ბავშვებს, რომ სხვადასხვა სიმაღლის ადამიანები სხვადასხვაგვარად დადიან: მაღალი დადის ნელა, ბავშვი დადის უფრო სწრაფად, საშუალო სიმაღლის ადამიანი – ზომიერად. მათი ნაბიჯების ხმა დაკავშირებულია რიტმთან და ზოგადად ინტერვალებთან. მაგალითად, ბავშვის სწრაფი მოკლე ნაბიჯების ხმა შეგვიძლია დავუკავშიროთ ვიზუალურად მერვედი ზომის ნოტებს, ქალის ნაბიჯების ხმა – მეოთხედებს, მამაკაცის – მეოთხედებს და სხვა რიტმულ ფიგურაციებს.

ეს არის ნიმუში რიტმული ფიგურაციებისა. ბავშვმა თავად უნდა მიუსადაგოს რომელი ფეხის ხმა რომელ ფიგურაციას შეესაბამება.

გამოსახულება და ქმედება დაუკავშირონ მუსიკას.



– ბავშვი

– ქალი

– მამაკაცი

მეთოდური მითითება: მესამე კლასში არ ვსწავლობთ ინტერვალებს. ამ თემას ვეხებით მხოლოდ მსგავსი აქტივობებით, როცა მელოდიაში არის გადმოცემული ნახტომები: გრძელი, მოკლე და ვადარებთ ინტერვალებს. ბავშვმა ეს ნახტომები მხოლოდ სმენით უნდა ამოიცნოს და გააცნობიეროს.

როგორ შევქმნათ მუსიკალური კოლაჟი ქალაქის სხვადასხვა ხმის, მუსიკალური ინტონაციის, რიტმისა და ტემპის მეშვეობით

ქალაქის ხმები - 4

შემაჯამებელი გაკვეთილი

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

სიმღერების განმეორება: „დო რე მი“, „მანანას სიმღერა“, „შინა ვორგილი“.

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: მასწავლებელი ბავშვებს ახსენებს II კლასში ნასწავლ რიტმულ ინტონაციურ სავარჯიშოებს. თავიდან ბავშვები ასრულებენ მხოლოდ რიტმულ სავარჯიშოს, შემდგომ შემოდის იგივე მარცვლებზე ინტონაცია. ისინი აჰყვებიან ამ ინტონაციას „დასარტყამ საკრავთა ორკესტრით“, რაც უფრო ხალისიანს გახდის აქტივობას.



აქტივობა: ჩაიწერე ქალაქის ხმები. მასწავლებელი უჩვენებს ბავშვებს **ვიდეოს**, სადაც ბიჭი თავისი აუდიოაპარატურით გადის ქალაქში, იწერს მისთვის საინტერესო სხვადასხვა ხმას. ეს ხმები შეჰყავს კომპიუტერულ მუსიკალურ პროგრამაში, გადააქცევს „სემპლებად“ და ქმნის მუსიკალურ კომპოზიციას – კოლაჟს. თუ ყურადღებით მოვუსმენთ ამ ჩანაწერს, ხმების დახმარებით შეგვიძლია მოვყვეთ, თუ რა ხდებოდა ქალაქში. თქვენც შეგიძლიათ ასეთი მუსიკალური კოლაჟის შექმნა, გაისეირნეთ ქალაქში, მოუსმინეთ გულისყურით ქალაქის ხმებს, ჩაიწერეთ **LMMS** პროგრამაში, შექმენით მუსიკალური კოლაჟი და წარუდგინეთ კლასს.

ასეთი ხმები შეგვიძლია ჩავწეროთ ყველგან: ქალაქში, სოფელში, ექსკურსიაზე, საკონცერტო დარბაზში, ზოოპარკში, კინოთეატრში. ამ ხმებისგან ჩაწერილი კომპოზიცია მოგვიყვება პატარა ისტორიებს. ყველაფერი, რაც მოძრაობს, გაურკვეველ ხმა-ბგერებს გამოსცემს. ბუნება ერთი მთლიანი ხმოვანი სამყაროა და ბავშვებმა უნდა ამოიცნონ ის.

ვიდეო ლინკი: Music from a street noise

შემოდგომის დღესასწაული

შემაჯამებელი გაკვეთილი

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 90 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში;

გარემოს აღწერა: შემოდგომის დღესასწაული შეიძლება მოეწყოს საკლასო ოთახშიც და ბუნების წიაღშიც.

მასწავლებელი ბავშვებს სთხოვს, თუ შესაძლებელია, შემოდგომის დღესასწაულისათვის მოიტანონ ნიგვზის, თხილის, ჩირის ან ქიშმიშის აცმები ჩურჩხელების ამოსავლებად.

საკლასო ოთახი ცარიელია. კედლებზე ბავშვების მიერ მუსიკის გაკვეთილებზე ან თავისუფალ დროს შესრულებული ნახატებია გამოფენილი. მშობლები ეხმარებიან მასწავლებელს დღესასწაულის ლამაზად და ორგანიზებულად წარმართვაში.

ბავშვები დგანან წრეში, მღერიან ნასწავლ სიმღერებს, – „დო რე მი“, „მანანას სიმღერა“, „კომში, კომში“ „შინა ვორგილ“ აგრეთვე I-II კლასში ნასწავლ სიმღერებს, „ლალე“, „მზე შინა“, „მაი ლამაზი ბაჩაჩები“, „მამლი მუხასა“, „მოდი ვნახოთ ვენახი“, „ტრიალებს, ბრუნავს“, „ჩემი ლამაზი პეპელა“, „ეს ლამაზი მთები“ და სხვა... – სურვილისამებრ, ამბობენ ლექსებს და „წიკო-წიკოს“ ხმაზე ცეკვავენ... ბავშვებს ძალიან უხარიათ ნაცნობი სიმღერების გახსენება და კიდევ ერთხელ გამღერება.

მასწავლებელს დღესასწაული შეუძლია გააფორმოს სხვა მუსიკალური ნაწარმოებებითაც:

ი. შტრაუსი – „რადეცკი მარში“.

ვ.ა. მოცარტი – „ღამის პატარა სერანადა“. I და IV ნაწილი.

ს. ცინცაძე – „მზე შინა“, „სოფლური ცეკვა“.

სალამურის ჩანაწერი.

ზ. ფალიაშვილი – „ცეკვა ქართული“ ოპერიდან „დაისი“.

ვ. დოლიძე – „ცეკვა ქართული“ ოპერიდან „ქეთო და კოტე“ და სხვა (I,II,III კლასის მუსიკალური ნაწარმოებები).

დღესასწაულის ბოლოს, სასურველია, მასწავლებელმა წინასწარ გამზადებული თათარა (ფელამუში) შემოიტანოს და ბავშვებს აჩვენოს, როგორ ივლება ჩურჩხელა და ესაუბროს რისგან და როგორ მზადდება თათარა. ბავშვები ამ დღესასწაულზე იყენებენ თავიანთ „დასარტყამ საკრავთა ორკესტრს“. ამ ხმა-ბგერებს აყოლებენ სიმღერებსა და ცეკვებს.

„დასარტყამ საკრავთა ორკესტრი“



კომში, კომში...

ტექსტი: ნიკოლოზ ჩაჩავასი
მუსიკა: ლილი იაშვილისა





კომში, კომში, კომარა!
მომეც დიდი ტომარა!
ბებოს მივურბენინებ,
ბებო არ მაწყენინებს.
გამომიტანს ჩურჩხელას
ამოდენას, ამხელას
თავს მოვუკრავ ტომარას,
კომში, კომში, კომარა!

ზურგზე წამოვიკიდებ,
მომეც, ხომ არ ვიყიდე,
დიდ გზას გამოვატარებ,
დავურიგებ პატარებს.
ბევრს შენ მოგცემ და ბევრს სხვას,
ბევრსაც მე დავიტოვებ.
კომში, კომში, კომარა,
კომში, კომში, კომარა,
კომში, კომში, კომარა!

გარე სამყარო მუსიკაში

თემა: მუსიკალური გასეირნება ქალაქში

მიზანი: რიტმის, ტემპის, ინტონაციის საშუალებით მუსიკალური გასეირნების ამსახველი კომ-პოზიციის შექმნა და ჩაწერა. სიმღერების შესწავლა და რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების შესრულება.

მისაღწევი შედეგები: მუს.დაწყ.(I)1,2; მუს.დაწყ.(I)3

ატრაქციონები

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: მასწავლებელი ბავშვებს ახსენებს II კლასში ნასწავლ რიტმულ ინტონაციურ სავარჯიშოებს. თავიდან ბავშვები ასრულებენ მხოლოდ რიტმულ სა-ვარჯიშოს, შემდგომ შემოდის იგივე მარცვლებზე ინტონაცია. ისინი აჰყვებიან ამ ინტონაციას „დასარტყამ საკრავთა ორკესტრით“, რაც უფრო ხალისიანს გახდის აქტივობას.



აქტივობა: ატრაქციონები. მოსწავლის წიგნში მოცემულია ატრაქციონების სურათები: **კარუსელი, „ეშმაკის ბორბალი“, „ამერიკული მთები“** და **ჯაჭვები.** ბავშვები აკვირდებიან ფოტოებს, ასახელებენ და აღწერენ ატრაქციონებს. მასწავლებელი ასმენინებს ოთხ ნაწარმოებს:
დ. შოსტაკოვიჩი – საბალეტო სიუიტა №1, ვალსი სკერცო (მიესადაგება ცხოველების კარუსელს), **ა. ხაჩატურიანი – „ცეკვა ხმლებით“** (მიესადაგება ჯაჭვებს), **ი. პუჩიკი – „გლადიატორების მარში“** (მიესადაგება „ამერიკულ მთებს“), **დ. შოსტაკოვიჩი ვალსი №2** (მიესადაგება ეშმაკის ბორბალს). მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, წარმოიდგინონ, რომ პარკში სეირნობენ, დაინახეს ატრაქციო-ნები და მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოებები მიუსადაგონ თითოეულს. შეიძლება ბავშვებს განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდეთ, ყველა ეს მოსაზრება მისაღებია. კლასში მსჯელობა გაიმართება.

კარუსელი

„ეშმაკის ბორბალი“

„ამერიკული მთები“

ჯაჭვები

მხიარული ნოტი – მი

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

გახარებული დირიჟორი და პითაგორა-ბიჭუნა ჩვენს ძველ მეგობრებს – კატოს, მიხოს, თედოს, ია-გოგოს, დათა-ბათას, პეტრეს, გოგო-ანას – ესტუმრნენ და პირველი გაკვეთილიც ჩაატარეს. ბავშვები ყურადღებით უსმენდნენ უცნაურ და ძალიან საყვარელ პითაგორა-ბიჭუნას:

– ბავშვებო, როგორც უკვე იცით, მუსიკაში შვიდი მხიარული ნოტია, რომლებიც ხუთ ხაზზე იწერება და ამას სანოტო სისტემა ეწოდება, – ჰყვებოდა ბიჭუნა და თან დაფაზე ნიმუშებს ხატავდა.

– სანოტო ნიშნებისა და ხუთი ხაზის გამოგონებამდე, მუსიკას გრაფიკული ნიშნებითა და ნევმებით გამოსახავდნენ. ნევმები – პატარა ნახატი კაცუნები – აღნიშნავდნენ მელოდიის მიმართულებას, მიმიკებით გამოხატავდნენ მუსიკის ხასიათს, მხიარულ და სევდიან განწყობას. ბავშვებს უჭირდათ ნევმებით ჩაწერილი მუსიკის წაკითხვა-მღერა. X საუკუნეში იტალიელმა მუსიკოსმა და პედაგოგმა გვიდო დ'არეცომ თავისი მოწაფეებისათვის გამოიგონა ახალი მუსიკალური დამწერლობა, რითაც გააადვილა მუსიკის შესწავლა: თავდაპირველად შემოიღო ოთხი ხაზი, მოგვიანებით დაემატა მეხუთეც. სანოტო სისტემა თანდათან დაიხვეწა, განვითარდა და ჩვენამდე ასეთი სრულყოფილი სახით მოვიდა.

დღეს შევისწავლით მხიარული ნოტის – „მი"-ს – წერას. აბა, გავიმღეროთ „მხიარული ნოტები"!

ბავშვებმა იმღერეს შვიდი მხიარული ნოტი... პითაგორა-ბიჭუნამ სთხოვა, კიდევ ერთხელ გაემღერათ და მი-ზე გაჩერებულიყვნენ.

– ახლა გადაშალეთ მუსიკის რვეულები და თქვენ თვითონ გაავლეთ ხუთი ხაზი, ისე, როგორც მე გავავლე დაფაზე. მანამდე კი მითხარით, რომელი გასაღებით იღება ნოტების სახლი?

– ვიოლინოს, ვიოლინოს, – ახმაურდნენ ბავშვები, გამოსახეს ვიოლინოს გასაღები და პითაგორა-ბიჭუნამ პირველ ხაზზე დაწერა ნოტი – მი.

– ბავშვებო, ახლა მოვისმინოთ მუსიკა და დავწეროთ ეს მხიარული ნოტი.



მეთოდური მითითება: სახელმძღვანელოში ისევ შემოდის პერსონაჟი – პითაგორა-ბიჭუნა, რომელიც ბავშვებს გააცნობს სანოტო სისტემას და შეასწავლის ნოტების წერას. ვფიქრობთ, ბავშვებისათვის უფრო სახალისო იქნება ასეთი ხერხით ნოტების შესწავლა და ახალ გმირთან დამეგობრება. ჯერ შევისწავლით ნოტების ხაზებზე წერას, შემდეგ – ხაზებს შორის.

მუსიკალური განტვირთვა: ბავშვები უსმენენ **რიჩარდ როჯერსის სიმღერას – „დო რე მი"** – კინოფილმიდან „მუსიკის ჰანგები" და თან სწავლობენ ნოტი – მი-ს – წერას.

მეთოდური მითითება: სტანდარტის მიხედვით ნოტების შესწავლას III კლასიდან ვიწყებთ. თავიდან, ბავშვები კვლავ გრაფიკულად გამოსახავენ და აფერადებენ ნოტებს, შემდეგ კი ჯერ ვასწავლით ნოტების ხაზებზე წერას, ბოლოს – ხაზებს შორისაც. ბავშვებს ნოტებს მუსიკალური ტესტების საშუალებით შევასწავლით, მაგალითად: გამოიცნონ, რა ნოტი იწერება მი-სა და სოლ-ს შორის; მათ უნდა თავად იფიქრონ, გააცნობიერონ და გამოიცნონ, რომელი ნოტია ჩასახატი. ასეთი მეთოდი უფრო გაუადვილებთ ნოტების გააზრებულად შესწავლა-დამახსოვრებას. ამავე დროს, ბავშვებს გამოუმუშავდებათ დამოუკიდებელი აზროვნების, ფიქრის, სირთულეების დაძლევისა და დავალების წარმატებით შესრულების უნარ-ჩვევები, რაც დაეხმარებათ ნებისმიერი სასწავლო დისციპლინის დაძლევაში.

აღსანიშნავია ნოტების გრაფიკული ზომებიც: ბავშვებს ვთავაზობთ არა ჩვეულებრივ სანოტო რვეულებში ნოტების დაწერას, არამედ პირველ ეტაპზე ვაწვდით დიდი ზომის ნოტებს წიგნში ჩახატული სპეციალური სავარჯიშოების სახით. ამგვარი მეთოდი მათ ეხმარებათ ნოტების იოლად აღქმა-დამახსოვრებასა და სწორად გამოსახვაში. დიდი ზომის ნოტების გამოსახვა ვიზუალურ სივრცეში ამ ასაკის ბავშვებისათვის უფრო თვალსაჩინოდ აღსაქმელია, ვიდრე ჩვეულებრივ სანოტო რვეულებში წვრილად დაწერილისა. ვფიქრობთ, ეს არის ნოტების შესწავლის ახალი მეთოდი, ნოვატორული მიგნება.

მხიარული ნოტი „მი“

გაავლე ხუთი ხაზი და დაწერე ნოტი - მი

როგორ გამოვიყენოთ მელოდიური ოსტინატო ქალაქში მოგზაურობის დროს მუსიკალური კომპოზიციის შესაქმნელად?

მი – ოსტინატო

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: მასწავლებელი ბავშვებს ახსენებს II კლასში ნასწავლ რიტმულ ინტონაციურ სავარჯიშოებს. ისინი აჰყვებიან ამ ინტონაციას „დასარტყამ საკრავთა ორკესტრით“, რაც უფრო ხალისიან გახდის აქტივობას.





ვენერა

აქტივობა: მი-ოსტინატო. მასწავლებელი ასმენინებს მუსიკალურ კომპოზიციას, რომელიც შედგენილია ორი ქალაქის ზარების ხმაზე. ლონდონის „ბიგ-ბენის“ საათის ხმა და ილინოისის შტატის ქალაქის პარკის საათის ზარი, რომელიც საზღვაო სახმელეთო კორპუსის ჰიმნის მელოდიაზეა აგებული. ჯერ ასმენინებს მარტო ზარების ხმას, შემდგომ მეორე ჩანაწერს, სადაც ზარების ხმოვანებას ადევს მი ბგერის გაბმული ჟღერადობა. მი-ოსტინატო მოგზაურობს ინგლისსა და აშშ-ში. :) ბავშვები აჰყვებიან მი-ს ხმოვანებას სიმღერითა და ტაშით, შეგვიძლია გამოვიყენოთ სხვადასხვა საგნის ხმებიც: პენალი-ჟღარუნა, ფეხების ბაკუნი, „ააშრიალე“ ხელები და ა.შ. მასწავლებლის მითითებით, წინასწარ შეარჩევენ რიტმულ სურათს. ამ მუსიკალურ კოლაჟში ისმის სამხედრო მარშის მელოდია, რომელიც გამოიყენეს საათის ზარის მელოდიად. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, მოუსმინონ ამ მელოდიას და, შეძლებისდაგვარად, გაიმღერონ. შემდგომ ასმენინებს ამ სამხედრო ჰიმნის ჩანაწერს ჯარისკაცების გუნდის შესრულებით.

მასწავლებელი ბავშვებს უყვება, რომ პითაგორა ბიჭუნამ ნოტი „მი“ მიუსადაგა პლანეტა ვენერას. ამ პლანეტის ფოტოც და მისი ბუნებრივი ხმოვანებაც სასწაულებრივად ლამაზია. მი-ს მნიშვნელობა გვიდო დ’არეცოს ჰიმნშიც ხომ სასწაულს ნიშნავს. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, სანოტო სისტემის პირველ ხაზზე გამოწერონ ნოტი მი. **LMMS** პროგრამაში ბავშვები მის ხმოვანებას უსადაგებენ პლანეტა ვენერას ბუნებრივ ხმას და ქმნიან ახალ, „სასწაულ“ კომპოზიციას.

მუსიკალური განტვირთვა: მუსიკალური კოლაჟი – მი ოსტინატო, **აუდიო ჩანაწერი**.
ილინოისის შტატის საზღვაო სახმელეთო კორპუსის ჰიმნი.

მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS-ი

აქტივობა 6: ამ აქტივობაში მოცემულია ორი ტრეკი:
პლანეტა ვენერას ხმოვანება და ნოტი „მი“ – ფორტეპიანო. ეს ორი ტრეკი ბავშვებმა უნდა შეუთანხმონ ერთმანეთს. „მი“ – ოსტინატო მოგზაურობს კოსმოსში. ნიმუში აუდიოფაილის სახით მოცემულია ამავე აქტივობის ფოლდერში.

მასწავლებელს შეუძლია გაკვეთილის დასაწყისში ბავშვებს აჩვენოს **ვიდეო „პლანეტების ხმები“**

საახალწლო სიმღერა

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

ახალი სიმღერის შესწავლა: თ. კოპალიანი – **„დანისლულა ზეცის კიდე“**.

დანისლულა ზეცის კიდე
ფთილა-ფთილა ღრუბლებით,
ძველი წელი იწურება,
გავაცილოთ სიმღერით.

მისამღერი: მიწას ნაზად ეფინება
თოვლის თეთრი ფანტელი,
ბარდნის, მაგრამ, როგორ ბარდნის –
გადათეთრდა მთა-ველი!
ბარდნის, მაგრამ, როგორ ბარდნის – ო....ალილო!

ხვალ ახალი წელიწადი
ყველგან კარებს შეაღებს,
წრფელი გულით, ტკბილი სიტყვით
დაგვილოცავს ფუძე-ჭერს.

მისამღერი: მიწას ნაზად ეფინება
თოვლის თეთრი ფანტელი,
ბარდნის, მაგრამ, როგორ ბარდნის –
გადათეთრდა მთა-ველი!
ბარდნის, მაგრამ, როგორ ბარდნის – ო....ალილო! (2-ჯერ)

დანისლულა ზეცის კიდე

მუსიკა და ტექსტი
თ. კოპალიანისა




mf
და - ნი - სლუ - ლა ზე - ცის კი - დე ფთი - ლა ფთი - ლა ღრუ - ბლე -
ბით, ძვე - ლი წე - ლი ი - წუ - რე - ბა
გა - ვა - ცი - ლოთ სი - მღე - რით. მი - წას ნა - ზად ე - ფი - ნე - ბა
თო - ვლის თე - თრი ფა - ნტე - ლი, ა - ხა - ლი წლის მო - ლო - დი - ნში







გაიმღერე და დაითვალე, რამდენი ბგერისგან შედგება მოტივი.



მუსიკალური გასეირნება ქალაქში

გასეირნება ცირკში

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: მასწავლებელი ბავშვებს ახსენებს II კლასში ნასწავლ რიტმულ ინტონაციურ სავარჯიშოებს. ისინი აჰყვებიან ამ ინტონაციას „დასარტყამ საკრავთა ორკესტრით“, რაც უფრო ხალისიანს გახდის აქტივობას.



ბუ თაგ - ვი კუ დათ - ვი თუ - თი - ყუ - ში თხა

აქტივობა: გასეირნება ცირკში. მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს ცირკის ხმებს – **მუსიკალურ კოლაჟს,** რომელიც შექმნილია ცირკის სხვადასხვა ხმა-ბგერებისგან და ხმაურისგან, ამ ხმებს ფონად გასდევს **ი. პუჩიკის „გლადიატორების მარში“.** ამ მარშით იქმნება ერთგვარი ოსტინატო – გაბმული ფონი. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს ამოიცნონ, რა ხმები ესმით.

1. როგორია ეს ხმები?
2. რომელი ცხოველის ხმა ესმით?
3. ისმის თუ არა ამ ხმებში მუსიკის ხმა?
4. რა ხასიათის არის ცირკის მუსიკა?
5. რა ჟანრია ეს მუსიკა? მარში თუ ვალსი?
6. რა განწყობაზე გაყენებთ ეს კომპოზიცია?

ბავშვები ცირკის ხმას მიუსადაგებენ მოსწავლის წიგნში მოცემულ ფოტოებს.

მეთოდური მითითება: მუსიკალური კოლაჟები ნოტების ოსტინატოზე: „გასეირნება ქალაქში“, „კონცერტის წინ“, „გასეირნება ტყეში“, „გასეირნება ცირკში“, „გასეირნება ზოოპარკში“ და სხვა, აგებულია **კონტრაპუნქტის** პრინციპზე. მათი ცალკეული ხმა-ბგერები, თუ მელოდიური მოტივები დამოუკიდებლად ჟღერს და განლაგებულია ოთხ-ხუთ ტრეკზე. თითოეული ტრეკი დამოუკიდებელი ხმოვანი პარტიაა. ბავშვებს ეს უნდა ავუხსნათ მარტივად, ვაჩვენოთ და დავათვლევინოთ **LMMS** გრაფაში მოცემული ტრეკების რაოდენობა და ავუხსნათ, რომ ეს ყველა ხმა დამოუკიდებლად ვითარდება. არ უნდა ვუხსენოთ **კონტრაპუნქტი**, რომელიც პოლიფონიური მუსიკის ძირითად საყრდენს წარმოადგენს. უბრალოდ უნდა ვუთხრათ, რომ ყველა ის ხმა ან მოტივი, რომლებიც ესმით, დამოუკიდებლად ჟღერს და ყველა ერთად აღებული ქმნის გარკვეულ ხმოვანებას ან ხმაურს. ამ აქტივობაში დაგვეხმარება **LMMS** პროგრამა, სადაც ნათლად ჩანს, თუ როგორ არის ერთმანეთზე განლაგებული ტრეკები. ამ დამოუკიდებელი თემების ერთად აჟღერებით შევქმენით მრავალფეროვანი კომპოზიციები – **მუსიკალური კოლაჟები** – ნოტების ოსტინატოზე, რომლებიც ბავშვებისთვის ადვილი აღსაქმელია. ამ გრაფაში სულ 6 დამოუკიდებელი ტრეკია.



მუსიკალური კომპიუტერული პროგრამის Garage Band გრაფა

მუსიკალური ლექსიკონი

ოსტინატო – ostinato (იტალიურად) ერთი ბგერის, მელოდიური ან რიტმული მონახაზის გაბმულ ჟღერადობას ნიშნავს.

კონტრაპუნქტი – punctum contra punqtum (ლათინურად) სიტყვა-სიტყვით წერტილი, წერტილის წინააღმდეგ ნიშნავს, მუსიკაში კი რამდენიმე დამოუკიდებელი ხმის ან მელოდიის ერთდროულ ჰარმონიულ შეწყობას.
პოლიფონია – მრავალხმიანობა

მუსიკალური კოლაჟი – coller (ფრანგული სიტყვაა და შეწებებას ნიშნავს) ხელოვნებაში კი განსხვავებული ფორმების ნაწილებისაგან ახალი მთლიანის შექმნას. მუსიკაში – სხვადასხვა დამოუკიდებელი მოტივებისაგან შედგენილი ახალი მუსიკალური კომპოზიცია.

თემა: სხვადასხვა ხალხის ხალხური მუსიკა
მიზანი: ხალხური სიმღერების გაცნობა და შესწავლა
მისაღწევი შედეგები: მუს.დაწყ.(I)4,5,6

„კირია ლესა“

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: მასწავლებელი ბავშვებს ახსენებს II კლასში ნასწავლ რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებს. ისინი აჰყვებიან ამ ინტონაციას „დასარტყამ საკრავთა ორკესტრით“, რაც უფრო ხალისიანს გახდის აქტივობას.



მასწავლებელი გაამღერებს სავარჯიშოს და სთხოვს ბავშვებს ამოიცნონ ეს მოტივი – რომელი გმირის ლაიტმოტივია ეს ინტონაცია?, გაიხსენეთ და გაიმღერეთ პატარა დირიჟორის ლაიტმოტივი. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, მოიფიქრონ პითაგორა ბიჭუნას ლაიტმოტივი და წარუდგინონ კლასში.

ვ.ა. მოცარტის „ღამის პატარა სერენადის“ მთავარი თემა



მოვიარე სიმღერით...
ახალი სიმღერის შესწავლა: „კირია ლესა“.

პატარა დირიჟორი აგრძელებს მოგზაურობას სამეგრელოში და ბავშვებს ასწავლის მეგრულ საშობაო სიმღერას „კირია ლესა“. ის შეახსენებს პირველ და მეორე კლასში ნასწავლ საშობაო სიმღერებს და ბავშვებთან ერთად მღერის: „ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო...“

– ახლა „რაჭული ალილო“ – ზღაპარივით ლამაზი და საყვარელი სიმღერა გავიხსენოთ:

„ალილო, ბალილო,
შობა გათენებულო...“

– დღეს კი მეგრულ საახალწლო სიმღერა „კირია ლესას“ შევისწავლით. „კირიე ელეისონ“ ბერძნულად „უფალო, შეგვიწყალეს“ ნიშნავს. ამ სიმღერით ერთმანეთს ახალ წელს მიულოცავდნენ და ღმერთს მშვიდობიანი წლის დადგომას სთხოვდნენ.

ბეთლემი. ქრისტეშობის ტაძარი

ბეთლემი. ქრისტეს შობის ადგილი

„კირია ლესა“

კირია ლესა, სადა ვოი კირია ლესა. /2-ჯერ/
ახალი წანას მიგახვამან,
ღორონთ გოითანუას.
ენა ჯვეში, შხვა ახალი,
იფრელამო გეეხარი.

სადა ვოი კირია ლესა,
სადა ვოი კირია ლესა. /2-ჯერ/

სქან მაღაზა, სქანი ბაღი
ლაითიში ეფშა.

სადა ვოი კირია ლესა,
სადა ვოი კირია ლესა. /2-ჯერ/

შიო ჩიტი ქოფურინი,
სუა ქოფჩანაფუდას.
შორს მითინი ქორუნსუდა
აშო ქორჭარაფუდას.

სადა ვოი კირია ლესა,
სადა ვოი კირია ლესა. /2-ჯერ/

ასე მეულ გვალაშა,
აშვამართე წანაშა.

სადა ვოი კირია ლესა,
სადა ვოი კირია ლესა. /2-ჯერ/

ლაზური სიმღერის ქართული თარგმანი

ახალ წელს მოგილოცავთ,
ღმერთმა მშვიდობით გაგითენოთ,
ეს ძველი და სხვა ახალი,
ყველამ გაიხარეთ!

შენი ბეღელ-მარანი
სიმინდით ავსებულიყოს.

შიო ჩიტო, გაფრინდი,
ძლიერი ფრთები გამოგხმოდეს!
თუ შორს გაფრინდები,
შინ მშვიდობით დაბრუნებულიყავი.

ახლა მთებში მივდივარ
და მომავალ წლამდე
აღარ მოვბრუნდები.

რემბრანდტი – შობა

„კირია ლესა“

მეგრული

ზომიერად





მუსიკალური განტვირთვა: მეგრული ხალხური სიმღერა **„კირია ლესა“.** ასრულებს ანსამბლი „მერეხი“. მეორე გაკვეთილისათვის ბავშვები უსმენენ ი. ბობოხიძის საახალწლო სიმღერებს: „ფიფქი“, „მოფრინავს ფიფქი თეთრი“.

გაიხსენე და გაიაზრე

ლარჭემი

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: მასწავლებელი ბავშვებს ახსენებს II კლასში ნასწავლ რიტმულ ინტონაციურ სავარჯიშოებს. ისინი აჰყვებიან ამ ინტონაციას „დასარტყამ საკრავთა ორკესტრით“, რაც უფრო ხალისიან გახდის აქტივობას.



ვეფ - ხვი დათ - ვი პე - პე - ლა ბე - გე - მო - ტი ძრო - ხა

ლარჭემი

– ბავშვებო, დღეს კიდევ ერთხელ გავიხსენოთ პატარა მცხეთელი მწყემსი ბიჭი, რომელიც ცხვარს მწყემსავდა და თან სალამურზე უკრავდა. ძველ კოლხეთში კი თხების მწყემსი ბიჭები ძალზე უცნაურ მრავალღერიან სალამურზე – ლარჭემზე – უკრავდნენ. ლარჭემი უძველესი საკრავია, ლერწმისგან მზადდება და მეგრულად ლერწამს ნიშნავს. ლერწმის სხვადასხვა სიმაღლის, ხელის თითების მსგავსად განლაგებული და გადაბმული ექვსი ღერო შემსრულებელს ორივე ხელით უჭირავს, თანაბარი მხრიდან ტუჩებთან მიაქვს და ხან მონაცვლეობით, ხანაც ორ-ორს ერთდროულად ჩაბერავს და ორ ხმას გამოსცემს. გურიაში ასეთივე საკრავს **სოინარი** ჰქვია.

ქართული ხალხური ჩასაბერი საკრავები

სალამური

სოინარი

ძვლის სალამური

რაჭული გუდასტვირი

ქართული ხალხური საკრავები

რაჭული გუდასტვირი

წიკო-წიკო

ლარჭემი

ჩონგური

ჩანგი

სალამური

დაირა

ძვლის სალამური

ფანდური

დიპლიპიტო


ჭიანური

დოლი

მუსიკალური განტვირთვა: ლარჭემის ჩანაწერი

მხიარული ნოტი – სოლ

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: მასწავლებელი ბავშვებს ახსენებს II კლასში ნასწავლ რიტმულ ინტონაციურ სავარჯიშოებს. ისინი აჰყვებიან ამ ინტონაციას „დასარტყამ საკრავთა ორკესტრით“, რაც უფრო ხალისიან გახდის აქტივობას.



მხიარული ნოტი – სოლ: პითაგორა-ბიჭუნამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბავშვებზე. ისინი მოუთმენლად ელოდებოდნენ შემდეგ გაკვეთილს. გულდასმით შეასრულეს მოსწავლის წიგნში მოცემული სავარჯიშოები – კარგად ისწავლეს პირველ ხაზზე მხიარული ნოტი – მი-ს – წერა. ცოტა ვიოლინოს გასაღების გამოსახვა გაუჭირდათ, მაგრამ პითაგორა-ბიჭუნამ ბავშვები გაამხნევა და დაიმედა – მომავალში უფრო გაგიადვილდებათო.

– დღეს ახალი ნოტის წერას ვისწავლით. ნოტი სოლ სანოტო სისტემის მეორე ხაზზე იწერება. მას თავისი ხმოვანებით ხშირად მზეს ადარებენ. გადაშალეთ მოსწავლის რვეულები, თქვენ თვითონ გაავლეთ ხუთი ხაზი და მეორე ხაზზე დაწერეთ ნოტი – სოლ, სავარჯიშოები კი სახლში შეასრულეთ.

– კახეთიდან დირიჟორმა ერთი საოცარი, საშობაო სიმღერა ჩამოგიტანათ, თქვენ ნოტის წერაში ივარჯიშეთ, მე კი ამ დიდებულ საშობაო სიმღერას მოგასმენინებთ.

პითაგორა-ბიჭუნა თვალდახუჭული უსმენდა „ალილოს“, დაავიწყდა, გაკვეთილს რომ ატარებდა, და ფიქრებმა გაიტაცა...

მუსიკალური განტვირთვა: ბავშვები უსმენენ **„ართანულ ალილოს“** და ნოტის წერაში ვარჯიშობენ. მასწავლებელს შეუძლია, სიმღერის მოსმენისას მათ თავიანთი განწყობისა და შთაბეჭდილების დაწერა დაავალოს.

ფსიქოლოგიური განსჯისათვის

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებს მიცემული აქვთ სავარჯიშოები ნოტების დასაწერად, „პითაგორა-ბიჭუნა“ – მასწავლებელი მაინც ავალებს ბავშვებს, თვითონ გაავლონ ხუთი სწორი ხაზი.

ეს სავარჯიშო ხელს უწყობს ბავშვებში ხელის წვრილი კუნთების, მოტორიკისა და ხელის თითების მოძრაობის კოორდინაციის განვითარებას, რაც თავისთავად ემსახურება ლოგიკური აზროვნების, განსჯის, მეტყველების, მეხსიერების, ყურადღების განვითარება-გაღვივებას. აგრეთვე ხელს უწყობს მიკროსივრცეში ორიენტაციისა და გარკვეული უნარ-ჩვევების განვითარებას.

მხიარული ნოტი „სოლ“

გაავლე ხუთი ხაზი და დაწერე ნოტი - სოლ

აქტივობა – რიტმული მოთელვა

მეთოდური მითითება: თითქმის ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით, რომელიც რიტმულ სავარჯიშოებზეა დაფუძნებული. ეს აქტივობა განაწყობს ბავშვებს მუსიკის გაკვეთილისათვის. მაგალითად: მასწავლებელი შედის კლასში, იწყებს ტაშის დაკვრას. ტაშით გამოხატავს მარტივ რიტმულ სავარჯიშოს, ბავშვებს სთხოვს აჰყვნენ. თანდათანობით მასწავლებელი ცვლის რიტმულ სურათს და ისინიც ჰბაძავენ მას. აგრეთვე, ცვლის რიტმული სურათის ტემპს, ხან ანელებს ქმედებას, ხან აჩქარებს. შემდგომ გაკვეთილებზე მასწავლებელს შეუძლია ეს აქტივობა მუსიკის თანხლებითაც შეასრულოს, გამომდინარე იქიდან, ამა თუ იმ გაკვეთილზე რა მუსიკალურ ნაწარმოებს ასმენინებს.

რიტმული სავარჯიშო 3/4 ზომაში

მასწავლებელი 1-20 გაკვეთილისთვის რიტმულ მოთელვას ასრულებს 3/4 ზომაში



გასეირნება სოფელში. როგორ გამოვიყენოთ მელოდიური ოსტინატო სოფელში მოგზაურობის დროს მუსიკალური კომპოზიციის შესაქმნელად?

სოლ – ოსტინატო

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

აქტივობა: სოლ-ოსტინატო. მასწავლებელი ასმენინებს ბავშვებს სოფლის ხმებს – აუდიოჩანაწერს – „სოფლის დილა“: თენდება, ისმის სხვადასხვა ხმა, ხმაური... ბავშვები ყურადღებით უსმენენ და ამოიცნობენ ამ ხმებს. მასწავლებელი ეკითხება მათ:

1. რა ხმები გესმით?
2. რამდენი ხმისგან შესდგება სოფლის ხმაური?
2. როგორია ეს ხმები?
3. აღწერეთ დილა სოფელში.
4. რას მოგვითხრობს ეს ხმები?
5. ამ ხმებით მოყევით სოფლის პატარა ამბავი.

შემდგომ მასწავლებელი ასმენინებს ამ აუდიოჩანაწერის მეორე ვარიანტს, სადაც სოფლის ხმას ფონად მიჰყვება ნოტი სოლ-ის გაბმული ხმოვანება. ნოტი სოლ მიუსადაგეთ პლანეტა მზეს. ბავშვები სიმღერით ჰყვებიან სოლის ხმოვანებას. სოლ-ოსტინატო „მოგზაურობს“ სოფელში და აღვიძებს სოფელს თავისი ხმოვანებით.

მასწავლებელი ბავშვებს უყვება, რომ პითაგორა ბიჭუნამ ნოტი „სოლ“ მიუსადაგა პლანეტა მზეს. მასწავლებელი ერთხელ კიდევ აჩვენებს **ვიდეოს – პლანეტების მუსიკა** – მზის ხმოვანება და სთხოვს ბავშვებს ყურადღებით მოუსმინონ მზის ბუნებრივ ხმას და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები. შემდგომ **LMMS** პროგრამაში ბავშვები მზის ბუნებრივ ხმას უსადაგებენ ნოტი სოლ-ის ხმოვანებას და ქმნიან პატარა **მუსიკალურ კომპოზიციას,** სანოტო რვეულებში კი სანოტო სისტემის მეორე ხაზზე გამოწერენ ნოტი სოლს.



მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS-ი

აქტივობა 7: ამ აქტივობაში მოცემულია ორი ტრეკი:
პლანეტა მზე და ნოტი „სოლ“ – ფორტეპიანოს ხმოვანებით
ეს ორი ტრეკი შეუთანხმეთ ერთმანეთს.
„სოლ“ – ოსტინატო „მოგზაურობს“ კოსმოსში.
ნიმუში აუდიოფაილის სახით მოცემულია ამავე აქტივობის ფოლდერში



მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს გაიხსენონ სიმღერა და მუსიკალური ნაწარმოებები, რომლებიც მზეს უკავშირდება:

ე. გრიგი – „პერ-გიუნტი“ – „დილა“, აგრეთვე ქართული ხალხური სიმღერა „მზე შინა“. ბავშვები მღერიან „მზე შინას“ და ითვლიან რამდენი ბგერისგან შედგება ძირითადი მოტივი.



თემა: სხვადასხვა ხალხის ხალხური მუსიკა
მიზანი: ხალხური სიმღერების გაცნობა და შესწავლა
მისაღწევი შედეგები: მუს.დაწყ.(I)4,5,6

მესხური „მზე შინა“

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 90 წუთი.

რიტმული მოთელვა 2/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

მოვიარე სიმღერით...

ქართველები საქართველოს ყველა კუთხეში უმღერიან მზეს. პატარა დირიჟორმა იმოგზაურა მესხეთში და მესხური „მზე შინა“ ჩაიწერა ნოტებზე.

ახლა ჩვენც მოვისმინოთ და შევისწავლოთ ეს უძველესი სიმღერა.

I მთქმელი

მზე შინა და მზე გარეთა,
მზევ, შინ შემოდიო.

ჩვენ ვაჟი შეგვმატებია,
მზევ, შინ შემოდიო.

შინ არ არის ვაჟის მამა,
მზევ, შინ შემოდიო.

ვაჟის მამას მოუხდება
მზევ, შინ შემოდიო.

თეთრი კაბა ატლასისა,
მზევ, შინ შემოდიო.

ცხენზე ჯდომა, ჯირითობა,
მზევ, შინ შემოდიო.

II მთქმელი

მზე შინა და მზე გარეთა,
მზევ, შინ შემოდიო.

მზე შინა და მზე გარეთა,
მზევ, შინ შემოდიო.

მზე შინა და მზე გარეთა,
მზევ, შინ შემოდიო.

მზე შინა და მზე გარეთა,
მზევ, შინ შემოდიო.

მზე შინა და მზე გარეთა,
მზევ, შინ შემოდიო.

მზე შინა და მზე გარეთა,
მზევ, შინ შემოდიო.

მზე შინა

მესხური







მეთოდური მითითება: ბავშვები უსმენენ ჩანაწერს. მელოდიის კარგად შესწავლის შემდეგ მასწავლებლის დახმარებით სწავლობენ ბანს. ამ გაკვეთილში არის პირველი მცდელობა ბავშვისათვის ბანის გააზრებულად, დამოუკიდებლად სწავლებისა.

ფსიქოლოგიური განსჯისათვის

◎ **ფსიქოლოგიური განსჯისათვის:** საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხური მუსიკალური ხელოვნების მრავალფეროვნება წარმოაჩენს ქართველი ერის მაღალ მუსიკალურ კულტურასა და ტრადიციებს, მოსწავლეებს ეხმარება ქართული პოლიფონიის, საქართველოს თანამედროვე თუ ისტორიული კუთხეების თვითმყოფადი მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშების ჟღერადობის შეცნობა-გაცნობიერებაში; მომავალში – ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებასა და გათავისება-გაღრმავებაში. ხალხური მუსიკა მოქმედებს ბავშვის პიროვნული ფასეულობების ჩამოყალიბებაზე. მდიდარი შემეცნებით-საგანამნათლებლო მასალის საფუძველზე უვითარდებათ სხვადასხვა ეპოქის მუსიკის ცოცხალი აღქმის უნარი, ესთეტიკური განცდები, გრძნობები. ეს კი მათ ეხმარება კარგად შეიცნონ ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, ეროვნული არამატერიალური კულტურის ღირებულებები და გახდნენ ქვეყნის სულიერი ფასეულობების ღირსეული დამცველნი.

აქტივობა: გასეირნება მეტროში. მეორე გაკვეთილისათვის მასწავლებელი ბავშვებს უჩვენებს მეტროს **ვიდეოს**, სადაც მატარებლის შემოსვლისა და გასვლის ხმა ისმის. კითხვებით ამოწურავს და შეაჯამებს თემას:

1. რა ხმები გესმით?
2. ამოიცანით და განასხვავეთ მატარებლის შემოსვლისა და გასვლის ხმები, ოპერატორისა და ხალხის ხმა. **LMMS** პროგრამაში მოცემულია მატარებლის შესვლისა და გასვლის ხმები. ამ ხმებს დაადეთ ხმის ეფექტი ან რიტმი და შეადგინეთ **მუსიკალური კოლაჟი** – მუსიკა მეტროში.

მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS-ი

აქტივობა 8: ამ აქტივობაში მოცემულია 9 ტრეკი: მეტროს მატარებლის შემოსვლა-გასვლის ხმები, დიქტორის ხმა და სხვადასხვა მუსიკალური თუ რიტმული ნაწყვეტები 6 ტრეკად.

ნიმუშის მიხედვით, რომლის აუდიო ფაილიც ამავე აქტივობის ფოლდერშია მოთავსებული, შექმენით პატარა **მუსიკალური კომპოზიცია.** შემდეგ შეგიძლიათ წაშალოთ ყველა ტრეკი გარდა მატარებლის და დიქტორის ხმებისა და თავად შექმნათ ახალი კომპოზიცია.

სტუმრად „ბასტი-ბუბუს“ სტუდიაში

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: მასწავლებელი ბავშვებს ახსენებს II კლასში ნასწავლ რიტმულ ინტონაციურ სავარჯიშოებს. ისინი აჰყვებიან ამ ინტონაციას „დასარტყამ საკრავთა ორკესტრით“, რაც უფრო ხალისიანს გახდის აქტივობას.



საშობაო არდადეგებზე დირიჟორი ბავშვებთან ერთად „ბასტი-ბუბუს“ საბავშვო სტუდიას ესტუმრა. დათა-ბათა, ია-გოგო, გოგო-ანა, პეტრე, ანო და ვანო – ყველანი დირიჟორს გაჰყვნენ. თუ გადავშლით სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს და მოვძებნით სიტყვებს – ბასტის და ბუბუს, ამოვიკითხავთ: ბასტი და ბუბუ აურზაურს, არეულობას ნიშნავს. სტუმრებს მართლაც ერთი ორომტრიალი დახვდათ ბასტი-ბუბუს სტუდიაში – ბავშვები კონცერტისათვის ემზადებოდნენ.

სტუმრებს „ბასტი-ბუბუს“ მუსიკალური ხელმძღვანელი, კომპოზიტორი მაკა არაშიძე შეეგებათ. დირიჟორს დიდი ხანია სურდა, მისი რომელიმე სიმღერა მუსიკის სახელმძღვანელოში შეეტანა. ქალბატონ მაკას თოჯინები „ბასტი“ და „ბუბუც“ შეუერთდნენ – გახსნეს თავიანთი მუსიკალური ყუთი და სიმღერა სიმღერას მოსდევდა... დათა-ბათას ყველაზე ძალიან ერთი საახალწლო სიმღერა მოეწონა:

„გარეთ თოვდა, თოვდა, თოვდა,
მაგრამ სულ არ ციოდა,
თეთრი ციდან ფიფქის ნაცვლად
კანფეტები ცვიოდა!“

დათა-ბათამ ინატრა: ნეტავ, სადმე არსებობს ისეთი ქვეყანა, სადაც ციდან ფიფქების ნაცვლად კანფეტები ცვივაო? ბავშვებმა სიცილი დააყარეს, რადგან მან კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა თავისი ღორმუცელობა. სიმღერა ყველას ძალიან მოეწონა. ტექსტიც და მუსიკაც თავად მაკა არაშიძეს ეკუთვნოდა. მან სიამოვნებით გადაუწერა სიმღერა და ფირი დირიჟორს გადასცა. იმ საღამოს ჩვენი მეგობრები სიმღერას სწავლობდნენ, დათა-ბათა კი ფოჩიან საშობაო კანფეტებს მიირთმევდა.

სიზმრად ვნახე: გარეთ თოვდა,
მაგრამ სულ არ ციოდა.
თეთრი ციდან ფიფქის ნაცვლად
კანფეტები ცვიოდა.
ეზოში შემომეგებნენ
მოსეირნე წყვილები,
კანფეტების ჭამისაგან
შავი ჰქონდათ კბილები.
გარეთ თოვდა, თოვდა, თოვდა,
მაგრამ სულ არ ციოდა –
თეთრი ციდან ფიფქის ნაცვლად
კანფეტები ცვიოდა. (2-ჯერ)

ლიმონათში ბანაობდა
ციცქნა ჩიტი ღაბუა,
პატარებმა გააკეთეს
შოკოლადის ბაბუა.
მამალოს დააჭენებდნენ
ნიკუშა და თამრიკო,
ჩვენი მურაც გარეთ იყო,
ყეფით ეზო აიკლო.
გარეთ თოვდა, თოვდა, თოვდა,
მაგრამ სულ არ ციოდა –
თეთრი ციდან ფიფქის ნაცვლად
კანფეტები ცვიოდა. (2-ჯერ)

ნეტა მართლა თუ ახდება
უცნაური სიზმარი,
კანფეტებს რომ ვიღაც აბნევს,
მაცოდინა, ვინ არი?!
ანგელოზი მომეპარა
ძილში სახემცინარი,
ალბათ მიტომ დამესიზმრა
ტკბილზე ტკბილი სიზმარი.
გარეთ თოვდა, თოვდა, თოვდა,
მაგრამ სულ არ ციოდა –
თეთრი ციდან ფიფქის ნაცვლად
კანფეტები ცვიოდა. (2-ჯერ)

მუსიკალური განტვირთვა: მ. არაშიძე – „კანფეტების თოვლი“. ბავშვები უმენენ სიმღერის „პლუს“ და „მინუს“ ფონოგრამებს და მღერიან.

კანფეტების თოვლი

ტექსტი და მუსიკა
მაკა არაშიძისა



მუსიკა ყინულზე

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: მასწავლებელი ბავშვებს ახსენებს II კლასში ნასწავლ რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებს. ისინი აჰყვებიან ამ ინტონაციას „დასარტყამ საკრავთა ორკესტრით“, რაც უფრო ხალისიანს გახდის აქტივობას.



აქტივობა: მუსიკა ყინულზე. მასწავლებელი ბავშვებს უჩვენებს ორ სხვადასხვა ვიდეოს. პირველში ადამიანები ყინულზე უკრავენ სხვადასხვა კომპოზიციას. ყინულზე ისე არის ხმები გადანაწილებული, რომ წარმოიქმნება სხვადასხვა სიმაღლის ბგერები. ამ ბგერებისგან ისინი ქმნიან ორიგინალურ მუსიკალურ კომპოზიციას ყინულზე. მეორე ვიდეოში კი გაყინული ტბის ზედაპირზე ადამიანი გაცურებით ისვრის ქვებს.

ბავშვები უყურებენ **ვიდეოებს** და გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს. მასწავლებელი უხსნის ბავშვებს, რომ ყინულზე ქვის გაცურებით გამოიცმა განსაკუთრებული და განსხვავებული ხმა-ბგერა. მათ თავად შეუძლიათ ამ ხმა-ბგერების წარმოქმნა და მოსმენა, მაგ., ზამთარში გაისეირნონ ლისის ან კუს ტბაზე, ან თქვენი სოფლის ტბებზე. ამ დროს ტბები გაყინულია. გაყინულ ტბაზე თუ სხვადასხვა ზომის ქვებს გაცურებით გავისვრით, მივიღებთ ყინულის, წყლისა და ქვის ერთობლივ ხმა-ბგერებს. ბავშვებს შეუძლიათ, მობილურით ჩაიწერონ ეს ხმები და შეიტანონ **LMMS** პროგრამაში. ეს ხმები შეურიონ ქალაქის სხვა ხმებს, დაადონ ხმის ეფექტი ან რიტმული ფიგურაცია და შექმნან მუსიკალური კოლაჟი – მუსიკა ყინულზე.

გაიხსენეთ პლანეტების ხმები. თქვენი აზრით, რომელი პლანეტის ხმას მოგაგონებთ ყინულზე ნასროლი ქვის ხმა? **LMMS** პროგრამაში შეადგინეთ კომპოზიცია თქვენი არჩეული პლანეტის ხმისა და ყინულის ხმისგან. ამ კომპოზიციის შექმნაში შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვა ხმებიც.

მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS-ი

აქტივობა 9: ამ აქტივობაში მოცემულია პლანეტების – პლუტონის, ვენერას და სატურნის ხმები. ასევე ბგერა, რომელსაც გამოსცემს ყინული, როდესაც მასზე ქვას ვაცურებთ.

აქტივობის მიზანია ბავშვმა მოისმინოს და აღმოაჩინოს, რომელი პლანეტის ხმას უფრო შეესაბამება ყინულის ხმა, აგრეთვე ამ ხმებისგან შექმნას ახალი **მუსიკალური კოლაჟი**.

მხიარული ნოტი – სი

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

მუსიკის ფონზე – **რ. ვაგნერი – „ტანჰოიზერი“**, უვერტიურა, მასწავლებელი ბავშვებს უკითხავს ჩინელი ბიჭუნას ამბავს.

– გაკვეთილის დაწყებამდე ერთი ზღაპარი მინდა გიამბოთ – პატარა ჩინელ ბიჭუნაზე, – მასწავლებელი რუკისაკენ მიბრუნდა და ჯოხით ჩინეთი შემოხაზა. – ჩინეთი უძველესი და უმდიდრესი ქვეყანაა. მათს სახელმწიფო ენას მანდარინი ჰქვია...

ბავშვებმა გაიცინეს: – მანდარინი ხომ ხილია, – წამოიძახა პეტრემ. პითაგორა-ბიჭუნამ ყურადღება არ მიაქცია და გააგრძელა: – მანდარინის ენაზე მსოფლიოს მეექვსედი ლაპარაკობს. ალბათ ჩინეთის კედელიც გაგიგიათ, მსოფლიოს ერთ-ერთ საოცრება. მაგრამ დღეს ჩინეთის ისტორიაზე კი არა ერთ ღარიბ-ღატაკ ობოლ ჩინელ ბიჭზე – იუნ სუზე გესაუბრებით. თქვენ დადიხართ სკოლაში, სწავლობთ მუსიკას, ხატვას, სხვადასხვა უცხოურ ენას, ყველაფერი გაქვთ: ფერადნახატებიანი სახელმძღვანელოები, ფანქრები, სახატავი რვეულები, მიუხედავად ამისა, ბევრ თქვენგანს მაინც ეზარება სწავლა, თამაში და გართობა ურჩევნია. ღარიბმა, უმამო, დედის ანაბარა დარჩენილმა იუნ სუმ კი მტკიცედ გადაწყვიტა, რადაც უნდა დაჯდომოდა, ესწავლა.

ერთ დილას მდიდარი მეზობლის კარზე დააკაკუნა და უთხრა: – გავიგე, მოსამსახურეს ეძებ, ჰოდა, მიმსახურე. გასამრჯელოს არ გთხოვ, მხოლოდ ნება მომეცი, ხანდახან იმას მოვუსმინო, რასაც შენი შვილები სწავლობენო. მდიდარს გაუხარდა, უფასო მსახური ვიშოვეო, და მაშინვე დაეთანხმა. იუნ სუ ერთგულად ემსახურებოდა მდიდარს. თავისუფალ დროს მისი შვილების გაკვეთილებს უსმენდა და ზოგჯერ მათს წიგნებშიც იჭყიტებოდა. ერთი წლის შემდეგ იუნ სუს კითხვა შეეძლო, მაგრამ წერა არ იცოდა. თუმცა რაზე დაეწერა? – მას ხომ ქაღალდი, მელანი და ფუნჯი არ ჰქონდა... გამოსავალი მაინც იპოვა: იუნ სუ ზღვის ნაპირას ცხოვრობდა – აიღო გრძელი ჯოხი და ქვიშაზე იეროგლიფი დახატა. იეროგლიფით ცალკეული სიტყვა, მარცვალი თუ ბგერა გამოისახება. მოვარდებოდა ტალღა და წაუშლიდა ნაწერს. იუნ სუ ხელახლა ხატავდა და ასე შეისწავლა ჩინური დამწერლობა. ახლა წიგნები სჭირდებოდა და ისევ ბატონს სთხოვა:



– ერთ წელიწადს ისევ უფასოდ გემსახურები, ოღონდ შენი წიგნების კითხვის ნება მომეციო. ბატონს დაეწანა უფასო ბეჯითი მსახურის დაკარგვა და თხოვნა შეუსრულა. იუნ სუ დაღამებამდე მუშაობდა და კითხვის დრო მხოლოდ ღამე რჩებოდა. სიღარიბის გამო ლამპისთვის ზეთსაც ვერ ყიდულობდა – მთვარის შუქზე მეცადინეობდა. უმთვარო ღამეებში კი ციცინათელებს აგროვებდა, ბამბუკის ჯოხზე ამაგრებდა და მათს მკრთალ შუქზე კითხულობდა. იუნ სუს თავდადებამ ნაყოფი გამოიღო, სახელოვანი სწავლული გახდა და სიცოცხლის ბოლომდე თავის ხალხსა და ქვეყანას ემსახურა. მისი სახელი დღესაც ახსოვთ ჩინეთში და არც არასდროს დაივიწყებენ.

აბა, რას იტყვით? – დაამთავრა პითაგორა-ბიჭუნამ ზღაპრის მოყოლა და ბავშვებს მიმართა.

ბავშვები ჩაფიქრდნენ. პითაგორა-ბიჭუნამ მოფიქრებისათვის დრო მისცა და ახალი მასალის ახსნას შეუდგა. – დღეს ახალ ნოტს შევისწავლით, რომელიც მესამე ხაზზე იწერება. გადაშალეთ ნოტის რვეულები და დაწერეთ „სი“. გახსოვთ პირველ კლასში ნასწავლი კუდიანი ვარსკვლავი – აი, ეს არის ნოტი სი! – დაფაზე ხუთი ხაზი გაავლო, ვიოლინოს გასაღები გამოსახა და სი დაწერა. შემდეგ მუსიკა ჩართო და მის ფონზე ბავშვები ახალი ნოტის წერაში ავარჯიშა.



მუსიკალური განტვირთვა: რიჩარდ როჯერსი – „დო, რე, მი...“ ბავშვები უსმენენ სიმღერას და სწავლობენ ნოტების წერას.

ლექსიკონი

იეროგლიფები – ხატოვანი დამწერლობა, ნახატისებრი ნიშნები, რომლებიც მთელ ცნებებს, სიტყვებს ან ცალკეულ მარცვლებსა და ბგერებს აღნიშნავენ. ასეთი დამწერლობა აქვთ ჩინელებს, იაპონელებს, კორეელებს...

მუსიკალური ლექსიკონი

უვერტიურა – ფრანგულად **ouverture** – დასაწყისს, გახსნას, შესავალს ნიშნავს. უვერტიურით იწყება ოპერა, ბალეტი, ოპერეტა, დრამატული სპექტაკლი. მასში მოკლედ, მუსიკალური თემებით გადმოცემულია მთელი ნაწარმოების შინაარსი და წინასწარ განაწყობს მსმენელს. მე-19 ს-ში უვერტიურამ სონატური ალეგროს ფორმაში დაწერილი ერთნაწილიანი, დამოუკიდებელი საორკესტრო ნაწარმოების ფორმა მიიღო.

მხიარული ნოტი „სი“

გაავლე ხუთი ხაზი და დაწერე ნოტი - სი

გასეირნება ქალაქში. როგორ გამოვიყენოთ მელოდიური ოსტინატო ქალაქში მოგზაურობის დროს მუსიკალური კომპოზიციის შესაქმნელად?

სი – ოსტინატო

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 90 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

სიმღერების განმეორება: „კანფეტების თოვლი“, „მზე შინა“, „კირია ლესა“, „დანისლულა ზეცის კიდე“, „შინა ვორგილ“, „მანანას სიმღერა“.

აქტივობა: სი-ოსტინატო. მასწავლებელი ასმენინებს **აუდიოჩანაწერს** – „ქალაქის ხმა წვიმაში“ და ეკითხება ბავშვებს:

1. რა ხმები გესმით?
2. განასხვავეთ ეს ხმები.
3. როგორია ეს ხმები? მხიარული, სევდიანი თუ საშიში?
4. სად გესმით ეს ხმები?

შემდგომ მასწავლებელი ასმენინებს **მუსიკალურ კოლაჟს**. ამავე ქალაქის ხმას ფონად ადევს ნოტი „სი“-ს ხმოვანება. ბავშვები უსმენენ ამ კომპოზიციას და აჰყვებიან „სი“-ს სიმღერით. სი-ოსტინატო მოგზაურობს წვიმიან ქალაქში. ამ **აუდიოჩანაწერში** „სი“-ს ჟღერადობა ძალიან ჰგავს წვიმის წვეთების ხმას. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, დააკვირდნენ „სი“-ს ხმოვანებას. სი-ოსტინატო მოგზაურობს წვიმიან ქალაქში, ისმის მანქანისა და ჭექა-ქუხილის ხმები.



იუპიტერი

მასწავლებელი ბავშვებს უყვება, რომ პითაგორა ბიჭუნამ ნოტი „სი“ მიუსადაგა პლანეტა იუპიტერს. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, **LMMS** პროგრამაში მოძებნონ ნოტი „სი“, იუპიტერის ბუნებრივი ხმა და შექმნან **მუსიკალური კოლაჟი**. შემდგომ სანოტო სისტემის მესამე ხაზზე გამოსახონ ნოტი „სი“.

მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS-ი

აქტივობა 10: ამ აქტივობაში მოცემულია ორი ტრეკი:
პლანეტა იუპიტერი და ფორტეპიანოზე – ნოტი „სი“
ეს ორი ტრეკი შეუთანხმეთ ერთმანეთს.
„სი“ – ოსტინატო „მოგზაურობს“ კოსმოსში.
ნიმუში აუდიოფაილის სახით მოცემულია ამავე აქტივობის ფოლდერში.

მეთოდური მითითება: ეს აქტივობები ბავშვებს უვითარებს ყურადღებას, სმენას, მეხსიერებას, გარემოს მოსმენისა და ამოცნობის უნარს, ახლის შეცნობისა და შექმნის სურვილს, კომპოზიციის შეგრძნებას, აზროვნებას და შემოქმედებით უნარებს. ბავშვებს უნდა გავაგებინოთ, რომ გულისყურით მოუსმინონ სამყაროს, რომ სამყაროში გაბნეული ხმებითაც შეიძლება რაღაც ახლის, მარტივიდან რთულის შექმნა. ამ უნარების განვითარება ხელს უწყობს თვალსაწიერის გაფართოებას და შემოქმედებითი ადამიანის ჩამოყალიბებას.

შემაჯამებელი გაკვეთილი

საახალწლო სიმღერები

პითაგორა ბიჭუნა, პატარა დირიჟორი და ბავშვები ემზადებიან შობის დღესასწაულისათვის. ბავშვებმა გაიხსენეს და გაიმეორეს ყველა ნასწავლი საახალწლო სიმღერა: „მხიარული ზამთარი“, „ფიფქის სიმღერა“, „ფიფქები“, „ალილო“, „რაჭული ალილო“, „კანფეტების თოვლი“, „კირია ლესა“, „დანისლულა ზეცის კიდე“... პატარა დირიჟორი სთხოვს ბავშვებს წიგნის გმირებით (მწყემსი ბიჭი, თეთრი ჩოჩორი, ცხოველები, თედო პაპა, დათა-ბათა, თოვლის პაპა გუდასტვირით, ვარსკვლავები, მზე და მთვარე, მეკვლე). მოიგონონ საახალწლო ზღაპარი დაწერონ სცენარი და გააფორმონ მუსიკალურად.

პატარა დირიჟორი ბავშვებს აჩვენებს საახალწლო **ვიდეოებს**: **1.** **„O Holy Night“ Kings College, Cambridge** - „წმინდა ღამე“. კომპოზიტორი: **ადოლფ ადამი** (1803-56), არანჟირება: **ჯონ რუთერი.** საუნდტრეკი, ფილმიდან **„მარტო სახლში“. 2.** МАЛЕНЬКОЙ ЕЛОЧКЕ ХОЛОДНО ЗИМОЙ Новогодняя песня ЁЛОЧКА, **3.** 1998, **P.C & Fiammetta & Francesca P. Ave Maria di Nazareth**.

გარდა ამისა უსმენენ სიმღერებს: 1. Jingle Bells • Kids Christmas Songs • Children Love to Sing, 2. Santa Claus is coming to town (Children version).

O Holy Night

Ave Maria di Nazareth

Новогодняя песня ЁЛОЧКА

მასწავლებელს შეუძლია ეს მუსიკალური მასალა და ვიდეოები გადაანაწილოს რამდენიმე გაკვეთილზე.

В лесу родилась елочка

Автор текста: Р. Кудашева
Музыка: Л. Бекмана

В лесу родилась ёлочка,
В лесу она росла.
Зимой и летом стройная,
Зелёная была.

Метель ей пела песенку:
«Спи, ёлочка, бай-бай!»
Мороз снежком укутывал:
«Смотри, не замерзай!»

Трусишка зайка серенький
Под ёлочкой скакал.
Порою волк, сердитый волк,
Рысцою пробегал.

Чу! Снег по лесу частому
Под полозом скрипит
Лошадка мохноногая
Торопится, бежит.

Везёт лошадка дровенки
На дровнях мужичок
Срубил он нашу ёлочку
Под самый корешок.

И вот она, нарядная,
На праздник к нам пришла,
И много, много радости
Детишкам принесла.

მუსიკალური განტვირთვა: მეორე გაკვეთილის ბოლოს ბავშვები უსმენენ სიმღერის „პლუს“ და მინუს“ ფონოგრამებს და მღერიან.

В лесу родилась елочка

Автор текста: Р. Кудашева

Музыка: Л. Бекмана



მუსიკალური გასეირნება ქალაქში

გასეირნება ზოოპარკში

შემაჯამებელი გაკვეთილი

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: მასწავლებელი ბავშვებს ახსენებს II კლასში ნასწავლ რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებს. ისინი აჰყვებიან ამ ინტონაციას „დასარტყამ საკრავთა ორკესტრით“, რაც უფრო ხალისიანს გახდის აქტივობას.



აქტივობა: გასეირნება ზოოპარკში. მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს ქალაქის ხმაურს, რომელიც ზოოპარკშია ჩაწერილი. სთხოვს, მოუსმინონ ყურადღებით, აღწერონ და დაასახელონ, რა და როგორი ხმები ესმით. გამოყონ ამ ხმაურიდან ცალკეული ხმები და ისაუბრონ მათზე. ამ ჩანაწერში ისმის პატარა დირიჟორისა და ია-გოგოს ლაიტმოტივები. ბავშვები ამოიცნობენ ლაიტმოტივებს. თუ შეიძლება ამ ხმებისა და ლაიტმოტივების დახმარებით ბავშვებმა შეთხზან რაიმე ამბავი? მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს:

1. რომელი ცხოველების ხმები ესმით? მიბაძონ ხმით.
2. არის თუ არა გასხვავებული ხმა-ბგერები ზოოპარკში“, ცხოველების ხმების გარდა?
3. რომელი გმირების ლაიტმოტივები გესმით ამ ხმაურში?

მოსწავლის წიგნში მოცემულია სურათები. ბავშვები ზოოპარკის ხმაურს უსადაგებენ სურათებს.

მუსიკალური განტვირთვა: გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს **კ. სენ-სანსის „კარნავალიდან“** მათთვის უკვე ცნობილ პიესებს – **„აკვარიუმი“, „ჭიაღუები“** და **„ფინალი“.** სთხოვს ბავშვებს, დაუკვირდნენ, ამ სამი ნაწარმოებიდან რომელი მუსიკალური ნაწყვეტი მიესადაგება ზოოპარკის ხმას.

ამ აქტივობის მთავარი მიზანია, რასაც ხედავენ და ესმით, დაუკავშირონ ერთმანეთს, ისაუბრონ ამ ხმების განწყობასა და ხასიათზე.

ერთად ვიმღეროთ გუნდში

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: მასწავლებელი ბავშვებს ახსენებს II კლასში ნასწავლ რიტმულ ინტონაციურ სავარჯიშოებს. ისინი აჰყვებიან ამ ინტონაციას „დასარტყამ საკრავთა ორკესტრით“, რაც უფრო ხალისიანს გახდის აქტივობას.



გუნდი და მისი წყობა.

კონსერვატორიაში, საგუნდო მუსიკის კონცერტზე ბავშვებმა მოისმინეს გუნდი „თავისუფლება“ ზ. ფალიაშვილის ოპერიდან „დაისი“. ეს საგუნდო ნაწარმოები ი. კეჭაყმაძემ დაამუშავა საქართველოს ჰიმნად. დირიჟორი ეკითხება ბავშვებს: ბავშვებო, მოუსმინეთ ამ ნაწარმოებს და ამოიცანით ნაცნობი მელოდია – საქართველოს ჰიმნი, საქართველოს ჰიმნი – უპასუხეს ბავშვებმა.

ბავშვებმა გადაწყვიტეს თავადაც ჩამოეყალიბებინათ გუნდი და დახმარება დირიჟორს სთხოვეს. დირიჟორმა მათ გუნდის სახეობები გააცნო:

– არსებობს ქალთა, ვაჟთა და შერეული გუნდები. შერეულ გუნდში ქალები და ვაჟები ერთად მღერიან. ბავშვთა გუნდებიც ასეთივეა – გოგონათა, ბიჭუნათა და შერეული.

გუნდს ლოტბარი ხელმძღვანელობს, ისე, როგორც სიმფონიურ ორკესტრს – დირიჟორი. ლოტბარი იგივე დირიჟორია – გუნდის დირიჟორი.

გუნდის შექმნამდე ჯერ მისი წყობა და გუნდში დგომა უნდა ვისწავლოთ. გუნდში ისე უნდა დავდგეთ, რომ თითოეული თქვენგანი კარგად ხედავდეს ლოტბარს და ლოტბარიც გუნდის ყოველ წევრს.

დირიჟორი დაფაზე ხატავს გუნდის სქემას:

– ახლა, ამ ნახატის მიხედვით დადექით და თვალი ადევნეთ ჩემი ხელის მოძრაობას: ავწევ ხელს, ჩავისუნთქავთ და მოვემზადებით პირველი ბგერის ასაღებად. ბავშვები მოეწყვნენ და დირიჟორთან ერთად „საქართველოს ჰიმნი“ შეასრულეს. დირიჟორმა გააგრძელა:

– ჩვენ დღეს ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის საგუნდო ნაწარმოებს მოვისმენთ. მისი მელოდია თქვენ ყველამ კარგად იცით: პირველ კლასში მოისმინეთ მე-9 სიმფონიის ფინალის ფრაგმენტი. საერთოდ, სიმფონიას სიმფონიური ორკესტრი ასრულებს, მაგრამ ბეთჰოვენმა სიახლე შემოიტანა და სიმფონია გუნდის ხმოვანებით დაასრულა. ახლა თვალები დახუჭეთ და მუსიკას მოუსმინეთ.

მეთოდური მითითება: სიმფონიის მე-4 ნაწილს საფუძვლად დაედო გერმანელი პოეტის ფრიდრიხ შილერის ლექსი „ოდა სიხარულისადმი“. ბავშვები უსმენენ მე-9 სიმფონიის ფინალს და ასრულებენ დავალებას: ამოჭრიან წიგნის გმირებს და „ქმნიან გუნდს“ – მომღერლებსა და დირიჟორს თავ-თავის ადგილზე „აყენებენ“.

მუსიკალური განტვირთვა: ზ. ფალიაშვილი – გუნდი „თავისუფლება“. ლ.ვ. ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიის ფინალი. ბავშვები სიმფონიას უსმენენ თვალდახუჭული. (რელაქსაცია)

მუსიკალური ლექსიკონი

სიმფონია – ბერძნული სიტყვაა და კეთილხმოვანებას ნიშნავს. მუსიკაში დიდი ფორმის ნაწარმოებია სიმფონიური ორკესტრის შესრულებით.







გუნდის სქემა

მხიარული ნოტი – „დო“

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

პატარა ჩინელი ბიჭის ამბავმა ჩვენი წიგნის გმირებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ბავშვებმა დაწერეს თავიანთი აზრი ზღაპრის შესახებ და მასწავლებელს ჩააბარეს. დღეს პითაგორა-ბიჭუნას მათთვის ახალი მხიარული ნოტი – დო – უნდა ესწავლებინა:

– ბავშვებო, უკვე ვიცით, რომ ნოტები იწერება ხაზებზე და ხაზებს შორის. ჩვენ მიერ შესწავლილი სამი ნოტი – მი, სოლ, სი – პირველ, მეორე და მესამე ხაზზე იწერება. დღეს გამოვსახავთ და შევისწავლით „ყველაზე ჭკვიანს, უფროს ძამიკოს“ – დოს, რომელიც არც ხაზზე იწერება და არც ხაზებს შორის, მის დასაწერად ქვედა დამატებითი ხაზია საჭირო.



პითაგორა-ბიჭუნამ დაფაზე ხუთი ხაზი გაავლო, ვიოლინოს გასაღები გამოსახა, პირველი ხაზის ქვევით მოკლე დამატებითი ხაზიც გაუსვა და ზედ ნოტი – დო – დაწერა.

– კიდევ არსებობს სხვა დამატებითი ხაზები, რომლებსაც მომავალში შევისწავლით. ახლა გადაშალეთ თქვენი ნოტების რვეულები, გაავლეთ ქვედა დამატებითი ხაზი და დაწერეთ დო.

პითაგორა-ბიჭუნა მუსიკის ფონზე ბავშვებს ნოტის სწორად წერაში ავარჯიშებდა.

საქსოფონი: საქსოფონი ძველებურ ხის ჩასაბერ საკრავებს მიეკუთვნება. იგი გერმანელმა ადოლფ საქსმა 1840 წელს შექმნა და საკრავმაც სახელწოდება მისი გვარიდან მიიღო. არსებობს სხვადასხვა ჟღერადობის საქსოფონი: მაღალი ხმოვანების, ადამიანის ხმის მსგავსი და უფრო ბოხი.

საქსოფონი

მართალია, საქსოფონი ხის ჩასაბერ საკრავებს მიეკუთვნება, მაგრამ მას სხვადასხვა ლითონის (ვერცხლი, თითბერი...) სპეციალური შენადნობისაგან ამზადებენ. ადოლფ საქსმა გამოგონებაზე საავტორო უფლება მხოლოდ 1846 წელს მოიპოვა. გერმანიაში ახალი საკრავი სათანადოდ ვერ დააფასეს. მალე კი იგი ფრანგებმა შეიძინეს და სწორედ საფრანგეთიდან გახდა პოპულარული. დღეისათვის ხუთი განსხვავებული დიაპაზონის საქსოფონი არსებობს, რომელთაც, ადამიანის ხმების მიხედვით, ეწოდებათ: სოპრანო, ალტი, ტენორი, ბარიტონი, ბანი. სასიამოვნო ტემბრისა და ჟღერადობის გამო ყველაზე პოპულარული ალტისა და ტენორის საქსოფონებია.

საქსოფონები გამოიყენება სასულე, საესტრადო და ჯაზ-ორკესტრებში, იშვიათად – სიმფონიურშიც. მონათესავე საკრავებია: კლარნეტი, ჰობოი, ინგლისური ქარახსა.

რაფაელი – სიქსტის მადონა
ფრაგმენტი

მუსიკალური განტვირთვა: ბავშვები უსმენენ **შუბერტის „ავე მარიას“** ალტ-საქსოფონზე კენი ჯის შესრულებით და სწავლობენ ნოტი „დოს“ წერას. განმეორებითი მოსმენისას – თავისუფალი ხატვა.

მხიარული ნოტი „დო“

გაავლე ხუთი ხაზი და დაწერე ნოტი - „დო“ ქვედა დამატებით ხაზზე

გასეირნება ქალაქში. როგორ გამოვიყენოთ მელოდიური ოსტინატო ქალაქში მოგზაურობის დროს მუსიკალური კომპოზიციის შესაქმნელად?

დო – ოსტინატო

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

აქტივობა: დო-ოსტინატო. მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს **აუდიოჩანაწერს**, ქალაქის ხმაურს, ჯერ ცალკე და შემდეგ მეორე ვარიანტს, სადაც ფონად ამ ჩანაწერს ადევს ნოტი „დო“-ს ხმოვანება. დო-ოსტინატო „მოგზაურობს“ ქალაქში. ბავშვებმა უნდა ამოიცნონ ეს ხმა და მოსმენისას აჰყვნენ სიმღერით ნოტი „დო“-ს. მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს:

1. რა ხმები გესმით?
2. როგორია ეს ხმები?
3. ჩამოთვალეთ ეს ხმები.

სანოტო ხაზებზე ნოტი „დო“ იწერება პირველ დამატებით ხაზზე. პლანეტა სატურნის გამოსახულება და ნოტი „დო“-ს გრაფიკული მონახაზი ძალიან ჰგავს ერთმანეთს.

მასწავლებელი ბავშვებს უყვება, რომ პითაგორა ბიჭუნამ ნოტი „დო“ მიუსადაგა პლანეტა სატურნს. რა მსგავსებაა პლანეტა სატურნსა და ნოტი „დო“-ს შორის?

LMMS პროგრამაში მოცემულია ნოტი „დო“-სა და სატურნის ბუნებრივი ხმის „სემპლები“. ბავშვები ამ ხმების დახმარებით შექმნიან პატარა მუსიკალურ კომპოზიციას. შეუძლიათ კომპოზიციას დაადონ რიტმი ან ხმის ეფექტი.



მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS-ი

აქტივობა 11: ამ აქტივობაში მოცემულია ორი ტრეკი:
პლანეტა სატურნის ხმა და ნოტი „დო“ – ფორტეპიანოზე.
ეს ორი ტრეკი შეუთანხმეთ ერთმანეთს.
„დო“ – ოსტინატო „მოგზაურობს“ კოსმოსში.
ნიმუში აუდიო ფაილის სახით მოცემულია ამავე აქტივობის ფოლდერში.

მუსიკალური შეჯიბრი – 1: კლასში პითაგორა-ბიჭუნამ შემაჯამებელი გაკვეთილი – „მუსიკალური შეჯიბრი“ ჩაატარა.

– ჩვენ უკვე შევისწავლეთ ხუთი სწორი ხაზის გავლება, ვიოლინოს გასაღებისა და ოთხი ნოტის წერა. დღეს შევეჯიბროთ, ვინ უფრო კარგად შეასრულებს დავალებას და ერთმანეთი შევაფასოთ.

პითაგორა-ბიჭუნამ მუსიკა ჩართო. ბავშვები სათითაოდ გამოდიოდნენ დაფასთან და ასრულებდნენ დავალებას – ავლებდნენ ხაზებს, გამოსახავდნენ ვიოლინოს გასაღებს და წერდნენ ნოტებს. შეჯიბრში ყველაზე მეტი ქულა დათა-ბათამ და პეტრემ დააგროვეს. ალბათ იმიტომ რომ, ისინი სამუსიკო სკოლაშიც სწავლობენ.

მეთოდური მითითება: მუსიკალური შეჯიბრის მოწყობა ყველას შეუძლია. ეს ხელს უწყობს ცოდნის შემოწმებასა და განმტკიცებას; ამავე დროს, ერთმანეთის შეფასების პროცესი ბავშვებს ძალიან მოსწონთ.

მასწავლებელს შეუძლია, ეს აქტივობა რამდენჯერმე გაიმეოროს და შეჯიბრის მუსიკალურ ფონად სხვადასხვა სიმღერის ჩანაწერები გამოიყენოს.

ეთნოგრაფია და მუსიკა

თემა: სხვადასხვა ქვეყნის ხალხური მუსიკა
მიზანი: ხალხური სიმღერების გაცნობა და შესწავლა
მისაღწევი შედეგები: მუს.დაწყ.(I)4,5,6

უჩა ბიჭი

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

მოვიარე სიმღერით: პატარა დირიჟორმა გურიაში მოგზაურობის შემდეგ გეზი თურქეთისაკენ აიღო და საქართველოს უძველეს ისტორიულ მხარეს, ლაზეთს ეწვია. სოფლის ბავშვებს ფერხული ჩაებათ და საოცარ ლაზურ სიმღერას მღეროდნენ. დირიჟორი აღფრთოვანდა – აქამდე ასეთი რამ არასოდეს ენახა და არც მოესმინა. ეს ხომ ნამდვილი ქართული სიმღერა და ცეკვა იყო!.. სიმღერა მაშინვე ფირზე ჩაიწერა და შემდეგ ნოტებზე გადაიტანა.

ახალი სიმღერის შესწავლა: ლაზური ხალხური საფერხულო სიმღერა – **„უჩა ბიჭი“.**

დაჩხურიში ხევნერი
ჰოიარ, ჰოიარ,
უჩა თოლეფე სქანი,
უჩა ბიჭი, უჩა თოლეფე სქანი.
აღნე ჩოხაშ ძიქვათენ,
ჰოიარ, ჰოიარ,
ხორონამ მანი-მანი,
უჩა ბიჭი, უჩა თოლეფე სქანი.

ცეცხლისგანაა გაკეთებული,
ჰოიარ-ჰოიარ,*
შენი შავი თვალები,
შავო ბიჭო, შენი შავი თვალები.
ახალი ჩოხა-შარვლით,
ჰოიარ-ჰოიარ,
ცეკვავ ჩქარ-ჩქარა,
შავო ბიჭო, ცეკვავ ჩქარ-ჩქარა.

* **ჰოიარ-ჰოიარ** – ესეც **გლოსოლალიაა**, როგორც „ჰარალე“, „ჰარი-ჰარალე“ და სხვა.

ეს სიმღერა ფოლკლორისტმა იოსებ მეგრელიძემ 1936 წელს ლაზებისგან ჩაიწერა, 1976 წელს კი ეთნომუსიკოლოგმა ოთარ ჩიჯავაძემ ნოტებზე გადაიტანა. სიმღერაში შექებულია შავგვრემანი ვაჟკაცი, მეომარი, რომელსაც შვენის შავი ჩოხა, ყაბალახი, ქამარ-ხანჯალი და ყაწიმები. იოსებ მეგრელიძის გამოკვლევით, ლაზური „უჩა ბიჭი“ ენათესავება საფერხულო სიმღერებს: მეგრულ „უჩა კოჩის“ და ქართლ-კახურ „შავლეგოს“.

ლაზ მეთევზეთა ცეკვა

მუსიკალური განტვირთვა: „უჩა ბიჭი“ – ლაზური ხალხური სიმღერა. მეორე გაკვეთილზე ბავშვები უსმენენ მუსიკას: **„აჭარული“** ფრაგმენტი ანსამბლ „სუხიშვილების“ სიუიტიდან „ასა ფართი“ – და სწავლობენ ნოტების წერას.

ლექსიკონი

ლაზეთი – ისტორიული მხარე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ფეოდალური ხანის ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი პროვინცია. მოიცავდა ტერიტორიას მდინარე რიონის ქვემო დინებასა და მდინარე ჭოროხის შესართავს შორის. პირველად მოიხსენიება VII საუკუნეში ლაზიკის სახელწოდებით. ბიზანტიელები დასავლეთ საქართველოს ლაზიკის სამეფოსაც უწოდებდნენ. ჭანეთიც იგივეა, რაც ლაზისტანი, ლაზეთი.

ყაწიმი – ჩოხის მასრები, მოვერცხლილი და ვერცხლის ძეწკვებით შემკობილი.

ლაზური ეზო

უჩა ბიჭი

ლაზური











პილილი – ლაზური ხალხური საკრავი.

პილილი ერთღერიანი ხის ჩასაბერი საკრავია. მასზე 5-7 თვალია ამოჭრილი. საკრავი ბოლოში განიერდება. ჩაბერვის ადგილას მილში ჩადგმულია ლერწმის თხელი ღერო – დედანი, რომელიც საკრავს სპეციფიკურ ჟღერადობას ანიჭებს: სალამურს წკრიალა ხმა აქვს, გუდასტვირს – ღუღუნა, პილილის ჟღერადობა ცოტათი ჭიბონისას ჰგავს – მასავით „ჭყვიტინებს“.

მუსიკალური განტვირთვა: ბავშვები უსმენენ პილილის ჩანაწერს.

კლიო – ისტორიის მუზა

მხიარული ნოტი – „რე“

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

პითაგორა-ბიჭუნამ გააგრძელა ბავშვებთან ნაყოფიერი მუშაობა: დაფაზე გაავლო ხუთი ხაზი, გამოსახა ვიოლინოს გასაღები და ბავშვებს ნასწავლი ნოტები ჩამოათვლევინა: დო, მი, სოლ, სი. პითაგორა-ბიჭუნამ ნოტები დაფაზე დაწერა, ბავშვებს კი სთხოვა, თავიანთ სანოტო რვეულებში დაეწერათ მხოლოდ სამი ნოტი: დო, მი, სოლ, შემდეგ შეეხედათ დაწერილი ნოტებისათვის და ისე ემღერათ, აღმავალი და დაღმავალი მიმართულებით: დო, მი, სოლ; სოლ, მი, დო. გაახსენა პირველ და მეორე კლასში შესწავლილი სავარჯიშო – „მუსიკალურ კიბეზე“ გამღერებული „დათვი, დათუნა...“ და ხმოვნები: ა, ე, ი, ო, უ. ბავშვებმა გაიმღერეს ეს სავარჯიშოები.

– ახლა კი დახედეთ ნოტებს, გაიაზრეთ, გააცნობიერეთ და ნოტების დასახელებით კიდევ ერთხელ გაიმღერეთ სავარჯიშო: დო – მი – სოლ; სოლ – მი – დო.



– ამ სამი ბგერის ერთდროული აჟღერებით მივიღეთ სამხმიანი **აკორდი**. იტალიურად ეს სიტყვა შეთანხმებას, შეწყობას ნიშნავს; ამ შემთხვევაში – სამი მუსიკალური ბგერის შეთანხმებულად აჟღერებას, სამხმოვანებას, – პითაგორა-ბიჭუნა შეეცადა, მარტივად აეხსნა ბავშვებისათვის.

შემდეგ პითაგორა-ბიჭუნამ კლასი სამად გაყო. თითოეული ჯგუფი სხვადასხვა ნოტს მღეროდა – ჯერ ცალ-ცალკე, შემდეგ კი ერთდროულად.

– ჩვენ უკვე ვისწავლეთ ხაზებზე გამოსახული ნოტები, დღეს კი შევისწავლით ახალ ნოტს – რე-ს, მაგრამ ის თქვენ თვითონ უნდა გამოიცნოთ, სად იწერება.



ბავშვები დაფიქრდნენ და ცოტა ხანში მშვენივრად ამოხსნეს ეს ახალი მუსიკალური ტესტი: გაავლეს ხუთი ხაზი ვიოლინოს გასაღებით, ქვედა დამატებით ხაზზე დაწერეს ნოტი „დო“, პირველ ხაზზე – ნოტი „მი“ და მათ შორის ჩაწერეს მხიარული ნოტი „რე“. პითაგორა-ბიჭუნამ ბავშვები შეაქო...

მუსიკალური განტვირთვა: სერგეი პროკოფიევი – „კლასიკური სიმფონია“, I ნაწილი. ბავშვები მუსიკის ფონზე სწავლობენ ახალი ნოტი – „რე“-ს – წერას.

ფსიქოლოგიური განსჯისათვის

ტესტური სავარჯიშოები ხელს უწყობს ბავშვის მიკროსივრცეში ორიეტაციის და მის წინაშე დასმული ლოგიკური ამოცანის ფიქრით გადაწყვეტას, სივრცით-მხედველობით აღქმას, წვრილი მოტორიკის განვითარებას, დავალების სწორად გადაწყვეტის ინტერესს. ამგვარი სახის სახალისო ტესტური შინაარსის დავალებები მასწავლებელს შესაძლებლობას უქმნის გამოავლინოს ბავშვების პოტენციური შესაძლებლობები, თუ რამდენად შემოქმედებითად მიუდგა ესა თუ ის მოსწავლე მოცემულ პირობას. დაბრკოლების შემთხვევაში მასწავლებელს „მოკარნახე კითხვით“ ბავშვი სწორ პასუხამდე მიჰყავს.

მუსიკალური ტესტი

რა ნოტი დაიწერება „დო“-სა და „მი“-ს შორის



გაავლე ხუთი ხაზი და დაწერე ნოტი – ?

რე – ოსტინატო

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

აქტივობა: გასეირნება ტყეში, რე-ოსტინატო. მასწავლებელი ასმენინებს ბავშვებს **აუდიოჩანაწერს** – „ტყის ხმა“. ჭიკჭიკებენ ჩიტები, ისმის ნაკადულის რაკრაკი, ფოთლების შრიალი, ქარის ზუზუნი. მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს:

1. რა ხმები გესმით?
2. როგორია ეს ხმები?
3. სად ისმის ეს ხმები?

შემდგომ ასმენინებს ამ კომპოზიციის მეორე ვარიანტს. ტყის ხმას ფონად მიჰყვება ნოტი „რე“-ს გაბმული ხმოვანება. იქმნება ერთგვარი **მუსიკალური კოლაჟი.** ბავშვები უსმენენ ამ კომპოზიციას და აჰყვებიან სიმღერით. ბავშვების ერთი ნაწილი სიმღერით ჰყვება რე-ს ხმოვანებას. „რე“-ოსტინატო „მოგზაურობს“ ტყეში.



დედამიწა

პითაგორა ბიჭუნამ ნოტი „რე“-ს მიუსადაგა პლანეტა დედამიწა. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, **LMMS** პროგრამაში ნოტი „რე“-სა და დედამიწის ბუნებრივი ხმისგან შექმნან მუსიკალური კომპოზიცია. გაკვეთილის ბოლოს ბავშვები რვეულებში დაწერენ ნოტი „რე“-ს.

მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS-ი

აქტივობა 12: ამ აქტივობაში მოცემულია ორი ტრეკი: პლანეტა დედამიწა და ნოტი „რე“ – ფორტეპიანოზე. ეს ორი ტრეკი შეუთანხმეთ ერთმანეთს. „რე“ – ოსტინატო „მოგზაურობს“ კოსმოსში. ნიმუში აუდიო ფაილის სახით მოცემულია ამავე აქტივობის ფოლდერში.

ამოიცანი მელოდია და გაიმღერე „დასარტყამ საკრავთა ორკესტრთან“ ერთად



ედელვაისი

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: მასწავლებელი ბავშვებს ახსენებს II კლასში ნასწავლ რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებს. ისინი აჰყვებიან ამ ინტონაციას „დასარტყამ საკრავთა ორკესტრით“, რაც უფრო ხალისიანს გახდის აქტივობას.



ახალი სიმღერის შესწავლა – „ედელვაისი“. რიჩარდ როჯერსის სიმღერა კინოფილმიდან „მუსიკის ჰანგები“.

ედელვაისი პატარა ულამაზესი თეთრი ყვავილია. ის მთებში იზრდება და თოვლის საფარიდან ენძელასავით ამოყოფს თავს.

Edelweiss, Edelweiss,
Every morning you greet me,
Small and white, clean and bright,
You look happy to meet me.
Blossom of snow, may you
bloom and grow,
Bloom and grow forever.
Edelweiss, Edelweiss,
Bless my homeland forever.

მუსიკალური განტვირთვა: ბავშვები უსმენენ სიმღერის „პლუს“ ფონოგრამას, აჰყვებიან და სწავლობენ ტექსტსა და მელოდიას, მეორე გაკვეთილზე კი თვითონ ასრულებენ „მინუს“ ფონოგრამაზე.



გაიმღერე და დაითვალე, რამდენი ბგერისგან შედგება მოტივი.

ევტერპე
მუსიკის მუზა

ედელვაისი

მუსიკა რიჩარდ როჯერსის




snow, may you bloom and grow, Bloom and
grow for - ev - - - - er. E - del - weiss,
p
E - del - weiss, Bless my home - land for -
1.
2.
ev - - - - - er. ev - - - - - er.
mf

ჰობოი

ჰობოი

ჰობოი ხის უძველესი ჩასაბერი საკრავია. სხვადასხვა სახელწოდებით გავრცელებული იყო ინდოეთში, შუა აზიაში, საბერძნეთსა და კავკასიაში. მას გამჭვირვალე, მკვეთრი, სუფთა ხმოვანება აქვს. ევროპაში ჰობოი მე-17 საუკუნეში შემოვიდა და კლასიკურ სიმფონიურ ორკესტრში დამკვიდრდა. ჰობოი ხშირად გამოიყენება მწყემსური და სოფლური ყოფის სურათების გადმოსაცემად.

ჰობოის წინამორბედია ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ-მდე XII-VII ს.ს.-ში არსებული ინდური საკრავი ოტუ, ასევე – შუა აზიასა და კავკასიაში დღემდე გავრცელებული ზურნა. ჰობოის წინაპრად ითვლება ანტიკური ხანის ბერძნული ჩასაბერი საკრავი ავლოსიც, რომლის გარეშეც ძველ საბერძნეთში არცერთი წვეულება თუ დღესასწაული არ იმართებოდა. ავლოსის გამოსახულება შემორჩენილია ძველი ბერძნული ფაიფურის ჭურჭელზე. საერთოდ, კლასიკურ სიმფონიურ ორკესტრში ორი ჰობოი და მისი მონათესავე ერთი ინგლისური ქარახსაა, რომელსაც ჰობოი-ალტსაც უწოდებენ. ზაქარია ფალიაშვილის „დაისის“ უვერტიურას ჰობოის სოლო იწყებს, პეტრე ჩაიკოვსკის „პატარა გედების ცეკვაში“ კი მთავარ თემას ორი ჰობოი ასრულებს.

მუსიკალური განტვირთვა: რიჰარდ შტრაუსი. კონცერტი ჰობოისათვის. ბავშვები თვალდახუჭული უსმენენ – ხდება განტვირთვა, რელაქსაცია.

მუსიკალური საკრავები

გაიხსენეთ და გაიმეორეთ

ფლეიტა

საქსოფონი

ვიოლინო

კონტრაბასი

არფა

ჩელო

მუსიკის ფონზე – **ა. მიზანდარი – აღმოსავლური მელოდია** – მასწავლებელი ბავშვებს უკითხავს მოთხრობას.

პატარა მუსიკოსები

ფელიქს მიზანდარი

პატარა ვანო და ზაქრო მეზობლის ბავშვებთან ერთად ეზოში თამაშობდნენ. უცებ მათი ყურადღება ზანზალაკების ჟღარუნმა მიიქცია: ეზოში თეთრცხენებშებმული ეტლი შემოვიდა. ეტლიდან უცნობი მამაკაცი გადმოვიდა, ეტყობოდა, შორი გზიდან მოდიოდა. ბავშვები ცხენებს შემოეხვივნენ. მარტოდ დარჩენილ ვანოს შეეშინდა და ატირდა. უცნობი ძია მიუახლოვდა პატარას და ჰკითხა:

– რა გქვია, ბიჭუნა?

– ვანო, – უპასუხა პატარამ.

– ვისი შვილი ხარ?

– ღიღინასი, – ასე ეძახდნენ ქუთაისში მოფერებით პეტრეს – ვანოსა და ზაქროს მამას.

უცნობს უცნაურ სახელზე გაეცინა და ბავშვს ხელში შაქარყინული ჩაუდო. ვანომ ტირილი შეწყვიტა და მადლიერი თვალებით ახედა.

„უცნობი ძია“ ფელიქს მიზანდარი იყო. მას მუსიკალური განათლება მოსკოვსა და ოდესაში მიეღო და ახლა პედაგოგიური მოღვაწეობის გასაგრძელებად ქუთაისში დაბრუნებულიყო. იმ დღიდან ფელიქს მიზანდარი ქუთაისში დამკვიდრდა და მალე გაითქვა სახელი, როგორც ჩინებულმა მასწავლებელმა. მე-19 საუკუნის მიწურულს ქუთაისში სულ ორიოდე ფორტეპიანო იყო, აქედან ერთი ფელიქსს ეკუთვნოდა. უამრავი ბავშვი დადიოდა ფელიქს მასწავლებელთან, უნიჭო თუ ნიჭიერი, ის კი ყველას გულდასმითა და სიყვარულით ასწავლიდა მუსიკის ანა-ბანას, ფორტეპიანოზე დაკვრას. ფელიქს მიზანდარი უაღრესად თავმდაბალი, მოკრძალებული ადამიანი იყო და ქუთაისში ყველას უყვარდა. დღისით ბავშვებს ამეცადინებდა, საღამოს კი ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიაში ორგანზე უკრავდა.

ივანე და ზაქარია ფალიაშვილები

პატარა ვანოსა და ზაქროსაც სურდათ, ფორტეპიანოზე დაკვრა ესწავლათ. ისინი ღვთისაგან მუსიკალური ნიჭით იყვნენ დაჯილდოვებულნი, მამას კი საშუალება არ ჰქონდა, მათთვის მუსიკალური განათლება მიეცა. გამოსავალი თვითონ ბავშვებმა იპოვეს: უცნობი ძიას შაქარყინულიც ახსოვდათ და მისი სიკეთისაც სჯეროდათ... ძმებმა მასწავლებელს თვითონ მიაკითხეს. კარი თავად ფელიქსმა გაუღო და სტუმრობის მიზეზი ჰკითხა. ბავშვებმა გულღიად გაანდეს თავიანთი დიდი სურვილი და ოცნება, თანაც აუხსნეს – ფული არა გვაქვს, სამაგიეროდ, როცა გავიზრდებით, აუცილებლად გადავიხდითო. მუსიკის მასწავლებელს გაეღიმა და პირველი გაკვეთილიც მაშინვე ჩაუტარა. ვანოსა და ზაქროს არაჩვეულებრივი ნიჭი უმალ შენიშნა გამოცდილმა პედაგოგმა და მათთან მეცადინეობაც უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა... გავიდა ხანი. ვანომ და ზაქრომ მართლაც აუსრულეს დანაპირები პირველ მასწავლებელს, დაუფასეს ამაგი და „ვალიც გადაუხადეს“: ჩვენი პატარა მუსიკოსები ივანე და ზაქარია ფალიაშვილები იყვნენ, ფელიქს მიზანდარი კი მათი პირველი მასწავლებელი, რომელიც თავის ძმასთან, ალოიზ მიზანდართან ერთად, საქართველოში პროფესიული მუსიკალური განათლების ფუძემდებლად ითვლება.

ნიკოლოზ გიორგაძე – „ალოიზ მიზანდარი“

ბავშვები უყურებენ **ვიდეოს: Aloiz Mizandari - tiflis polka 1867, https://www.youtube.com/watch?v=NsCJvczFygI**

მუსიკის ისტორიიდან: ალოიზ მიზანდარი (1837-1912), 2018 წელს 180 წელი შესრულდა საქართველოში საფორტეპიანო სკოლის ფუძემდებლის, საერთაშორისო მნიშვნელობის პირველი ქართველი პიანისტი-ვირტუოზისა და კომპოზიტორის ალოიზ მიზანდარის დაბადებიდან. ალოიზ მიზანდარი საქართველოში სამუსიკო განათლების ფუძემდებელია. მან 1874 წელს ხარლამპი სავანელასა და კონსტანტინე ალიხანოვთან ერთად თბილისში დააარსა სამუსიკო სკოლა, რომელიც 1886 წელს სამუსიკო სასწავლებლად, 1917 წელს კი – სახელმწიფო კონსერვატორიად გადაკეთდა.

ალოიზ მიზანდარი

მან მთელი თავისი ცხოვრება და შემოქმედება ამ საქმეს მიუძღვნა. მისი ორი პიესა „წუთიერი ფიქრები ჩემი მეგობრისთვის“ და „პოლკა“ – „თბილისი“, რომლებიც 1867 წ. დაიწერა – ქართული საფორტეპიანო და საორკესტრო მუსიკის პირველი ნიმუშებია.

ალოიზ მიზანდარი მეგობრობდა მსოფლიო მუსიკის ისეთ კორიფეებთან, რომლებიც იყვნენ: პეტრე ჩაიკოვსკი, ანტონ რუბინშტეინი, ჯოაკინო როსინი, ფერენც ლისტი, იოჰანეს ბრამსი და სხვა. გადმოცემის მიხედვით, მიზანდარი და ლისტი ხშირად უკრავდნენ ორ როიალზე. პარიზსა და ვენაში გასტროლების დროს მის გამოსვლებს პრესა უმაღლეს შეფასებას აძლევდა.

მხიარული ნოტი – „ფა“

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 90 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: მასწავლებელი ბავშვებს ახსენებს II კლასში ნასწავლ რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებს. ისინი აჰყვებიან ამ ინტონაციას „დასარტყამ საკრავთა ორკესტრით“, რაც უფრო ხალისიანს გახდის აქტივობას.



პითაგორა-ბიჭუნა მუსიკალურ ტესტებზე მუშაობდა: მას სურდა, ბავშვებს თვითონ ამოეცნოთ და დაეწერათ ჯერ კიდევ შეუსწავლელი ნოტები – „ფა“, „ლა“ და „დო“. პითაგორა-ბიჭუნამ დაფაზე დაიწყო ნოტების წერა. დათა-ბათამ მასწავლებელს უჩვეულო კითხვა დაუსვა:

– მასწავლებელო, რატომ დაგარქვეს პითაგორა, ვინ იყო იგი?

– ძალიან კარგი შეკითხვაა. მე დიდი ხანია ველოდი თქვენგან ამას.



პითაგორა

– პითაგორა ჩვ. წ. აღ-მდე VI ს-ის ანტიკური ხანის ბერძენი ფილოსოფოსი, მოაზროვნე, მათემატიკოსი და მუსიკოსი იყო. განსაკუთრებით დიდია მისი ღვაწლი მუსიკის თეორიაში. მას მიაჩნდა, რომ სამყაროში პლანეტებს, ყველა საგანს – სულიერსა თუ უსულოს – თავისი მუსიკალური ხმა, მელოდია ჰქონდა. პლანეტები მზის გარშემო მოძრაობისას ერთ საერთო სიმღერას უმღერიან სამყაროს შემოქმედს – ღმერთს. პითაგორა შვიდ ნოტს, საკრავის შვიდ სიმს აიგივებდა შვიდ პლანეტასთან... ჩვენც ხომ მხიარულ ნოტებს პლანეტების ხმოვანებას ვუსადაგებთ?

– აბა, ჩამოთვალეთ მზის სისტემის პლანეტები.

დედამიწა, სატურნი, იუპიტერი, მარსი, ვენერა, მერკური, ნეპტუნი და ურანი.

– ახლა, ახალი მუსიკალური ნოტის – „ფა“-ს წერა ვისწავლოთ, – მასწავლებელმა ბავშვებს სათითაოდ დაურიგა მუსიკალური ტესტი – „გამოიცანი, რომელი ნოტი იწერება „მი“-სა და „სოლ“-ს შორის და დაწერე“. ბავშვებმა დაასრულეს ნოტების წერა, აჭარულ სიმღერაზე ფერხული ჩააბეს და მოილხინეს.

მუსიკალური განტვირთვა: აჭარულ-შავშური სიმღერა „ჯილველო“ – გამოიცანით, რა საკრავი ჟღერს? (ჭიბონი)

ურანია – ასტრონომიის მუზა

ლექსიკონი

ანტიკური – (იტალ.) უძველესს ნიშნავს.

ფილოსოფოსი – (ბერძ.) ბუნების, ადამიანთა საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების უზოგადესი კანონების მცოდნე, სიბრძნის მოყვარული ადამიანი.

მუსიკალური ტესტი

რა ნოტი დაიწერება „მი“-სა და „სოლ“-ს შორის



გაავლე ხუთი ხაზი და დაწერე ნოტი - ?

„ანო და ვანო“

მუსიკა ვახტანგ კახიძისა
ტექსტი ჯანსუღ ჩარკვიანისა

ქართული ცის ლაჟვარდები
ჩვენი ლურჯი სამოსია,
საქართველო ანოსია,
საქართველო ვანოსია.

სიხარულის ცრემლი დაგვდის
უვდავების წყაროსია,
საქართველო ანოსია,
საქართველო ვანოსია.

ლამაზ გორებს ჩანჩქერების
ნაწნავები ჩამოშლია
ჩვენს სამშობლოს სილამაზე
არასოდეს არ მოშლია
საქართველო ანოსია
საქართველო ვანოსია

მისამღერი: განთიადზე ფიქრით
ლურჯი ცის თვალო,
გამარჯობას გითვლის
ანო და ვანო. (2-ჯერ)

ჩვენი ქვეყნის ცისფერ დილას
ოქროს თმები ჩამოშლია,
საქართველო ანოსია,
საქართველო ვანოსია.

შენ ნუ სტირი, საქართველოვ,
არაფერიც არ მოგსვლია,
საქართველო ანოსია,
საქართველო ვანოსია.

დიდი „ვეფხისტყაოსანი“
ჩვენი წიგნის თაროსია,
გაიხედე, მზე ამოდის,
სამომავლო ტაროსია,
საქართველო ანოსია
საქართველო ვანოსია

მისამღერი: განთიადზე ფიქრით
ლურჯი ცის თვალო,
გამარჯობას გითვლის
ანო და ვანო. (2-ჯერ)

გაიმღერე და დაითვალე, რამდენი ბგერისგან შედგება მოტივი





მუსიკალური განტვირთვა: ვახტანგ კახიძე – „ანო და ვანო“. ბავშვები უსმენენ სიმღერას, მღერიან და რვეულებში ასრულებენ მუსიკალურ ტესტებს.

„ანო და ვანო“

მუსიკა ვახტანგ კახიძისა
ტექსტი ჯანსულ ჩარკვიანისა



ავტორისაგან: პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მეორე კლასის მოსწავლის წიგნში ნოტების გამოხატვის წინასწარი სავარჯიშოების ჩადება მართებული იყო, რადგან ბავშვებთან მუშაობისას თვალნათლივ გამოჩნდა, რომ უმეტეს მათგანს გაუჭირდა ნოტების სწორად აღქმა და დახატვა. 20-25 ბავშვიდან მხოლოდ ორმა-სამმა ბავშვმა გაართვა თავი ამ სამუშაოს. მესამე კლასში, როდესაც უკვე ბავშვებს სტანდარტის მიხედვით ევალებათ ნოტების შესწავლა, ეს სავარჯიშოები დაეხმარება და გაუადვილებს ამ პროცესს. აგრეთვე ცოდნის შემოწმებასა და განმტკიცებაში გვეხმარება აქტივობა – **მუსიკალური შეჯიბრი,** რომელიც შეუძლია მასწავლებელს სხვადასხვა გაკვეთილებზე გამოიყენოს.

◎ ფსიქოლოგიური განსჯისათვის: მუსიკალური შეჯიბრი – მოცემული აქტივობა კარგი საშუალებაა ბავშვის პიროვნული თავისებურებების გამოსავლენად. შეჯიბრი ბავშვს ლიდერობის განცდას, მიზანდასახულობასა და მიზანსწრაფულობას უყალიბებს; იგი მოტივირებულია, ყველაზე უკეთ წარმოაჩინოს თავი.

ცნობილია, რომ ჩაკეტილი, შფოთიანი, მორცხვი, მერყეევი პიროვნული თვისებების მატარებელი ბავშვები ნაკლებ ტემპერამენტს, დაბნეულობასა და მოუქნელობას ავლენენ. ეს უკავშირდება მათ დაბალ თვითშეფასებას. თუმცა ამგვარი ბავშვები მეტისმეტად მგრძნობიარენი არიან საკუთარი შრომის შედეგის მიმართ და მათთვის რთულია მასზე ორიენტირება. არ ძალუძთ შეაფასონ საკუთარი თავი – რამდენად სწორად ან არასწორად შეასრულეს დავალება. ისინი მძაფრად განიცდიან შეფასებას თანატოლის მხრიდან. უარყოფითი შეფასება ტრავმას აყენებს მათს ფსიქიკას. ამ შემთხვევაში ეფექტურია მასწავლებლის მიერ წახალისების ხერხების გამოყენება.

გასეირნება სიფელში. როგორ გამოვიყენოთ მელოდიური ოსტინატო სოფელში მოგზაურობის დროს მუსიკალური კომპოზიციის შესაქმნელად?

ფა – ოსტინატო

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 90 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: მასწავლებელი ბავშვებს ახსენებს II კლასში ნასწავლ რიტმულ ინტონაციურ სავარჯიშოებს. ისინი აჰყვებიან ამ ინტონაციას „დასარტყამ საკრავთა ორკესტრით“, რაც უფრო ხალისიანს გახდის აქტივობას. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს ამოიცნონ ეს ინტონაცია.



აქტივობა: ფა-ოსტინატო. მასწვალებელი ბავშვებს ასმენინებს **აუდიოჩანაწერს**, სადაც ია-გოგო სოფელში მიდის. ჯერ ასმენინებს ჩანაწერის პირველ ვარიანტს და ეკითხება ბავშვებს:

1. რა ხმები გესმით?
2. როგორია ეს ხმები?
3. შეთხზეთ რაიმე ამბავი ამ ხმებით.
4. ამოიცანით ნაცნობი ინტონაცია და გაიმღერეთ.
5. დაითვალეთ, რამდენი ბგერისგან შედგება ეს ინტონაცია?
6. ვისი „ლაიტმოტივია“ ეს ინტონაცია?
7. ჩამოთვალეთ, კიდევ რომელი ხმები გესმით?
8. ამ ხმების მეშვეობით გამოიცანით, სად მიდის ია-გოგო.

მარსი

შემდეგ ისმენენ ჩანაწერის მეორე ვარიანტს, სადაც მატარებლის, სოფლის ხმებსა და ია-გოგოს „ლაიტმოტივს“ ფონად მიჰყვება ნოტი „ფა“-ს გაბმული ხმოვანება – **ფა-ოსტინატო**. ბავშვები სიმღერით აჰყვებიან ფა-ოსტინატოს და გაიმღერებენ ნაცნობ ინტონაციას.

პითაგორა ბიჭუნამ ნოტი „ფა“ მიუსადაგა პლანეტა მარსს. **LMMS** პროგრამაში მოცემულია პლანეტა მარსის ბუნებრივი ხმა და „ფა“-ს ხმოვანება. ბავშვები ამ „სემპლებით“ ქმნიან პატარა კომპოზიციას. შემდგომ რვეულებშიდაწერენ ნოტი „ფა“-ს.

მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS-ი

აქტივობა 13: ამ აქტივობაში მოცემულია ორი ტრეკი:

პლანეტა მარსი და ფორტეპიანო – ნოტი „ფა“. ეს ორი ტრეკი შეუთანხმეთ ერთმანეთს.

„ფა“ – ოსტინატო მოგზაურობს კოსმოსში. ნიმუში აუდიოფაილის სახით მოცემულია ამავე აქტივობის ფოლდერში.

პატარა მატარებელი

მოვიარე სიმღერით: პატარა დირიჟორმა ბავშვებთან ერთად ბორჯომის ხეობაში იმოგზაურა. ბორჯომში „გუგულის მატარებელში“ ჩასხდნენ და გეზი ბაკურიანისაკენ აიღეს. გზა სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა, თვალწინ ულამაზესი ბუნება გადაშლილიყო. მარადმწვანე ფიჭვებისა და ნაძვების შემდეგ ბავშვებს იმედი ჰქონდათ, ალპურ ზონაში მთის იშვიათ ყვავილ ედელვაისსაც იპოვნიდნენ და ჰერბარიუმს შეავსებდნენ.

დირიჟორმა ბავშვებს მატარებელზეც ასწავლა ძალიან მხიარული სიმღერა, ბავშვები კი სიმღერას **„დასარტყამ საკრავთა ორკესტრით“** აჰყვნენ.

ჩვენო პატარა „გუგულო“,
პატარა მატარებელო,
მთელი ბორჯომის ხეობის
ბავშვების გამხარებელო.

ხმა გაქვს ისეთი მჭექარე,
ისეთი ომახიანი,
ცემში რომ „გუ-გუს“ დასძახებ,
ბანს გაძლევს ბაკურიანი.

ჩვენო პატარა „გუგულო“,
პატარა მატარებელო,
მთელი ბორჯომის ხეობის
ბავშვების გამხარებელო.

ქშენით მიაპობ ნაძვნარებს,
გულში გიხუტებს ხეობა,
შენი ავლა და ჩამოვლა
ზეიმია და დღეობა.

ჩვენო პატარა „გუგულო“,
პატარა მატარებელო,
მთელი ბორჯომის ხეობის
ბავშვების გამხარებელო.

ხმა გაქვს ისეთი მჭექარე,
ისეთი ომახიანი,
ცემში რომ გუგუს დასძახებ,
ბანს გაძლევს ბაკურიანი.

ჩვენო პატარა „გუგულო“,
პატარა მატარებელო,
ჩვენო პატარა „გუგულო“,
პატარა მატარებელო...



პატარა მატარებელი

მუსიკა მ. დავითაშვილისა
ტექსტი თ. აბაშიძისა

Maestoso

f

mf

ჩვე-ნო პა - ტა - რა „გუ - გუ - ლო“, პა-ტა-რა მა - ტა - რე - ბე - ლო,

მთე - ლი ბო - რჯო - მის ხე - ო - ბის ბა-ვშვე-ბის გა - მხა - რე - ბე - ლო.

1.ხმა გაქვს ი - სე-თი მჭე - ქა - რე, ი - სე - თი ო - მა -
2.ქშე - ნით მი - ა-პობ ნა-ძვნა-რებს. გუ-ლში გი - ხუ - ტებს


ხი - ა - ნი, ცე - მ'ში რომ „გუ - გუს“ და - ხა - ხებ,
ხე - ო - ბა, შე - ნი ა - ვლა და ჩა - მო - ვლა
f
ბანს გა-ძლევს ბა - კუ - რი - ა - ნი.
ზე - ი - მი - ა და დღე-ო - ბა.
sf
ჩვე-ნო პა - ტა - რა „გუ - გუ - ლო“, პა-ტა-რა მა - ტა - რე - ბე - ლო,
მთე - ლი ბო - რჯო - მის ხე - ო - ბის ბა-ვშვე-ბის გა - მხა - რე - ბე - ლო.

თავისუფალი გაკვეთილი

მუსიკის ფონზე – ლ. არმსტრონგი – „Wonderfull day“. მასწავლებელი ბავშვებს უკითხავს მოთხრობას

პატარა ლუი

მზის სხივი მუსიკაში – ლუი არმსტრონგი

...ეს ლუია, პატარა შავკანიანი ბიჭუნა, რომელსაც ძალიან უყვარდა საყვირზე დაკვრა. ის თავის თანატოლებთან ერთად თამაშობდა, ცელქობდა, მღეროდა, ცეკვავდა, გატაცებით უსმენდა საკონცერტო დარბაზებიდან გამოსული მუსიკის ხმას. მას ყველანაირი მუსიკა უყვარდა, განსაკუთრებით კი – ჯაზი. ის ხომ ჯაზის სამშობლოში – ნიუ ორლეანში – დაიბადა. ლუის პატარობიდანვე უბანში „ჩხუბისთავი“ შეარქვეს, ხშირად ჩხუბობდა და იმიტომ. მაგრამ იმდენად დიდი იყო მუსიკის სიყვარული და საყვირზე დაკვრის სურვილი, რომ ლუის მალე დაავიწყდა ჩხუბიც, ცელქობაც და გადაწყვიტა მუსიკოსი გამხდარიყო. ის ბევრს შრომობდა, აგროვებდა ბოთლებს, ფარდაგებს, არიგებდა ქვანახშირსა და გაზეთებს. ამ დროს ის მხოლოდ შვიდი წლისა იყო – დასთან და ბებიასთან ერთად ცხოვრობდა. ამიტომ ცდილობდა, ოჯახისთვის ტვირთი შეემსუბუქებინა და თავისი შრომით გადაეხადა სწავლის ქირა. ლუომ შეიძინა ძველებური, გაცვეთილი საყვირი და თვითონვე ისწავლა მასზე დაკვრა. იგონებდა პატარ-პატარა მელოდიებს, ქუჩაში გაგონილ სიმღერებსაც თავისებურად უკრავდა... თანდათან იმპროვიზაციაშიც გაიწაფა. მალე უბნის ბიჭებთან ერთად კვარტეტი შექმნა და ქუჩაში უკრავდა... გაიხსენეთ ჩინელი ბიჭუნა იუნ სუ, ისიც ხომ თავდადებული შრომით გახდა განათლებული ადამიანი?!

ლუი ბევრს უკრავდა. მალე ყველამ შეამჩნია მისი არაჩვეულებრივი ნიჭი და დადგა დრო, როცა ნიუ იორკის ყველა ჯაზ-ორკესტრის ხელმძღვანელი მის მიწვევაზე ოცნებობდა...

ეს პატარა შავკანიანი ბიჭუნა უდიდესი ამერიკელი მუსიკოსი, მომღერალი და ჯაზმენი ლუი არმსტრონგია.

მუსიკალური განტვირთვა: ლუი არმსტრონგი – „Wonderfull day“. ჯ. გერშვინი „Summer time“ – ლუი არმსტრონგი და ელლა ფიცჯერალდი. გამოიცანი, რა საკრავი ჟღერს? (საყვირის პარტია – სოლოს ასრულებს ლუი არმსტრონგი).

ინფორმაციისათვის

ლუი არმსტრონგი დაიბადა 1901 წლის 4 აგვისტოს, ნიუ ორლეანში (ლუიზიანას შტატი). ძველებურ საყვირზე – კორნეტზე – დაკვრა თვითონ ისწავლა. კორნეტის „მეფე“ ჯო ოლივერი იყო მისი პირველი მასწავლებელი და დამრიგებელი, რომელიც მალე ჩიკაგოში გადავიდა. 1922 წელს ოლივერმა ლუი ჩიკაგოში მიიწვია. ორი წლის განმავლობაში ის ოლივერის ბენდში უნიჭიერეს მუსიკოსებთან უკრავდა.

იმ დროს ამერიკული ჯაზის ცენტრი ნიუ-იორკი იყო. მრავალი ხელოვანი მიდიოდა იქ თავისი კარიერის მოსაწყობად. 1924 წელს ლუის ნიუ-იორკის ორკესტრის ხელმძღვანელმა ფლეჩერ ჰენდერსონმა მოუსმინა და სთხოვა, მასთან გადასულიყო. ლუის ახლებურმა და ენერგიულმა შესრულებამ დაიპყრო ნიუ-იორკი: არავის შეეძლო მასავით დაკვრა – უმაღლესი ნოტის ძალზე ადვილად აღება. 1926 წელს ისევ დაბრუნდა ჩიკაგოში, ოლივერის ბენდში და თავისი პირველი ფირფიტა ჩაწერა. შექმნა საკუთარი ჯგუფი „ცხელი ხუთეული“. ამავე პერიოდში კორნეტი შეცვალა საყვირით. ერთხელ, ჩაწერის დროს, ლუიმ საყვირი გვერდზე გადადო და წაბაძა მას – მისი ხმა გამოსცემდა სწორედ ისეთ ჟღერადობას, როგორსაც საკრავი – ლუი იმპროვიზებდა. მისი ასეთი „ნამღერი“ ჩაწერილია ალბომში – „ჰიბი ჯიბიზ“. 1963 წელს სიმღერამ – „ჰელოუ დოლი“ – მას უდიდესი სახელი მოუტანა და დიდების მწვერვალზე მყოფ „ბითლზებსაც“ კი გაუტოლდა. 1968 წელს დაწერა სიმღერა „რა მშვენიერია სამყარო“, რომელიც დღესაც პოპულარული და უკვდავია. ლუი მოგზაურობდა მთელ მსოფლიოში.

მსოფლიოს უდიდესი მუსიკოსი თავის სახლში, ნიუ-იორკში 1971 წლის 6 ივლისს გარდაიცვალა.

ლექსიკონი: ჯაზი – (ინგლ. ველურად მოქცევა) მიმართულება მუსიკაში, რომელიც XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე შეიქმნა აშშ-ის სამხრეთის შავკანიანი მოსახლეობის გარემოში, დასავლეთ აფრიკული და ევროპული მუსიკალური კულტურების შერწყმის ნიადაგზე. ჯაზისთვის დამახასიათებელია იმპროვიზაცია, პულსისებური რიტმი და ტალღისებური მელოდიური აქცენტირება.

იმპროვიზაცია – (იტ., ლათ.) ლექსის, მუსიკის, სიმღერის მოულოდნელი, უცაბედი შექმნა მისი შესრულების მომენტში, წინასწარი მომზადების გარეშე

ჯაზ-ბენდი – (ინგლ.) ორკესტრი, რომლის შემადგენლობაშიც უპირველესად სასულე, დასარტყამი ინსტრუმენტები, კონტრაბასი და როიალი შედის. დიდ ჯაზურ ორკესტრებში აგრეთვე ვიოლინოები, გიტარები, აკორდეონები და სხვა საკრავები მონაწილეობენ.

კვარტეტი – ოთხი მუსიკოსისაგან შემდგარი ანსამბლი; მისთვის შექმნილი მუსიკალური ნაწარმოები.

მხიარული ნოტი – „ლა“

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

პითაგორა-ბიჭუნა ახალი მუსიკალური ტესტებით შევიდა კლასში, დაარიგა ფურცლები, ჩართო მუსიკა და ბავშვებს მიმართა:

– დღეს შევეცდები არ დაგღალოთ ჩემი ფილოსოფიური აზრებითა და ნაამბობით, მხოლოდ ნოტების წერა-კითხვაში შევეჯიბრებით ერთმანეთს!

– არა, მსწავლებელო, ჩვენ ძალიან მოგვეწონა, რაც პითაგორაზე გვიამბეთ, მართლაც, საინტერესო ადამიანი ყოფილა! ამდენი ხანი გავიდა, მისი აზრები კი დღესაც მნიშვნელოვანია! სკოლაშიც ხომ ისევ პითაგორას თეორემას ვსწავლობთ? – თქვა პეტრემ.

– ჩვენ კი პლანეტების ხმოვანებას ვუსმენთ, სხვადასხვა ბგერებსა და ინტონაციებს ვუსადაგებთ, ვფიქრობთ რომ ამ ხმებისგან საინტერესო მუსიკალური კოლაჟები შეიძლება შეიქმნას – გააგრძელა ია-გოგომ.

– ძალიან კარგი, ჩემს საუბარს უშედეგოდ არ ჩაუვლია, მე დღეს მოგასმენინებთ კომპიუტერულ პროგრამა **LMMS**-ში ჩემ მიერ შექმნილ **მუსიკალურ კოლაჟს,** სადაც პლანეტა მთვარის გაბმული ხმოვანება ისმის, დანარჩენი ხმა-ბგერები თქვენ გამოიცანით – თქვა პითაგორა-ბიჭუნამ. მან ჩართო **აუდიოჩანაწერი** და ბავშვებს ჰკითხა: – რამდენი ხმა გესმით ამ კომპოზიციაში? – სამი ხმა (მთვარის ხმოვანება, ფორტეპიანო და ელექტროგიტარა). აი, ამ სამი ხმისგან როგორი საინტერესო კოლაჟი მივიღეთ. ხმები ანუ „სემპლები“ **LMMS**-ის გრაფაში ტრეკებზეა განლაგებული. ეს კოლაჟი გრაფიკულადაც გამოვხატე. ეს ნიმუშია, თქვენ თავად დახატეთ ამ კომპოზიციაზე გრაფიკული ჩანახატი.



შემდეგ დაფაზე გაავლო ხუთი ხაზი, დაწერა ნოტები – „სოლ“, „სი“ – და ბავშვებს სთხოვა, გამოეცნოთ, რომელი ნოტი ჩაიწერებოდა მათ შორის. ბავშვებმა ადვილად გამოიცნეს. შემდეგ კი მუსიკის ფონზე შეასრულეს დავალება.



მუსიკალური კომპიუტერული პროგრამის Garage Band გრაფა

დააკვირდით გრაფას და დაითვალეთ, რამდენი ტრეკია გამოსახული.

გაკვეთილის ბოლოს ბავშვები უყურებენ **ვიდეოს The Sound Of The Moon**

მუსიკალური განტვირთვა: ი. შტრაუსი – „სპარსული მარში“, ბავშვები უსმენენ მუსიკას და აჰყვებიან **„დასარტყამ საკრავთა ორკესტრით“**

აუდიოჩანაწერი – მუსიკალური კოლაჟი **„მთვარის ხმა“**

მუსიკალური ლექსიკონი:

ტრეკი – ინგლისური სიტყვაა და ნაკვალევს, გზას, ნიშნავს. მუსიკაში – მუსიკალურ გზას. კომპიუტერულ პროგრამაში, ადამიანის ან საკრავის ხმა განლაგებულია ტრეკებზე.

მუსიკალური ტესტი



რა ნოტი დაიწერება „სოლ“-სა და „სი“-ს შორის

გაავლე ხუთი ხაზი და დაწერე ნოტი - ?

გასეირნება ქალაქში. როგორ გამოვიყენოთ მელოდიური ოსტინატო ქალაქში მოგზაურობის დროს მუსიკალური კომპოზიციის შესაქმნელად?

ლა – ოსტინატო

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

აქტივობა: კონცერტის წინ, ლა-ოსტინატო. მასწავლებელი კლასს ასმენინებს საკონცერტო დარბაზის ხმაურის **აუდიოჩანაწერს**. სიმფონიური ორკესტრი ემზადება კონცერტისათვის. მუსიკოსები აწყობენ საკრავებს ერთ ბგერაზე. ეს ბგერა არის „ლა“. ბავშვები უსმენენ ჩანაწერს, მასწავლებელი ეკითხება:

1. რა ხმები გესმით?
2. როგორია ეს ხმები?
3. გამოიცანით სად ჟღერს ეს ხმები?
4. ამოიცანით საკრავის ხმები.
5. რა განწყობას გიქმნით ეს ხმაური?

შემდგომ მასწავლებელი აცნობს ნოტი ლას, ასმენინებს მის ჟღერადობას და ასწავლის, თუ სანოტო სისტემის რომელ ხაზებს შორის იწერება. „ლა“ ბგერის ოსტინატოზე იქმნება პატარა რიტმული მონახაზი. მასწავლებელი ასმენინებს ჩანაწერის მეორე ვარიანტს, სადაც დარბაზის ხმაურს ფონად ადევს ნოტი „ლა“-ს ხმოვანება. იქმნება ერთგვარი მუსიკალური კომპოზიცია – **ლა-ოსტინატო**. ის „მოგზაურობს“ საკონცერტო დარბაზში.

მთვარე

ბავშვები ლა-ოსტინატოს აჰყვებიან სიმღერითა და ტაშით, აგრეთვე, სხვადასხვა საგნის ხმებით, მასწავლებლის მითითებით. პითაგორა ბიჭუნამ ნოტი „ლა“ მიუსადაგა პლანეტა „მთვარეს“. **LMMS** პროგრამაში ბავშვები მთვარის ბუნებრივ ხმასა და ნოტი „ლა“-ს უსადაგებენ ერთმანეთს და ქმნიან **მუსიკალურ კოლაჟს**. შემდგომ სანოტო რვეულებში მეორე და მესამე ხაზებს შორის გამოსახავენ ნოტი „ლა“-ს.

მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS-ი

აქტივობა 14: ამ აქტივობაში მოცემულია ორი ტრეკი:
პლანეტა მთვარე და ფორტეპიანო – ნოტი „ლა“
ეს ორი ტრეკი შეუთანხმეთ ერთმანეთს.
„ლა“ – ოსტინატო „მოგზაურობს“ კოსმოსში.
ნიმუში აუდიო ფაილის სახით მოცემულია ამავე აქტივობის ფოლდერში.



ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი

ეთნოგრაფია და მუსიკა

თემა: სხვადასხვა ხალხის ხალხური მუსიკა

მიზანი: ხალხური სიმღერების გაცნობა და შესწავლა

მისაღწევი შედეგები: მუს.დაწყ.(I)4,5,6

სტუმრად „ამერ-იმერთან“

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 90 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

აქტივობა: ტელეფონის ზარი. მასწავლებელი ასმენინებს მუსიკალურ კოლაჟს – აუდიოჩანაწერს, რომელიც სხვადასხვა ტელეფონის, მობილურის ზარებითა და რიტმული ფიგურაციებითაა შექმნილი. მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს:

1. რა ხმები გესმით? 2. როგორია ეს ხმები? 3. როგორია რიტმული მონახაზი? სხვადასხვა თუ ერთნაირი? 4. ამოიცანი ტელეფონის ზარის ხმა რომელი ნოტია.

ამის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, თავად ჩაიწერონ ტელეფონი სხვადასხვა ზარი და **LMMS** პროგრამაში ააწყონ მსგავსი ან განსხვავებული კომპოზიცია სურვილისამებრ.

ინფორმაციისათვის: ტელეფონისა და მობილურის გამავალი ზარის ხმა ესადაგება ნოტი ლა-ს ხმოვანებას. სიმფონიური ორკესტრიც ხომ ლა ბგერაზე ეწყობა. ამაში მუსიკოსებს ეხმარებათ ლითონისგან დამზადებული ორთითა ხელსაწყო, **კამერტონი**. ის საკრავებისა და **acapel'a** გუნდის ზუსტი ტონალობის დასადგენად გამოიყენება. 1936 წლიდან დადგენილი, რომ კამერტონის რხევის სიხშირე წამში 440 რხევის ტოლია და მიესადაგება პირველი ოქტავის ნოტი ლა-ს ხმოვანებას.

მასწავლებელი ბავშვებს უჩვენებს **ვიდეოს – Funny! Orchestra plays Microsoft Windows - the waltz**

პატარა დირიჟორი მოსწავლეებთან ერთად ბავშვთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ სტუდიას „ამერ-იმერს“ ესტუმრა. ეს სტუდია ცნობილმა ეთნომუსიკოლოგმა და ლოტბარმა ედიშერ გარაყანიძემ დააარსა. სტუდიაში უკვე არაერთი თაობა აღიზარდა, პირველი და მეორე თაობის ახალგაზრდები კი ეთნომუსიკის თეატრ „მთიების“ წევრები არიან.

სტუდიის ხელმძღვანელმა გიგი გარაყანიძემ ბავშვებს სხვადასხვა ქართული ხალხური საკრავი აჩვენა და აუხსნა, რატომ დაერქვა სტუდიას „ამერ-იმერი“:

– ჩვენს სტუდიაში ბავშვები სრულიად საქართველოს – ამერისა და იმერის, მთისა და ბარის – ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს ეცნობიან, ხალხურ სიმღერებს სწავლობენ და ხალხურ საკრავებზე უკრავენ...

გიგი გარაყანიძემ სტუმრები სიმღერის გაკვეთილზე მიიწვია. იმ დღეს ნანა მასწავლებელი ბავშვებს უძველეს სარიტუალო სიმღერას – „დათოს ფერხულს“ – ასწავლიდა.

– ძველად, გაზაფხულზე, მთელ საქართველოში, უამრავი რიტუალი და თამაშობა იმართებოდა. ქართლში „დათოს ფერხული“ იცოდნენ: ბიჭები ჩააბამდნენ ფერხულს, შუაში კი ჩააყენებდნენ დათვის ტყავითა და დათვის ნიღბით შემოსილ ბერიკას – „დათო-დათუნას“, „დათვი“ კი იმას განასახიერებდა, რასაც ბიჭები იმღერებდნენ.

– ახლა ჩვენ დავაბამთ „დათოს ფერხულს“... აბა, ვინ იქნება დათო-დათუნა?

სიმღერის შესწავლა: ქართლური საფერხულო სიმღერა **„დათოს ფერხული“**. ბავშვები უსმენენ ჩანაწერს, სწავლობენ სიმღერას. შემდეგ ფერხულშიც ჩაებმებიან და დათო-დათუნასაც მიბაძავენ.

ჰე! ახლა კი შემოუაროთ,
ჰარი-ჰარალეო. (2-ჯერ)
დათო, დათო, ჩემო დათო,
ჩემო დათუნაო. (2-ჯერ)
დათვსა თაფლი ჰყვარებია,
ჩემო დათუნაო. (2-ჯერ)

დათვს მალაყი ჰყვარებია,
ჩემო დათუნაო. (2-ჯერ)
ბუქნაობა ჰყვარებია,
ჩემო დათუნაო. (2-ჯერ)
დათო, დათო, ჩემო დათო,
ჩემო დათუნაო. (2-ჯერ)

დათოს ფერხული

ქართლი



მუსიკის ისტორიიდან: ედიშერ გარაყანიძე (1957-1998) – ცნობილი ქართველი ეთნომუსიკოლოგი (მუსიკოს-ფოლკლორისტი), თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტი, მეცნიერი, მკვლევარი, პედაგოგი, ლოტბარი და მომღერალი, კომპოზიტორი, სიონის გუნდის მგალობელ-რეგენტი, აღმოსავლეთის ინსტიტუტის კულტურათა თეოლოგიის დოქტორი სხვადასხვა დროს ლექცია-მოხსენებებს კითხულობდა კემბრიჯის, ლონდონის, ედინბურგის, სორბონის, მარსელის, ჟენევის, კიოლნის და სხვა უნივერსიტეტებში. ათობით ფოლკლორისტული ექსპედიციის მომწყობმა და მონაწილემ ბევრი ისეთი რამ აღმოაჩინა და გამოამზეურა, დიდი ხნის გამქრალ-დაკარგულად რომ ითვლებოდა ქართულ ყოფაში. 1980 წელს ანსამბლ „მთიების“ შექმნით ედიშერ გარაყანიძემ, როგორც ლოტბარმა და შემსრულებელმა, ქართული ხალხური მუსიკის სასცენო შემსრულებლობაში ავთენტიკური ხაზი დაამკვიდრა – ქართულ ხალხურ სიმღერას ბუნებრივი ხიბლი და მშობლიური მიწის სურნელი დაუბრუნა. ედიშერისა და „მთიების“ სახელს უკავშირდება ყოფიდან თითქმის გამქრალი ალილო-ჭონაზე ჩამოვლის ტრადიციების აღდგენა და შობა-აღდგომის მახარობლად ფეხდაფეხ ქართული სოფლების დავლა.

ექსპედიცია აჭარაში

1990 წელს ედიშერ გარაყანიძემ ჩამოაყალიბა საყმაწვილო ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული სტუდია „ამერ-იმერი“, რომელიც 1994 წელს ევროპაში საუკეთესო საბავშვო სტუდიად აღიარეს. უშუალოდ მისი დამსახურებაა ისიც, რომ მრავალმა უცხოელმა შეიყვარა და გაითავისა ქართული ხალხური მუსიკალური ხელოვნება. მის ნათელ ხსოვნას ეძღვნება 2004 წელს დიდ ბრიტანეთში ედიშერის პროექტით გამოცემული კრებული „99 ქართული სიმღერა“. ედიშერ გარაყანიძე „იყო კაცი მგალობელი“, რომელიც სანთელივით იწვოდა და სავალს უნათებდა, ვისაც ოდესმე, თუნდაც მცირე ხნით, მასთან ურთიერთობის ბედნიერება ჰქონია...

მუსიკალური ლექსიკონი:

ეთნომუსიკოლოგია – ამა თუ იმ ხალხის ეთნიკურ-მუსიკალური ტრადიციების შემსწავლელი მეცნიერება
ლოტბარი – მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი
ავთენტიკური – თვითმყოფი, ნამდვილი, სარწმუნო, პირველწყაროზე დამყარებული.

მუსიკის ფონზე – **„ჩაკრულო“** მასწავლებელი ბავშვებს უკითხავს მოთხრობას.

მზის სხივი მუსიკაში

„ჩაკრულო“

პეტრე, ბავშვთა ფოლკლორულ სტუდიაში „ამერ-იმერი“ ხალხურ სიმღერებს სწავლობს. ერთ დღეს მან მუსიკის გაკვეთილზე წაიმღერა:

ხმალო, ხევსურეთს ნაჭედო,
თელავში თუშმა დაგფერა,
მეფე ერეკლემ გაკურთხა,
საომრად ჯვარი დაგწერა.
მტერო, დამჩაგრე, არ ვტირი,
ტირილი დიაცთ წესია,
ბევრჯერ ვყოფილვარ ამ დღეში,
მაგრამ არ დამიკვნესია.
მაცალე, ერთი გავლესო
ხმალ-ჩახმახ, ცეცხლის მკვესია,
სულ წმინდად მოგამკევინო,
რაც ჩემთვის დაგითესია!..

– იცი, პეტრე, ეს რა სიმღერაა? – შეეკითხა მუსიკის მასწავლებელი.

– „ჩაკრულო“ მაგრამ არ ვიცი, სადაური სიმღერაა...

– „ჩაკრულო“ ქართლ-კახური სუფრული სიმღერაა. საერთოდ, სუფრული სიმღერები ყველაზე რთული მრავალხმიანი სიმღერებია საქართველოში და იცით რატომ? ქართული სუფრა ოდითგან სიბრძნის, სიყვარულის, ნიჭიერებისა და ენამჭევრობის გამოვლენის ადგილი იყო. სუფრასთან ქართველები განსაკუთრებულ ნიჭიერებას სიმღერაში ავლენდნენ. ყველა სადღეგრძელოს შესატყვისი სიმღერა მოსდევდა. „ჩაკრულო“ განსაკუთრებული სიმღერაა – სამხმიანი, დიდებული, მუხასავით მძლავრი და ფესვმაგარი, ჩვენი მთებივით დიადი, ალაზნის ველივით გაშლილი და უკიდეგანო, ზღვასავით უძირო – თითქოს მთელი საქართველო ჩაეტიაო ამ ერთ სიმღერაში თავისი მშვენიერი ბუნებითა და უძველესი ისტორიით...

„ჩაკრულოს“ მრავალი ვარიანტი არსებობს, მათ შორის ყველაზე სრულყოფილი და მაღალმხატვრული ხალხური მუსიკის შედევრად, მსოფლიო მუსიკის საოცრებად აღიარეს. 1976 წელს ამერიკელებმა კოსმოსში ხელოვნური თანამგზავრით დედამიწის ცივილიზაციის სხვა მონაპოვრებთან ერთად „ჩაკრულოც“ გაუშვეს. ჩიტების ჭიკჭიკთან, ბეთჰოვენის IX სიმფონიასა და მსოფლიოს სხვა საოცრებებთან ერთად კოსმოსში „ჩაკრულოც“ მიიკვლევს გზას!..

ბავშვები თვალდახუჭული უსმენენ **„ჩაკრულოს“** ჩანაწერს საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის შესრულებით, ხელმძღვანელი ანზორ კავსაძე, სოლისტები – ილია ზაქაიძე და როსტომ საგინაშვილი. (რელაქსაცია)

მუსიკალური განტვირთვა: ამ გაკვეთილზე ბავშვები აგრეთვე უსმენენ ლ.ვ. ბეთჰოვენის IX სიმფონიის ფინალს და თავიანთ შთაბეჭდილებებს გამოხატავენ გრაფიკული ხაზით.

ვენერა

იუპიტერი

დედამიწა

პოლიჰიმნია – ჰიმნების მუზა

მხიარული ნოტი – „დო“

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

– დღეს ერთ ბერძნულ მითს მოგიყვებით უძველეს საკრავზე, რომელსაც კითარა ქვია – თქვა პითაგორა-ბიჭუნამ და დაიწყო:

– პანი, ტყისა და მინდვრის ღმერთი, მწყემსების, ცხოველებისა და ფრინველების მფარველი, საუცხოოდ უკრავდა სალამურზე და კიდეც ამაყობდა ამით. ერთხელ პანმა შეჯიბრში გამოიწვია ზევსის შვილი, ხელოვნებისა და სილამაზის ღმერთი – აპოლონი, რომელსაც კითარაზე დაკვრისა და სიმღერის განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა. აპოლონი შეჯიბრზე ოქროს კითარითა და დაფნის გვირგვინით გამოცხადდა. შეჯიბრი მთის ფერდობზე გაიმართა. პირველად პანი წარდგა ღმერთების წინაშე და თავისივე შექმნილი მწყემსური სალამური ააჟღერა. როცა პანმა დაამთავრა სალამურზე დაკვრა, ოქროსთმიანმა აპოლონმა გამოჰკრა თითები კითარის ოქროს სიმებს და საკრავმა ღვთიური ხმა გამოსცა. ღმერთებმა გამარჯვება აპოლონს მიანიჭეს. ყველა ადიდებდა კითარაზე დამკვრელ მზეჭაბუკს, დამწუხრებულმა პანმა კი ტყეს შეაფარა თავი.

აპოლონი

პანი

https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9C%D0%B8%D0%B4%D0%B0%D1%81

კითარაზე დამკვრელი

ეს მითი მოგვითხრობს მუსიკის ძალასა და მშვენიერებაზე, ასევე სიმებიანი საკრავების ულამაზეს ხმოვანებაზე. კითარაც სიმებიანი საკრავების ერთ-ერთი წინაპარია.

– ბავშვებო, ჩამოთვალეთ სიმებიანი საკრავები.

– გახსოვთ ცხრა მუზა? აპოლონი მათი წინამძღოლი იყო. ძველ საბერძნეთში არტემიდამ (აპოლონის დამ) პირველმა აღმოაჩინა რომ გასროლილი ისრის ზუზუნი მშვენიერია, არტემიდას მიგნება აპოლონს ისე მოეწონა რომ თავად დაიწყო ამ იარაღიდან ბგერების მიღება.



– ახლა ნოტების წერაში შევეჯიბროთ. ვინ გამოიცნობს, რა ნოტი დაიწერება სი-ს შემდეგ?

ბავშვები უსმენენ მუსიკას და ადვილად ასრულებენ დავალებას.

მუსიკალური განტვირთვა: რიჰარდ შტრაუსი – კონცერტი ჰობოისათვის. გამოიცანი რა საკრავია.

ლექსიკონი:

აპოლონი – ზევსისა და ქალღმერთ ლეტოს ვაჟიშვილი, ხელოვნების, სინათლისა და სილამაზის ღმერთი, არტემიდეს ტყუპის ცალი, მუზების წინამძღოლი.

პანი – ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟი, დრიოპესა და ჰერმესის ვაჟი, ტყეების ღმერთი, ფარეხისა და მწყემსების მფარველი, რომელიც შიშს გვრის ადამიანებს თავისი გარეგნობით. გამოისახებოდა წვერიან, თხისფეხებიან და ჩლიქებიან კაცად. მას უკავშირდება მითოლოგიური მეგრული ოჩოკოჩი – ვაც-კაცა, იგივე ოჩოპინტრე.

მუსიკალური ტესტი

რა ნოტი დაიწერება „სი“-ს შემდეგ?

გაავლე ხუთი ხაზი და დაწერე ნოტი . . . . . .

სიმებიანი საკრავები

ჩამოთვალე ხალხური სიმებიანი საკრავები

კითარა

ჩანგი



ჭიანური

ჩონგური

ფანდური

გიტარა

ვიოლინო

კონტრაბასი

ჩელო

არფა

დო – ოსტინატო

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 3/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

აქტივობა: გასეირნება ფერმაში, პატარა დო-ოსტინატო. მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს **აუდიოჩანაწერის** პირველ ვარიანტს, სადაც ისმის სოფლისა და ფერმის ხმები. ამ კომპოზიციაში გამოვიყენეთ ბავშვებისათვის ნაცნობი ინგლისური სიმღერა „**E-i-e-i-o**“. მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს:

1. რა ხმები გესმით?
2. რომელი ცხოველების ხმები გესმით?
3. რომელი ცხოველის ფეხის ხმა ისმის კომპოზიციაში?
4. სად შეიძლება ისმოდეს ეს ხმები?
5. ამოიცანი ნაცნობი ინტონაცია და გაიმღერე.

პლუტონი

ია-ია-ო



ბავშვები ამოიცნობენ ინგლისურ ხალხურ სიმღერას „**E-i-e-i-o**“, გაიხსენებენ და გაიმღერებენ.

აუდიოჩანაწერის მეორე ვარიანტს ფონად მიჰყვება პატარა ძამიკო – „დო“-ს ხმოვანება. დო-ოსტინატო მოგზაურობს ფერმაში. პატარა ძამიკო „დო“-ს მივუსადაგეთ ჯუჯა პლანეტა პლუტონი. **LMMS** პროგრამაში ბავშვები პლანეტა პლუტონის ბუნებრივ ხმასა და მეორე ოქტავის დოს „სემპლებს“ ააჟღერებენ ერთად, შექმნიან პატარა მუსიკალურ კომპოზიციას. ბავშვები კიდევ ერთხელ გაიმღერებენ შვიდ მხიარულ ნოტს და მათ ააჟღერებენ **LMMS** პროგრამაში, ხოლო სანოტო რვეულებში დაწერენ მეორე ოქტავის ნოტს „დო“.

მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს თავის შექმნილ **მუსიკალურ კოლაჟს** – პლუტონის, ფორტეპიანოსა და სიმებიან საკრავთა ხმას ფონად ადევს პლანეტა პლუტონის ბუნებრივი ხმა. ბავშვები უმენენ ამ კომპოზიციას და ნააზრევს გამოხატავენ გრაფიკული ხაზით. მასწავლებელი ეკითხება: რამდენი ხმა გესმით ამ კომპოზიციაში?

მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS-ი

აქტივობა 15: ამ აქტივობაში მოცემულია ორი ტრეკი:
პლანეტა პლუტონი და ფორტეპიანოზე – ნოტი „დო“
ეს ორი ტრეკი შეუთანხმეთ ერთმანეთს.
„დო“ – ოსტინატო „მოგზაურობს“ კოსმოსში.
ნიმუში აუდიო ფაილის სახით მოცემულია ამავე აქტივობის ფოლდერში

მუსიკალური განტვირთვა: ჯ. ვერდი – მარში ოპერიდან **„აიდა“.** გამოიცანი, რომელი საკრავი ჟღერს. (საყვირი).
მუსიკალური კოლაჟი – პლუტონის ხმა.

მუსიკალური ლექსიკონი:

მარში — marche – ფრანგული სიტყვაა და სიარულს, სვლას ნიშნავს. მუსიკალური ნაწარმოები მკაფიო, მწყობრი რიტმით, ზომა – 2/4 ან 4/4. მარშები გვხვდება როგორც დამოუკიდებელი ნაწარმოებების, ასევე ცალკეული ნაწილებისა და ნომრების სახით დიდი ფორმის ნაწარმოებებში (სიმფონიებში, ოპერებში, ბალეტებსა თუ ორატორიებში).

აქტივობა – რიტმული მოთელვა

მეთოდური მითითება: თითქმის ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით, რომელიც რიტმულ სავარჯიშოებზეა დაფუძნებული. ეს აქტივობა განაწყობს ბავშვებს მუსიკის გაკვეთილისათვის. მაგალითად: მასწავლებელი შედის კლასში, იწყებს ტაშის დაკვრას. ტაშით გამოხატავს მარტივ რიტმულ სავარჯიშოს, ბავშვებს სთხოვს აჰყვნენ. თანდათანობით მასწავლებელი ცვლის რიტმულ სურათს და ისინიც ბაძავენ მას. შემდეგ ცვლის რიტმული სურათის ტემპს, ხან ანელებს ქმედებას, ხან აჩქარებს. შემდგომ გაკვეთილებზე მასწავლებელს შეუძლია ეს აქტივობა მუსიკის თანხლებითაც შეასრულოს, გამომდინარე იქიდან, ამა თუ იმ გაკვეთილზე რა მუსიკალურ ნაწარმოებს ასმენინებს. მაგ. ი. შტრაუსის „რადეცკის მარში“ დაეხმარება მასწავლებელს, სხვადასხვა ქმედებითა და ტაშით აიყოლიოს ბავშვები (ადგილზე სიარული, ტაში, ტაში ზემკლავით და ა.შ.) და გაკვეთილი მეტად აქტიური გახადოს. მასწავლებელს ეძლევა შემოქმედებითი თავისუფლება და შეუძლია ყველა გაკვეთილი დაიწყოს ან დაამთავროს ამგვარი აქტივობით. მასწავლებელს თავად შეუძლია ამოარჩიოს მუსიკალური ნაწარმოები სახელმძღვანელოს აუდიოდისკებიდან და შეასრულოს მოთელვა-განტვირთვა.

რიტმული სავარჯიშო 4/4 ზომაში



თოლია

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 90 წუთი.

რიტმული მოთელვა 4/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: მასწავლებელი ბავშვებს ახსენებს II კლასში ნასწავლ რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებს. ისინი აჰყვებიან ამ ინტონაციას „დასარტყამ საკრავთა ორკესტრით“, რაც უფრო ხალისიან გახდის აქტივობას.



მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს თავის შექმნილ კომპოზიციას – **მუსიკალურ კოლაჟს** – პლანეტა **სატურნის ხმა** ფონად მიჰყვება მოტივს, რომელსაც ფორტეპიანო და სიმებიანები ასრულებენ.

მასწავლებელი სთხოვს მათ, ყურადღებით მოუსმინონ ამ კომპოზიციას და ამოიცნონ რამდენი ხმა ესმით. როგორია ეს კომპოზიცია: მხიარული თუ სევდიანი? კლასში იმართება მსჯელობა. ბავშვები თავიანთ ნააზრევს გამოხატავენ გრაფიკული ხაზით. შემდგომ ახალ აქტივობას ასრულებენ **LMMS** პროგრამაში.

მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS-ი

აქტივობა 16: ამ აქტივობაში მოცემულია სოფლის ხმები: ჩიტი, ცხენი, ცხვარი, ძაღლი, ძროხა, ღორი, იხვი, ჭრიჭინა, მამალი, ქათამი, ვირი და ერთი დასარტყამი ინსტრუმენტის რიტმი. ტრეკები პროგრამაში არეულად არის წარმოდგენილი. ჯერ მოუსმინეთ და გაარჩიეთ ხმები. შემდეგ შეუთავსეთ ერთმანეთს და შექმენით **მუსიკალური კოლაჟი** ნიმუშის მიხედვით, რომელიც მოცემულია ამავე აქტივობის ფოლდერში.

თოლია

მისამღერი: **ქათქათა თოლია ოცნებას ჰგავს,**
ზეცას რომ ნავარდით მოიარს.
სად მიფრინავ, სად?
მოგელი, ლამაზო თოლია.
და როცა მანძილი შორია,
და როცა მიაპობ ზღვას,
ჩემთან დაბრუნდები მგონია
და მომაწვდენ ფრთას.

მისამღერი: **ქათქათა თოლია ოცნებას ჰგავს,**
ზეცას რომ ნავარდით მოიარს.
სად მიფრინავ, სად?
მოგელი, ლამაზო თოლია.
ამ ლამაზ თოლიებს მე ისევ შევხარი
და ისევ გავუწვდი ხელებს.
ცას მოივლის და
ჩემთან დაბრუნდება მერე.

მისამღერი: **ქათქათა თოლია ოცნებას ჰგავს...**

მუსიკალური განტვირთვა: ბავშვები უსმენენ სიმღერის „პლუს“ და „მინუს“ ფონოგრამებს, მღერიან და ცეკვავენ ვალსს.

თოლია

მუსიკა მ. ჩხეიძისა
ტექსტი მ. ბლიაძისა

Tempo di valse

mf

თოვლივით ქათქათა თო-ლი-ა შე-ჰხა-რის მთა-სა და ბარს.

მტკვრის პი-რას ჩა-ვი-ვლი, მგო - ნი - ა, იქ შე-ვა-ვლებ თვალს.

მისამღერი

ქა-თქა-თა თო-ლი-ა ო - ცნე-ბას ჰგავს, ზე-ცას რომ ნა-ვა-რდით მო - ი - არს,

სად მიფრინავ, სად მოგეკლი ლამა-ზო თო-ლია, ლამა-ზო თო-ლია.


და რო-ცა მა-ნძი-ლი შო-რი-ა
და რო-ცა მი-ა-პობ ზღვას,
ჩე-მთან და-ბრუ-ნდე-ბი, მგო-ნი-ა
და მო-მა-წვდენ ფრთას,
ქა-თქა-თა თო-ლი-ა ო-ცნე-ბას ჰგავს,
ზე-ცას რომ ნა-ვა-რდით მო-ი-არს,
სად მი-ფრი-ნავ, სად მო-გე-ლი
ლა-მა-ზო თო-ლი-ა.

ამ ლა-მაზ თო-ლი-ას მე ი-სევ შე-ვხა-რი და ი-სევ გა-ვუ-წვდი ხე-ლებს,

ცას მო-ი-ვლის და ჩე-მთან და-ბრუნ-დე-ბა მე-რე.

ქა-თქა-თა თო-ლი-ა ო-ცნე-ბას ჰგავს, ზე-ცას რომ ნა-ვა-რდით მო-ი-არს,

სად მი-ფრი-ნავ, სად მო-გე-ლი ლა-მა-ზო თო-ლი-ა.

ჩემი ცხოვრების ერთი დღე. როგორ შეიძლება მუსიკალური ინტონაციებით რაიმე მოქმედების დამახასიათებელი განწყობის გადმოცემა

ინტონაცია საუბრის დროს

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 4/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: ახალი ინტონაციური სავარჯიშოს შესწავლა. ბავშვები მასწავლებელთან ერთად ნოტების დასახელებით სწავლობენ და მღერიან სავარჯიშოს პირველ ნაწილს. მასწავლებელი ბავშვებს სამხმოვანების ბგერების ამოცნობას სთხოვს.



დო მი სოლ დო სი ლა ლა სოლ ფა მი რე დო ლა სოლ

აქტივობა: ინტონაცია საუბრის დროს. მასწავლებელი აძლევს საკლასო დავალებას ბავშვებს, მოიფიქრონ და წარმოთქვან სხვადასხვა ემოციის გამომხატველი სიტყვები და ფრაზები, მაგალითად: **„გამარჯობა“, „გაგიმარჯოს“, „ნახვამდის“, „ბატონო“, „ღმერთო ჩემო“, „მიყიდე რაა?!”, „ეს არის საოცრება!“, „რა დიდებულია!“, „რა ლამაზია!“** ხმამაღლა წარმოთქვან ეს ფრაზები და აქციონ მელოდიად. მოუსმინონ ყურადღებით, არის თუ არა ამ ფრაზებში ნახტომები, ინტერვალები? როდესაც ემოცია ნაკლებია, ხმაში ნახტომებიც თითქმის არ არის. მხიარული ემოციის გამომსახველ ფრაზებში კი ნახტომები უფრო მეტია. რაც უფრო ემოციურია ადამიანი, მით უფრო მდიდარია მისი საუბარი ინტონაციურად.

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ეს ფრაზები ჩაიწერონ მობილურში ან **LMMS** პროგრამაში და, შეძლებისადგვარად, გადააქციონ მუსიკალურ ინტონაციად. ასეთი ფრაზები შეგვიძლია ჩავიწეროთ ქუჩაში. მაგალითად: ჯართის შემგროვებლების ხმა, ხილის გამყიდველის და სხვა. ჩაწერილი ხმები **LMMS** პროგრამაში გადააქციონ „სემპლებად“ და შექმნან მუსიკალური კოლაჟი.

მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS-ი

აქტივობა 17-18: ამ აქტივობაში მოცემულია 6 ფრაზა ქართული კინოფილმებიდან და მულტფილმებიდან: **აღსდეგ, საქართველო!** (კ/ფილმიდან – „ნატვრის ხე“), **აი, ეს სიზმარი მინდა, მოვფრინავ ბატონო მოვფრინავ!** (მულტფილმი – „სიზმარა“), **ბესიკი...** (კ/ფილმიდან – „ფეოლა“), **ეტყობა უგრძვნია კაცს, უგრძვნია!** (კ/ფილმიდან – „მე ბებია ილიკო და ილარიონი“), **ხომ გითხარი, გაფრინდებიან-მეთქი** (კ/ფილმიდან – „შერეკილები“). ასევე ფორტეპიანოზე აჟღერებული ექვსი ფრაზა.

ბავშვებმა უნდა მოუსმინონ და მიამსგავსონ საკრავის ფრაზები ნათქვამ ფრაზებს. შესაძლებელია ბავშვებმა განსხვავებული მუსიკალური ინტონაციებით გამოხატონ ეს ფრაზები, რაც სრულიად მისაღებია.

მუსიკალური განტვირთვა: ბავშვები უსმენენ **„რაჭულ საცეკვაოს“** ქალთა ფოლკლორული ანსამბლ **„მზეთამზეს“** შესრულებით. ანსამბლის წევრები ხმით გარმონს ბაძავენ.

რაჭული საცეკვაო

– რას ნიშნავს „მზეთამზე?“

– ბავშვებო, გახსოვთ ხალხური ლექსი:

„მზე დედაა ჩემი,
მთვარე – მამა ჩემი,
ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები
და და ძმაა ჩემი“.

ან:

„მზე შინა და მზე გარეთა,
მზევ, შინ შემოდიო.
მზე დაწვა და მთვარე შობა,
მზევ, შინ შემოდიო...“

ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „მზეთამზე“

– ზოგიერთი შეხედულებით კი რამდენიმე მზე არსებობს, ხოლო მზეთამზე – მზეების მზეა., ანუ ყველა მზეზე მაღლა დგას.

– სინათლის, სითბოს, სიცოცხლისა და სიკეთის მომნიჭებელ მზეს ქართულ ხალხურ პოეზიაში დედასთან, ქალთან აიგივებდნენ. ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „მზეთამზეც“ ხომ ქალთა სიმღერებს აგროვებენ და მღერიან... საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მრავალი ლამაზი სიმღერა თუ ცეკვა შეაგროვეს და ჩაიწერეს ფირზე, ნოტებზე, შეისწავლეს და კონცერტებზე ასრულებენ. უკრავენ ხალხურ საკრავებზე: ფანდურზე, ჩონგურზე, ჭიანურსა და დაირაზე... ანსამბლის წევრები ხმით გარმონს ბაძავენ.

რაჭული საცეკვაო

კუნაკატნი კანთოკანა,
კორეკატნი კანთოკა,
კუნაკატნი კანთოკანა,
კორეკატნი კანთოკა.
კუნაკატნი კანთოკანა,
კორეკატნი კანთოკა.
კუნაკატნი კანთოკატნი,
კანთოკატნი, კანთოკა.
გაგუნი, გასტაკუნი,
გარლაგუნი, გასტაკო,
გაგუნი, გასტაკუნი,
გარლაგუნი, გასტაკო,
გაგუნი, გასტაკუნი,
გარლაგუნი, გასტაკო,
გაგუნი, გასტაკუნი,
გარლაგუნი, გასტაკო, ჰეეე! –

ბავშვები უსმენენ ჩანაწერს, თავადაც ხმით ბაძავენ საკრავს და აჰყვებიან **„დასარტყამ საკრავთა ორკესტრით“.** მასწავლებელი გაახსენებს ბავშვებს პირველ კლასში ნასწავლ წიკო-წიკოს და სთხოვს მათ, დაამზადონ ეს საკრავი.

გარმონი

წიკო-წიკო

„დო“-დან... „დო“-მდე

შემაჯამებელი გაკვეთილი

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 4/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: ახალი ინტონაციური სავარჯიშოს შესწავლა. ბავშვები მასწავლებელთან ერთად ნოტების დასახელებით სწავლობენ და მღერიან სავარჯიშოს პირველ ნაწილს. მასწავლებელი ბავშვებს სამხმოვანების ბგერების ამოცნობას სთხოვს.



დო-დან... დო-მდე

პითაგორა-ბიჭუნამ დაფაზე დაწერა ნოტები დო-დან... დო-მდე და ბავშვებს შვიდი მხიარული ნოტის აღმავალი და დაღმავალი მიმართულებით გამღერება სთხოვა.

– ჩვენ უკვე ვისწავლეთ ნოტების ხაზებზე და ხაზებს შორის წერა, ახლა შეეცადეთ, ისინი თქვენს მუსიკის რვეულებში დაწეროთ.

ბავშვები გულმოდგინედ შეუდგნენ დავალების შესრულებას, მხოლოდ დათა-ბათა ვერ ისვენებდა:

– მასწავლებელო, დაბლა დო-სა და მაღლა დო-ს შემდეგ და იმის იქით არაფერი აღარ იმღერება? – იკითხა მან.

პითაგორა-ბიჭუნამ დათა-ბათას ახედა და შეკითხვა მოუწონა:

– არა, ნამდვილად არ ვცდები ბავშვების ცნობაში – რა აზარიანი კითხვა დასვი! შენი გონებამახვილობა ნამდვილად თაფლიან-კარაქიანი პურის ბრალია, – გაიცინა მასწავლებელმა, – ამ კითხვაზე პასუხს შემდეგ გაკვეთილზე გიპასუხებთ.

შემდეგ მუსიკა ჩართო და ბავშვებს დავალების შესრულება სთხოვა.

მუსიკალური განტვირთვა: რ.ვაგნერი – უვერტიურა ოპერიდან „ტანჰოიზერი“. ბავშვები უსმენენ მუსიკას და ასრულებენ დავალებას.

ავტორისაგან:

გაკვეთილით „დო-დან...დო-მდე“ დასრულდა მესამე კლასის სტანდარტით გათვალისწინებული მუსიკის ანბანის I საფეხური – ხაზებზე და ხაზებს შორის, პირველი ოქტავის ფარგლებში, ნოტების წერა-კითხვა. ნოტების წერის შესწავლის ჩვენს მიერ შემოთავაზებული მეთოდი სრულიად ახლებურ ხედვასა და ხერხებს გულისხმობს.

ბავშვები ჯერ კიდევ II კლასში „მოსწავლის რვეულში“ ეჩვევიან ერთ, ორ და სამ სწორ ხაზზე და ხაზებს შორის ნოტების ხატვასა და გაფერადებას. მესამე კლასში, თავიდან, ბავშვები კვლავ გრაფიკულად გამოსახავენ და აფერადებენ ნოტებს, შემდეგ კი ჯერ ვასწავლით ნოტების ხაზებზე წერას, ბოლოს – ხაზებს შორისაც. ბავშვებს ნოტებს მუსიკალური ტესტების საშუალებით შევასწავლით, მაგალითად: გამოიცნონ, რა ნოტი იწერება მი-სა და სოლ-ს შორის; მათ უნდა თავად იფიქრონ, გააცნობიერონ და გამოიცნონ, რომელი ნოტია ჩასახატი. ასეთი მეთოდი უფრო გაუადვილებთ მათ ნოტების გააზრებულად შესწავლა-დამახსოვრებას. ამავე დროს, ბავშვებს გამოუმუშავდებათ დამოუკიდებელი აზროვნების, ფიქრის, სირთულეების დაძლევისა და დავალების წარმატებით შესრულების უნარ-ჩვევები, რაც დაეხმარებათ ნებისმიერი სასწავლო დისციპლინის დაძლევაში.

აღსანიშნავია ნოტების გრაფიკული ზომებიც: ბავშვებს ვთავაზობთ არა სანოტო რვეულებში ნოტების დაწერას, არამედ პირველ ეტაპზე ვაწვდით დიდი ზომის ნოტებს წიგნში ჩახატული სპეციალური სავარჯიშოების სახით. ამგვარი მეთოდი მათ ეხმარებათ ნოტების იოლად აღქმა-დამახსოვრებასა და სწორად გამოსახვაში. დიდი ზომის ნოტების გამოსახვა ვიზუალურ სივრცეში ამ ასაკის ბავშვებისათვის უფრო თვალსაჩინოდ აღსაქმელია, ვიდრე ჩვეულებრივ სანოტო რვეულებში წვრილად დაწერილისა. ვფიქრობთ, ეს არის ნოტების შესწავლის ახალი მეთოდი, ნოვატორული მიგნება.

ნოტების შესწავლაში მათ ასევე ეხმარებათ, პლანეტების ვიზუალი და მათი ხმოვანება, ამ ხმა-ბგერებისგან შედგენილი მუსიკალური კოლაჟები, კომპოზიციები, რაც ხელს უწყობს მათი თვალსაწიერის გაზრდასა და სხვადასხვა უნარ-ჩვევების განვითარებას. ბავშვები უსმენენ პლანეტების ხმოვანებას, უსადაგებენ ნოტების ჟღერადობას და სწავლობენ სანოტო სისტემაზე მათ დაწერას.


დო-დან... დო-მდე

მთიდან სიმღერით მოვდივართ: მეორე გაკვეთილზე ბავშვები სწავლობენ თუშურ ხალხურ სიმღერას და ამოიცნობენ საკრავის ჟღერადობას (ფანდური), სიმღერას ასრულებს ბავშვთა ფოლკლორული ანსაბლი **„გეორგიკა".**



მთიდან სიმღერით მოვდივართ
დაღლილ-დაქანცულ მწყემსები,
უკან დავტოვეთ თუშეთი,
კავკასიონის ქედები.

შენაც მიყვარხარ, კახეთო,
დიდო ალაზნის ჭალაო,
ირემო იალაღზედა,
ივრის პირებზე ჩალაო...

მთიდან სიმღერით მოვდივართ

თუშური



©ფსიქოლოგიური განსჯისათვის: ახალი მეთოდით ნოტების შესწავლა-გამოსახვა ბავშვებში პოზიტიური ემოციების გაღვიძების ხელშემწყობ პირობებს ქმნის. ნოტების გამოსახვა ხდება არა ჩვეულებრივ, სრულყოფილ სანოტო ხაზებზე და ხაზებს შორის, არამედ დიფერენცირებულად ცალკეულ ხაზებზე; ამგვარი სახით მოცემული დავალების შესრულება მათთვის იოლად დასაძლევია. ბავშვები თავისუფლდებიან ზედმეტი სტრესისა და დაძაბულობისაგან. მათ უჩნდებათ მოტივაცია – მეტი ინტერესი და მისწრაფება გამოიჩინონ სიახლისადმი, მოცემული მოთხოვნების მიმართ გახდნენ ადაპტირებულები. ტესტის სახით მიწოდებული სავარჯიშოები ბავშვებში აღძრავს ინტერესს და აძლევს სტიმულს, ფიქრით, განსჯითა და ძიებით მიაგნონ სწორ პასუხს. ყოველივე ეს ხელს უწყობს მათი დაკვირვების, აზროვნების, მხედველობითი მეხსიერების განვითარებას, ეხმარება სამყაროს უკეთესად აღქმაში.

თამაშის ხერხით დავალების მიწოდება კარგი საშუალებაა თვითაქტუალიზაციის განვითარებისთვისაც. ხდება მათი შემოქმედებითი პოტენციალის ბუნებრივი, ძალდაუტანებელი გამოვლენა, რაც მომავალში მათი ტალანტის სრულფასოვანი გამოვლენის საწინდარია.

კლავიატურა

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 4/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: ახალი ინტონაციური სავარჯიშოს შესწავლა. ბავშვები მასწავლებელთან ერთად ნოტების დასახელებით სწავლობენ და მღერიან სავარჯიშოს. მასწავლებელი ბავშვებს სამხმოვანების ბგერების ამოცნობას სთხოვს.

უკრაინული ხალხური სიმღერა „გაზაფხულდა



კლავიატურა

მეორე გაკვეთილისთვის პითაგორა-ბიჭუნამ შეუსრულა დათა-ბათას დანაპირები: სათითაოდ გამოიყვანა ბავშვები და საჩვენებელი თითით ფორტეპიანოზე დააკვრევინა შვიდი მხიარული ნოტი: „დო“-დან... „დო“-მდე — აღმავალი და დაღმავალი მიმართულებით. — ახლა პეტრემ დო-დან ზევით გააგრძელოს დაკვრა, დათა-ბათამ — ქვევით. ბავშვებმა დაუკრეს. — აი, ხომ ხედავთ, უსასრულოდ შეიძლება დაკვრა ზევითაც და ქვევითაც — კლავიშების დამთავრებამდე. კლავიშებით ვუკრავთ ფორტეპიანოზე. თეთრი და შავი კლავიშების ერთობლიობა **კლავიატურას** ქმნის, რომელიც ოქტავებად იყოფა. **ოქტავა** ლათინური სიტყვაა და რვას ნიშნავს — „დო“-დან „დო“-მდე რვა ბგერის თანმიმდევრობაა. კლავიატურა რამდენიმე ოქტავისაგან შედგება, თითოეულს თავისი სახელი აქვს.

— აბა, დახედეთ ფორტეპიანოს და ჩვენი ნაცნობი „დო“-დან დავიწყოთ ათვლა, ქვევიდან ზევით: პირველი ოქტავა; მეორე ოქტავა; მესამე ოქტავა; მეოთხე ოქტავა; მეხუთე ოქტავა — არასრული. საკონცერტო ფორტეპიანოზე მეხუთე ოქტავა სრულია — „დო“-მდე.

— ბავშვებო, ალბათ მიხვდით, რომ კლავიატურაზე ხმოვანება, მარცხნიდან მარჯვნივ, ბოხიდან წვრილისაკენ იცვლება. ახლა ყველაზე დაბალი ბგერიდან ზემოთ გამოვყვეთ: სუბკონტროქტავა — ყველაზე დაბალი, არასრული — „ლა“-დან „დო“-მდე. კონტროქტავა, დიდი ოქტავა, მცირე (პატარა) ოქტავა — ამას მოსდევს პირველი ოქტავა და ასე შემდეგ...

პითაგორა-ბიჭუნამ ბავშვებს სთხოვა, მუსიკის წიგნში კლავიატურაზე დაესახელებინათ ნაცნობი ოქტავები.

პითაგორა-ბიჭუნა ბავშვებს ასმენინებს თავის შექმნილ **აუდიოჩანაწერს – მუსიკალურ კოლაჟს** – პლანეტა **დედამიწა** ფონად მიჰყვება მოტივს, რომელსაც როიალი და დასარტყამი საკრავი ასრულებს.

ბავშვები უსმენენ ამ კომპოზიციას და გრაფიკული ხაზით გამოხატავენ თავიანთ ნააზრევს, ამოიცნობენ ტრეკების რაოდენობას.

დედამიწა



თემა: ჩემი ცხოვრების ერთი დღე

მიზანი: მუსიკალური ინტონაციებით მოქმედების და მასთან დაკავშირებული განწყობის გადმოცემა, რაიმე მოქმედებისა და განწყობის ამსახველი მუსიკალური კოლაჟის შექმნა. სიმღერების შესწავლა და რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების შესრულება.

მისაღწევი შედეგები: მუს.დაწყ.(I)4,5,6; მუს.დაწყ.(I)1,2

ჩემი ცხოვრების ერთი დღე - 1

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 90 წუთი.

რიტმული მოთელვა 4/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: ახალი ინტონაციური სავარჯიშოს შესწავლა. ბავშვები მასწავლებელთან ერთად ნოტების დასახელებით სწავლობენ და მღერიან სავარჯიშოს. მასწავლებელი ბავშვებს სამხმოვანების ბგერების ამოცნობას სთხოვს.



აქტივობა: ჩემი დილა

მასწავლებელი ასმენინებს ბავშვებს **აუდიოჩანაწერს**, სადაც სხვადასხვა ხმით გადმოცემულია დილის სურათი, როგორ ემზადება პატარა ბიჭი სკოლაში წასასვლელად. მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ყურადღებით მოუსმინონ ამ ხმებს და მათი დახმარებით შეთხზან ამბავი. რომელსაც ეს ხმები გადმოსცემს.

1. რა ხმები გესმით?
2. ჩამოთვალეთ მოსმენილი ხმები და შეთხზეთ ამბავი.
3. სად მიდის გმირი?
4. ამოიცანით ამ აუდიო ჩანაწერის გმირი ბიჭია თუ გოგო?

პითაგორა-ბიჭუნა ბავშვებს ასმენინებს თავის შექმნილ **აუდიოჩანაწერს** – **მუსიკალურ კოლაჟს** – პლანეტა **ვენერა** ფონად მიჰყვება მოტივს, რომელსაც ელექტროპიანინო და სიმებიანი საკრავები ასრულებენ. ბავშვები უსმენენ ამ კომპოზიციას და გრაფიკული ხაზით გამოხატავენ თავიანთ ნააზრევს, ამოიცნობენ ტრეკების რაოდენობას.



მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS-ი

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, **LMMS** პროგრამაში სხვადასხვა „სემპლი“ ისე დაალაგონ, რომ გამოვიდეს ერთი დღის ისტორია, დაადონ ხმის ეფექტი ან რიტმი და შექმნან მუსიკალური კომპოზიცია „ჩემი ცხოვრების ერთი დღე“. ბავშვებს შეუძლიათ თავად ჩაწერონ სხვადასხვა ხმები თავიანთი ცხოვრებიდან, ეს ხმები გადააქციონ „სემპლებად“.

ლექსიკონი:

Sample- sempling (ინგ.) – კომპიუტერულ პროგრამაში ბუნებრივი ხმის ციფრულ ხმოვან სიგნალად გადაყვანა, ანუ ციფრული ხმოვანი სიგნალი, ხმა.

„რა დილა თენდება...“

ახალი სიმღერის შესწავლა — „რა დილა თენდება“. ტექსტი და მუსიკა გიორგი გორდეზიანისა.

რა დილა თენდება!
სიმღერა მინდება,
ფოთოლთა შრიალი,
ფრინველთა ხმა
სიყვარულს მპირდება.
მისამღერი:
გული მღერის, გული ხარობს,
ბრუნავს დედამიწა,
უღრუბლო ცა,
კრიალა ზღვა,
რა გინდა სხვა.

ფრინავენ პეპლები
ათასფერ ფერებად,
თუ გაგიფრინდება დღეს ერთი, ხვალ
ასი დაბრუნდება.
მისამღერი:
გული მღერის, გული ხარობს,
ბრუნავს დედამიწა,
უღრუბლო ცა,
კრიალა ზღვა,
რა გინდა სხვა.

მუსიკალური განტვირთვა: ბავშვები უსმენენ „პლუს“ და „მინუს“ ფონოგრამებს, სწავლობენ სიმღერას, მღერიან და ცეკვავენ.

„რა დილა თენდება...“

ტექსტი და მუსიკა
გიორგი გორდეზიანი



◎ ფსიქოლოგიური განსჯისათვის:

ბავშვებთან პრაქტიკულმა მუშაობამ და გამოცდილებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ჩვენს მიერ შემუშავებული მუსიკის გაკვეთილის ფორმისა და მეთოდიკის სისწორეში. (გაკვეთილი შედგება მრავალფეროვანი აქტივობებისაგან).

I და II კლასში მოდიან განსხვავებულ ფსიქო-სოციალურ გარემოში გაზრდილი, სხვადასხვა კატეგორიისა და ინდივიდუალური ფსიქოლოგიური თავისებურებების მქონე (შფოთიანი, აუტისტი, ჰიპერაქტიური), რეალურ სამყაროს მოწყვეტილი, შიშით დამძიმებული ბავშვები. მათ უჭირთ თავიანთ თანატოლებთან კონტაქტის დამყარება.

მომატებული ჰიპერაქტიური სინდრომის მქონე ბავშვებს არ შეუძლიათ ერთ მდგომარეობაში ათ-თხუთმეტ წუთზე მეტი ხნით ყოფნა. ეს მათი რეალური ფსიქო-ემოციური მდგომარეობაა და არა — დესტრუქციულობისაკენ მიდრეკილება (გაკვეთილის პროცესის ჩაშლა, თანატოლების დაზარალება), რასაც პედაგოგებისა და მშობლების მხრიდან ესაჭიროება სერიოზული ყურადღება და თანადგომა. კერძოდ: ასეთი ბავშვების სისტემატური დასჯა, გამტყუნება, შენიშვნის მიცემა, უარყოფა, ბოლო მერხზე დასმა არ იძლევა სასურველ ეფექტს. მათთან ურთიერთობისას პოზიტიური შედეგის მომცემია ყურადღება, შექება, წახალისება და მუდმივ აქტიურ მდგომარეობაში ჩაყენება, რასაც სრულიად მიესადაგება მუსიკის გაკვეთილის ასეთი ფორმა. რამდენიმე აქტივობისგან შემდგარი მუსიკის გაკვეთილი ხელს უწყობს კლასში ზოგადად ბავშვების მდგომარეობის შემსუბუქებას, რელაქსაციას, ემოციური დაძაბულობისაგან განმუხტვას. პედაგოგიურ საქმიანობაში სასურველი შედეგის მისაღწევად ნებისმიერი საგნის მასწავლებლისათვის აუცილებლია ბავშვის ფსიქოლოგიის საფუძვლიანი ცოდნა.

მუსიკის ფონზე – **ს. ცინცაძე საკვარტეტო მინიატურა „მზე შინა“** – მასწავლებელი ბავშვებს უკითხავს მოთხრობას.

უსინათლო დირიჟორი

უსმინეთ სამყაროს ♡ ყურით

ნ. გიორგაძის წიგნიდან „ალოიზ მიზანდარი“

ვალერიან მიზანდარი

...გავიდა დრო. ჩვენი პატარა მუსიკოსები ვანო და ზაქრო ფალიაშვილები გამოჩენილი ადამიანები გახდნენ. ვანო – დირიჟორი, ზაქრო – კომპოზიტორი. ისინი ალოიზ მიზანდარის მიერ დაარსებულ პირველ სამუსიკო სასწავლებელსა და სკოლაში მოღვაწეობდნენ. მათი პირველი მასწავლებლის, ფელიქს მიზანდარის ვაჟი, პატარა ვალერიანი სწორედ ამ სასწავლებელში სწავლობდა. საოცარი მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ ყმაწვილს ზაქარია ფალიაშვილი ნოტებსა და ფორტეპიანოზე დაკვრას ასწავლიდა. კლარნეტზე, საყვირზე, ფლეიტაზე, ჰობოისა და ჩელოზე დაკვრა კი თავად ისწავლა. მუსიკალური სასწავლებლის პარალელურად ვაჟთა გიმნაზიაშიც სწავლობდა, მუსიკის გაკვეთილებზე ხშირად „დირიჟორობდა“.

ერთხელ გიმნაზიაში ვალერიანმა მთელ კლასს ქაღალდშემოკრულ სავარცხელზე „დაკვრა“ ასწავლა. ეს გაიგო ისტორიის მასწავლებელმა და მიზანდარის „ორკესტრს“ „დაკვრა“ სთხოვა: კალმისტარმომარჯვებულმა ვალერიანმა იდირიჟორა და ეს მისი პირველი „სახალხო დირიჟორობა“ იყო. ისტორიის მასწავლებელს ძალიან მოეწონა ეს უჩვეულო „კონცერტი“. ვალერიანს „თამაში“ თანდათან სერიოზულ საქმიანობად გადაექცა. მალე გიმნაზიის ორკესტრის დირიჟორად დანიშნეს და საინტერესო კონცერტებიც გამართა... გამოჩენილი მუსიკოსი ვალერიან მიზანდარი ოპერისა და ბალეტის თეატრის ერთ-ერთი ცნობილი დირიჟორი გახდა. ის ორკესტრს ყოველთვის ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი დირიჟორობდა. უსწრაფესად ითვისებდა მუსიკალურ ნაწარმოებს: საკმარისი იყო ერთხელ ჩაეკითხა პარტიტურა, უკვე ზეპირად დირიჟორობდა. ეს საოცარი ნიჭი დაეხმარა მას, როდესაც უეცრად დაბრმავდა. მაგრამ ვალერიანს იმდენად უყვარდა მუსიკა, რომ უფრო შემართებით გააგრძელა მოღვაწეობა. სადირიჟორო პულტთან იგი საოცრად იცვლებოდა – მსმენელი ვერც კი ამჩნევდა, თუ დირიჟორი უსინათლო იყო...

მასწავლებელი ბავშვებს ესაუბრება ლ.ვ.ბეთჰოვენზე, რ. ჩარლზე, ა.ბოჩელიზე... მათთვის სიყრუესა და უსინათლობას ხელი არ შეუშლია, თავიანთი შემოქმედებით ადამიანებისათვის სიამოვნება მიენიჭებინათ. ვ.მიზანდარიც ერთ-ერთი ასეთი ხელოვანია. მასწავლებელი ავალებს ბავშვებს მოიძიონ ინფორმაცია რეი ჩარლზის, ანდრეა ბოჩელის შესახებ, მოაწყონ პრეზენტაცია და თავიანთი ნამუშევარი წარუდგინონ კლასს.

ვ.მიზანდარი

მუსიკის ისტორიიდან: ვალერიან ფელიქსის ძე მიზანდარი (1894-1926) – ერთ-ერთი პირველი ქართველი დირიჟორი. მოღვაწეობა სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო: 18 წლისა გიმნაზიის ორკესტრის უცვლელი დირიჟორია, 1917 წელს კი დიდ სამხედრო-სასულე ორკესტრს აყალიბებს. ორკესტრში 65 მუსიკოსი იყო. მსგავსი მანამდე თბილისში არ ყოფილა. ორკესტრმა მალე საქვეყნოდ გაითქვა სახელი. მარშებისა და ვალსების გარდა, სიმფონიურ და საოპერო ნაწარმოებებსაც ასრულებდნენ. ვ.მიზანდარმა სასულე ორკესტრისთვის გადაამუშავა მ.ბალანჩივაძის ოპერა „დარეჯან ცბიერის“ უვერტიურა, კ.ფოცხვერაშვილის „მგზავრული“ და „მხედრული“. ვ.მიზანდარმა გზა გაუკვალა გამოჩენილ ქართველ დირიჟორს ევგენი მიქელაძეს, რომელიც მის ორკესტრში უკრავდა და საშუალება მისცა დამოუკიდებლად ედირიჟორა.

ვ.მიზანდარის სასულე ორკესტრი 1919 წ.

1920 წელს ვალერიან მიზანდარი ოპერაში მეორე დირიჟორად მიიწვიეს (პირველი ივანე ფალიაშვილი იყო) და მალე დიდ წარმატებასაც მიაღწია. მაგრამ 1922 წელს იგი დაბრმავდა... ეს მოულოდნელი დარტყმა იყო მთელი მუსიკალური საზოგადოებისათვის. მიუხედავად ამისა, იგი სამი წლის მანძილზე მაინც დირიჟორობდა ზეპირად, უპარტიტუროდ. უსინათლო დირიჟორმა სენსაცია მოახდინა. ოპერის თეატრის სალაროსთან გრძელი რიგები გაჩნდა. ადამიანები ღამეებს ათევდნენ – ოცნებად ჰქონდათ გადაქცეული ბრმა დირიჟორის ხილვა. 1926 წელს იგი სრულიად ახალგაზრდა, მოულოდნელად გარდაიცვალა.

ბავშვები უყურებენ **ვიდეოს,** რომელიც აღწერს 1919 წლის დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო აღლუმს https://www.youtube.com/watch?v=uN4kJoUtPc0. აგრეთვე უსმენენ მარშებს: **The Thunderer – J.Sousa; Colonel Bogey – K.Afford** და „დირიჟორობენ“.

მუსიკალური ლექსიკონი:

პარტიტურა – იტალიური სიტყვაა და განაწილებას, დაყოფას ნიშნავს. მუსიკაში – მრავალხმიანი მუსიკალური ნაწარმოების ყველა (ვოკალური და ინსტრუმენტული) პარტიის ერთობლიობა; ნოტების წიგნი, რომელიც შეიცავს ასეთი ნაწარმოების ყველა პარტიის ჩანაწერს.

ჩემი ცხოვრების ერთი დღე. როგორ შეიძლება სხვადასხვა ხმით და მუსიკალური მასალით შეიქმნას კოლაჟი, რომელშიც რაიმე მოქმედება და მისგან გამოწვეული განწყობა იქმნება.

მხიარული დღე

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 4/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

ჩემი ცხოვრების ერთი დღე - 2

მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს **აუდიოჩანაწერს**, სადაც ცხოვრების ერთი მხიარული დღეა გადმოცემული ხმებით; ლ. ანდერსონის ხალისიან და მხიარულ მუსიკაზე **„Sleigh Ride"** – ბიჭი მიდის ქუჩაში, ფეხბურთის სტადიონზე, მოტოციკლეტით ბრუნდება შინ და უყურებს მულტფილმს „ტომი და ჯერი". ეს დღე მან მხიარულად გაატარა.

მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს:

1. რა ხმები გესმით?
2. როგორია ეს დღე – მხიარული თუ სევდიანი?
3. რა ხერხებით არის გადმოცემული ეს განწყობა?

აუდიო ჩანაწერის მოსმენისას ბავშვები ამოიცნობენ ამ ქმედებებს და მიუსადაგებენ ფოტოებს

LMMS პროგრამაში, სადაც ხმებითაა გადმოცემული ერთი მხიარული დღის ამბავი. მოცემული „სემპლებით" ბავშვები თავად აწყობენ მუსიკალურ კოლაჟს. ბავშვებს შეუძლიათ თავად ჩაწერონ თავიანთი ცხოვრების სხვადასხვა ხმა. გადააქციონ სემპლებად და შეადგინონ კოლაჟები, სადაც სხვადასხვა ამბავი იქნება მოთხრობილი: მხიარული, სევდიანი – სკოლაში, გასართობ ცენტრში, კონცერტზე, სტუმრად მეგობართან, ზოოპარკში, დაბადების დღეზე და სხვა. მასწავლებელი ეხმარება მათ ამ აქტივობების შესრულებაში, შეურჩევს და აწვდის მუსიკალურ ნაწარმოებებს.

იუპიტერი

პითაგორა-ბიჭუნა ბავშვებს ასმენინებს თავის შექმნილ **აუდიოჩანაწერს – მუსიკალურ კოლაჟს** – პლანეტა **იუპიტერი** ფონად მიჰყვება მოტივს, რომელსაც ფორტეპიანო და დასარტყამი საკრავი (პერკუსია) ასრულებს.

ბავშვები უსმენენ ამ კომპოზიციას და გრაფიკული ხაზით გამოხატავენ თავიანთ ნააზრევს, ამოიცნობენ ტრეკების რაოდენობას.

მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS-ი

აქტივობა 19 – სხვადასხვა ფრაზები

ამ აქტივობაში მოცემულია 22 ტრეკი: 2 რითმული და 20 სხვადასხვა ტელეგადაცემებიდან ამოჭრილი ფრაზები.

ტრეკები ზუსტი თანმიმდევრობით არის დალაგებული. მოისმინეთ აქტივობა. შემდეგ კი შეგიძლიათ ფრაზები აურიოთ და ისევ დაალაგოთ ნიმუშის მიხედვით, რომელიც აუდიო ფაილის სახით არის მოცემული ამავე აქტივობის ფოლდერში. აქტივობის მიზანია ბავშვებმა თვითონ შექმნან მსგავსი კოლაჟი, თუნდაც რამდენიმე ფრაზისგან და პატარა რითმული ნაწყვეტისგან.

ჩემი ცხოვრების ერთი დღე – 3

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 4/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: ბავშვები იხსენებენ ნასწავლ ინტონაციურ სავარჯიშოს ფრანგულ ხალხურ სიმღერას – მწყემსი ბიჭი. ბავშვები მასწავლებელთან ერთად ნოტების დასახელებით მღერიან. მასწავლებელი ბავშვებს სამხმოვანების ბგერების ამოცნობას სთხოვს. ეკითხება, რაზე უკრავდა მწყემსი ბიჭი და ასმენინებს მუსიკალურ კოლაჟს – **„მწყემსი ბიჭი დო“**.

ფრანგული ხალხური სიმღერა, მწყემსი ბიჭი



პითაგორა-ბიჭუნა ბავშვებს ასმენინებს თავის შექმნილ **აუდიოჩანაწერს** – **მუსიკალურ კოლაჟს** – პლანეტა **მარსი** ფონად მიჰყვება მოტივს, რომელსაც დასარტყამი და სიმებიანი საკრავები ასრულებენ.

ბავშვები უსმენენ ამ კომპოზიციას და გრაფიკული ხაზით გამოხატავენ თავიანთ ნააზრევს, ამოიცნობენ ტრეკების რაოდენობას.

მეთოდური მითითება: ამ გაკვეთილზე მასწავლებელი გაახსენებს და გაამღერებს შვიდ მხიარულ ნოტს, აგრეთვე პლანეტებს, რომლებსაც მიუსადაგეს ეს ნოტები, მოასმენინებს ამ თემაზე შექმნილ ყველა კომპოზიციას და ამით შეაჯამებს ცოდნას.

მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა
LMMS-ი



მარსი

ჩემი ცხოვრების ერთი დღე სოფელში - 3

აქტივობა 20

ამ აქტივობაში მოცემულია 16 ტრეკი, რომელიც **LMMS** პროგრამაში თანმიმდევრობით არის დალაგებული. ეს ხმები მოგვითხრობენ სოფლის ცხოვრების ერთ დღეს: მამლის ყივილი, ბალახის საკრეჭი მანქანის ხმა, ბუხარი, წყარო, ნაბიჯები, სამუშაო იარაღები და ა.შ. ბავშვებმა უნდა მოისმინონ, ამოიცნონ ეს ხმები და მოყვნენ პატარა სოფლის ამბავს.

ბავშვები მოუსმენენ სოფლის ხმებს და მიუსადაგებენ ფოტოებს.

თუშური გარმონი

ლელა თათარაიძე

თუშური გარმონის ხსენებაზე, უნებურად, ყველასთვის საყვარელი სიმღერა გვახსენდება:

„რა ლამაზია თუშეთი
და ლაშარობა თუშური...“

თუშეთი მართლაც მშვენიერია, დიდებულია მისი ბუნება, მისი მთები, ველ-მინდვრები,

სალოცავები, სოფლები — დიკლო, შენაქო, დანო, დართლო... თუშები ლექსის, სიმღერის, ცეკვის, გარმონსა და ფანდურზე დაკვრის, ჯირითის, ფერადოვანი თექებისა და წინდა-ფარდაგების ქსოვის დიდოსტატები...

„დაგიქსოვ ჭრელებს ჩულებსა,
ცხენს კოხტად შეგიკმაზებდე,
დაგიჭერ ცხენის უზანგას,
ნელ-ნელა ჩაგიცინებდე“...

თუშური გარმონი იმდენად პოპულარულია თუშეთსა და კახეთში, ბევრს ჰგონია, რომ ის ძალიან ძველი საკრავია. სინამდვილეში გარმონი 1822 წელს შეიქმნა ბერლინში და აქედან გავრცელდა მთელ მსოფლიოში. საქართველოში გარმონი კავკასიის გავლით რუსეთიდან შემოვიდა და, ქართველი კაცის გამორჩეული მუსიკალური ნიჭის წყალობით, მისი განსაკუთრებული სახეობაც კი შეიქმნა, რომელსაც ქართულ, ანუ თუშურ გარმონსაც უწოდებენ. ეს საკრავი ისე შეერწყა თუშეთის ყოველდღიურ ყოფასა და ტრადიციას, ისე შეესისხლხორცა თუშურ პოეზიას, სიმღერასა და ცეკვას, რომ ლამის ამ დიდებული კუთხის სიმბოლო გახდა. დღეს მოვისმენთ თუშური საცეკვაოს ერთ-ერთ ძველ ჩანაწერს და „თუშურ მელოდიებს“ გარმონზე უბადლო შემსრულებლისა და მომღერლის ლელა თათარაიძის შესრულებით.

თუშური გარმონი

მუსიკალური განტვირთვა: თუშური საცეკვაო **„ლიქოკელი“**; ლელა თათარაიძე — **„თუშური მელოდიები“**. ბავშვები უსმენენ მუსიკას, ცეკვავენ და ილხენენ.

ინფორმაციისათვის:

გარმონის მონათესავე საკრავებია: ფისჰარმონია, ორგანი, აკორდეონი, ბაიანი, ბანდონეონი და რუსული გარმონი.

ნიქოკელი, იგივე ლიქოკელი, თუში ქალ-ვაჟის ულამაზესი ცეკვაა. მასში ხაზგასმულია ქალის კდემამოსილება და ვაჟის სიდარბაისლე. სახელწოდება, შესაძლებელია, უკავშირდებოდეს ხევსურულ ტოპონიმს: სოფელი ლიქოკი და ლიქოკის ხეობა ხევსურეთშია და ხევსურეთის სხვა ხეობებისგან განსაკუთრებული ტრადიციებითა და ელფერით გამოირჩევა. სავარაუდოდ, დასაკრავი თუ თავად ცეკვა ლიქოკიდან უნდა ყოფილიყო გადმოტანილი თუშეთში, თუმცა, დღესდღეობით თავად ლიქოკის ხეობაში მსგავსი არაფერი მოიძიება. ასე რომ, პირველწყაროსთან საერთო ამ ცეკვას მხოლოდ ტოპონიმური სახელწოდებაღა აკავშირებს, ისიც – ფონეტიკურ-დიალექტური სახეცვლით (ნიქოკელი).

თუშეთი

ლექსიკონი:

ჩული — ცხენის საკაზმი, უნაგირის ქვეშ დასაფენი.

ჩემი ცხოვრების ერთი დღე. როგორ უნდა შეირჩეს მუსიკალური თანხლება, რომელიც გარკვეულ მოქმედებას ან განწყობას შექმნის.

ჩემი ცხოვრების ერთი დღე – 4

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 45 წუთი.

რიტმული მოთელვა 4/4 ზომაში; ყველა გაკვეთილი იწყება მოთელვით.

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშო: ბავშვები იხსენებენ ნასწავლ ინტონაციურ სავარჯიშოს ფრანგულ ხალხურ სიმღერას – მწყემსი ბიჭი. ბავშვები მასწავლებელთან ერთად ნოტების დასახელებით მღერიან. მასწავლებელი ბავშვებს სამხმოვანების ბგერების ამოცნობას სთხოვს. ეკითხება, რაზე უკრავდა მწყემსი ბიჭი.

ფრანგული ხალხური სიმღერა, მწყემსი ბიჭი



მასწავლებელი ბავშვებს ასმენინებს ორ **აუდიოჩანაწერს**, სადაც აღწერილია ორი დღის განსხვავებული ქმედებები: აქტივობა 1 – **სკოლაში გაკვეთილზე** და სთხოვს ბავშვებს მოუსმინონ ხმებს და ამოიცნონ რა ქმედებაა ამ ჩანაწერში ასახული.

1. რა და როგორი ხმები გესმით?
2. როგორ ფიქრობთ, სად ისმის ეს ხმები?
3. შეადგინეთ პატარა ისტორია მოსმენილი ხმების მეშვეობით.

აქტივობა 2 – **დაბადების დღეზე** მასწავლებელი ასმენინებს ბავშვებს აუდიოჩანაწერს და სთხოვს, ხმებით ამოიცნონ, რა ხდება წვეულებაზე.

1. რა ხმები გესმით? 2. ამოიცანით და ჩამოთვალეთ განსხვავებული ხმები.

3. რა ამბავს მოგვითხრობს ეს ხმები? 4. თქვენი აზრით, სად იმართება დაბადების დღე: სახლში, ბუნებაში თუ დაბადების დღის ცენტრში? რატომ?

5. თქვენი აზრით, უფროსი ადამიანის დაბადების დღეა თუ ბავშვის? რატომ?

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, ყურადღებით მოუსმინონ ჩანაწერს და ხმების დახმარებით აღწერონ დაბადების დღის მსვლელობა. კლასში შეუძლიათ გადაიხადონ რომელიმე მოსწავლის დაბადების დღე და მთელი კლასი ჩაერთოს ამ პროცესში – მუსიკალურად გააფორმონ წვეულება. მასწავლებელს შეუძლია დაბადების დღეზე ბავშვებს ერთხელ კიდევ მოასმენინოს ის მარშები, ცეკვები, ვალსები, სიმღერები, რომლებიც მოისმინეს და შეისწავლეს. ასეთ გაკვეთილს შეგვიძლია ვუწოდოთ **გამეორება – დღესასწაული.** ვთამაშობთ და ვსწავლობთ.

დამატებითი აქტივობა თავისუფალი გაკვეთილისათვის – ჩემი ცხოვრების ერთი დღე ჯ. გერშვინის „Rhapsody in Blue“

მასწავლებელი ბავშვებს აჩვენებს კინოკომპანია „**Walt disney**“-ს მიერ გადაღებულ მულტფილმს – „ფანტაზია“. მის ერთ-ერთ მონაკვეთში გამოყენებულია ამერიკელი კომპოზიტორის, ჯ. გერშვინის, შესანიშნავი ნაწარმოები „**Rhapsody in Blue**“. ფილმში ქმედებას პარალელურად მიჰყვება მუსიკა და აღწერს ანიმაციის შინაარსს და განწყობას. ეს მულტფილმი სრულიად მიესადაგება „ჩემი ცხოვრების ერთი დღის“ თემატიკას. ბავშვები უყურებენ მულტფილმს, ყურადღრებით უსმენენ მუსიკას და მსჯელობენ. ამის შემდეგ მხოლოდ მუსიკას უსმენენ და სახატავ რვეულებში ხაზითა და პიქტოგრამებით მიჰყვებიან მუსიკის მსვლელობას და ქმნიან მხატვრულ კომპოზიციას.

მასწავლებელი ავალებს ბავშვებს სახლში უყურონ მულტფილმს და დამოუკიდებლად შეასრულონ მოცემული აქტივობა ან ამ თემას დაუთმოს ერთი სრული გაკვეთილი. მულტფილმი – „ფანტაზია“ ჩვენება – 16:57 წთ.-დან – 21:35 წთ.-მდე

www.imovies.cc/movies/1972/Fantasia/2000/high/rus

შემაჯამებელი გაკვეთილი

აქტივობა – მოვიარე სიმღერით...

მასწავლებელი ბავშვებს ახსენებს საქართველოს კუთხეებს. სთხოვს ჩამოთვალონ კუთხეები გაიხსენონ და გაიმღერონ ხალხური სიმღერები: „შინა ვორგილ“ (სვანეთი); „უჩა ბიჭი“ (ლაზეთი); „კირია ლესა“ (სამეგრელო); „მამლი მუხასა“ (მესხეთი); „მზე შინა“ (ქართლი); „მაი ლამაზი ბაჩაჩები“ (შავშეთი); „იმერული მგზავრული“ (იმერეთი); „მოდი ვნახოთ ვენახი“ (ქართლი).

მიუსადაგე სიმღერები ფოტოებს

სვანეთი

ქართლი, უფლისციხე

თუშეთი

შავშეთი

იმერეთი, ბაგრატის ტაძარი

სამეგრელო, დადიანების სასახლე

ლაზეთი

მესხეთი, უფლისციხე

მასწავლებელი ბავშვებს უჩვენებს სიმღერის **ვიდეოს** – მ. ოთიაშვილი„ეს ლამაზი მთები” – სტუდია „ბასტი-ბუბუს” ბავშვების შესრულებით. ბავშვები მღერიან და ასე სიღერით მოივლიან მთელ საქართველოს.

შემაჯამებელი გაკვეთილი

„ჩიტი და მელა“

ბლიც-ოპერა

რესურსი: აუდიო და ვიდეო მასალა; **ხანგრძლივობა:** 9 გაკვეთილი

ქართული ხალხური ზღაპრის მიხედვით

მუსიკა და ლიბრეტო: მაია ოთიაშვილის

პერსონაჟები: დედა-ჩიტი, სამი ბარტყი, მელა და ბავშვები.

ზღაპარში ერთ ტყეში მომხდარი ამბავია მოთხრობილი. სცენის სიღრმეშია დიდი პანო, რომელზეც ტყეა დახატული, შუაგულში შემაღლებული ადგილია დიდი ბუდითა და სამი ბარტყით, რომელთაც თავს დედა ჩიტი დასტრიალებს. დედა ჩიტის როლი შეიძლება მასწავლებელმა ითამაშოს. ეს ფსიქოლოგიურად დადებითად იმოქმედებს ბავშვებზე და ხელს შეუწყობს მათი და მასწავლებლის ახლო ურთიერთობასა და სიყვარულს. მოქმედი პირები შესაფერის კოსტიუმებში არიან გამოწყობილნი. მუსიკის ფონზე ბავშვების გუნდი წრეს შემოარტყამს ბუდეს და მღერის სიმღერას – „გაზაფხული“. მაგრამ სანამ სიმღერას შეასრულებენ, თხრობას იწყებს ერთ-ერთი ბავშვი-ავტორი.

ავტორი: „გაზაფხულდა, ჩიტმა-ჩიორამ ერთი ხის ტოტზე ბუდე გაიკეთა და სამი ბარტყი გამოჩეკა. ბარტყების ხმა მელიამ გაიგო და მიცუნცულდა ხესთან“.

ამ დროს მსუნაგი მელია დედა-ჩიტის ბუდეს მიეპარება და ბარტყს სთხოვს. ბარტყებს მელია არ შეჭამს, ზურგზე მოკიდებული გუდაში ჩასვამს და წაცუნცულდება. ამას სამჯერ იმეორებს. ბოლოს დამწუხრებული დედა ჩიტი საშველად ბავშვებს მოუხმობს. ბავშვები დაედევნებიან მელას, კუდით დაიჭერენ, ხელს არ უშვებენ და კუდის სანაცვლოდ ბარტყებს მოსთხოვენ.

ბავშვები: „მელაკუდა, მელაკუდა, დაგვიბრუნე ბარტყები. კეთილ საქმეს რა სჯობია, გონს მოეგე და გაათავისუფლე საწყალი ბარტყები, გახდი ჩვენი მეგობარი... თუ არა და, იცოდე, კუდს დაკარგავ!..“

მელას კუდის დაკარგვისა შეეშინდება და დედა-ჩიტს ბარტყებს დაუბრუნებს. ბავშვები და დედა-ჩიტი აპატიებენ მელას დანაშაულს. სპექტაკლის ბოლოს კი ყველა ერთად სიკეთესა და სიყვარულზე მღერის და ცეკვავს.

მეთოდური მითითება: ამ მცირე მუსიკალური სპექტაკლის ჩატარება შეგვიძლია საკლასო ოთახში ან სკოლის დარბაზის სცენაზე. მას სიმბოლურად ბლიც-ოპერა ვუწოდეთ, რათა ბავშვებმა კიდევ ერთხელ გაიხსენონ საოპერო ჟანრი. მეორე კლასში ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ოპერის რაობაზე და იმაზე, თუ ხელოვნების რომელ დარგებს აერთიანებს იგი. მეორე კლასში ვანო გოკიელის ოპერა „წითელქუდას“ მიხედვით თოჯინური სპექტაკლი დავდგით. ახლა კი „ჩიტი და მელას“ ამბავი გავითამაშოთ და პატარა მუსიკალური სპექტაკლი, ანუ ბლიც-ოპერა დავდგათ.

Blitz გერმანულად ელვას ნიშნავს, ხოლო მუსიკაში მას შეგვიძლია ასეთი ინტერპრეტაცია მივცეთ. ბლიც-ოპერა – მუსიკალური სპექტაკლია, რომელიც მცირე დროის მონაკვეთში, სწრაფად სრულდება.

კითხვა: ხელოვნების რა დარგებს აერთიანებს ოპერა?

პასუხი: მუსიკას, ქორეოგრაფიას, მხატვრობას, ლიტერატურას.

– ხელოვნების რომელი დარგი არ არის გამოყენებული ჩვენს ბლიც-ოპერაში? – ეკითხება მასწავლებელი.

– ქორეოგრაფია, – პასუხობენ ბავშვები.

– ბავშვებო, მოიფიქრეთ, რომელი და როგორი ცეკვა შეიძლება ჩავრთოთ სპექტაკლში? (ფერხული, ვალსი, ქართული ცეკვა).

სასურველია, რომ ბავშვებმა სპექტაკლისთვის თვითონ დახატონ და დაამზადონ დეკორაციები (ხე, ყვავილები, ბუდე), ნიღბები, რაშიც მათ აუცილებლად ჩვენ უნდა დავეხმაროთ. სპექტაკლში მონაწილეობს მთელი კლასი – მთხრობელი, პერსონაჟები. შესაძლებელია, ბლიც-ოპერა ცეკვით – ერთიანი საზეიმო ფერხულით დავამთავროთ. ბავშვები კი აჰყვებიან **„დასარტყამ საკრავთა ორკესტრით“**, რაც უფრო ხალისიანს გახდის სპექტაკლს. ბლიც-ოპერას ბავშვები დგამენ გაზაფხულის დღესასწაულისათვის და შეუძლიათ თოჯინებითაც გაითამაშონ.

ფსიქოლოგიური განსჯისათვის: „ჩიტი და მელა“ – ამ მცირე მოცულობის ბლიც-ოპერის დახმარებით ბავშვები, მათთვის მისაწვდომი და სახალისო ფორმით ეხებიან მუსიკის ერთ-ერთ ყველაზე რთულ და საინტერესო ჟანრს – ოპერას. მასში მონაწილე პერსონაჟების მცირე სასიმღერო ნომრების მონაცვლეობით ბავშვები ეჩვევიან ერთ ჯგუფში შეთანხმებულ მუშაობას, მათ უყალიბდებათ ზღაპრის შემოქმედებითი გათამაშების, საკუთარი თავის გაკონტროლების, ერთმანეთის მოსმენისა და ჯგუფის წარმატება-წარუმატებლობის გაზიარების უნარი, ასევე უვითარდებათ მიზანსწრაფულობა, თანმიმდევრულობა, პასუხისმგებლობის გრძნობა. ამ ნაწარმოებით ისინი უფრო მეტად ეჩვევიან და უახლოვდებიან ისეთი მაღალი დონის ხელოვნებას, როგორიცაა ოპერა. ბლიც-ოპერა „ჩიტი და მელა“ ბავშვებში კეთილგანწყობილი ურთიერთობების, მათს ცნობიერებაში ჰუმანიზმის იდეების დამკვიდრებისა და ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების წარმოჩენის კარგი საშუალებაა.

ჩიტი და მელა

ლიბრეტო და მუსიკა
მაია ოთიაშვილის




ad libitum
მელა
mf
ჩიტი
მელა
ჩიტო ჩიტო ჩი ო ორაო , რა ო ბატონო მე ვლაო,ერთი ბარტყი გარდმოიგდე,თორემ შავდღეს დაგაყენებ,
ჩიტი
მელა [tempo di marcia]
თორემ შავდღეს დამაყენებს ცეცხლს მოვიტან ცუნცულარა, ხელეწიოს და წალდე ნარა ხერსაც მოვჭრი ხის ძირსაცა,
stacc.
ჩიტი
ბავშვები
შენც შეგჭამ და შენს შვილ-სა - ცა მეც შემჭამს და ნემს შვილ- სა -ცა! შენც შეგჭამს და შენს შვილ-სა - ცა!
rit.
rit.



მეორდება სამჯერ

ფინალური სცენა



rit.

rit.

rit.

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები – Ostinato

მეთოდური მითითება: ეს სავარჯიშოები არის დამატებითი მასალა **ოსტინატოს** თემაზე. ისინი დაეხმარება მასწავლებელს ჯგუფური მუშაობისთვის.

№1



№2



№3



№4



№5



№6



№7



№8






№1
I
II
III
№2
I
II
III
№3
I
II
III
I
II
III













III კლასის შემაჯამებელი გაკვეთილების შეფასების კრიტერიუმები

გაკვეთილი 14; ქალაქის ხმები - 4

განმავითარებელი შეფასება (მასწავლებელი აფასებს სიტყვიერი ან წერილობითი კომენტარით) :

ქალაქის ხმების ჩაწერა		
ვიდეო მასალის ნახვა და განხილვა	ხმების ჩაწერა და კომპიუტერულ პროგრამაში აჟღერება	სემპლებად გადაქცევა და მუსიკალური კოლაჟის შექმნა

გაკვეთილი 15-16 - შემოდგომის დღესასწაული

განმავითარებელი შეფასება (მასწავლებელი აფასებს სიტყვიერი ან წერილობითი კომენტარით) :

ღონისძიება - ,,შემოდგომის დღესასწაული''			
ღონისძიებისათვის სასურველი გარემოს შექმნა	მოსწავლეთა ჩართულობა და ორგანიზებულობა	ღონისძიების მუსიკალური გაფორმება	შემოქმედებითი უნარების წარმოჩენა

გაკვეთილი 33 - საახალწლო სიმღერები

განმავითარებელი შეფასება (მასწავლებელი აფასებს სიტყვიერი ან წერილობითი კომენტარით) :

სიმღერების მოსმენა და შესწავლა			
საახალწლო სიმღერებზე ვიდეო მასალის ნახვა და განხილვა	სიმღერების მოსმენა და მსჯელობა	სიმღერების შესწავლა (სანოტო და სიტყვიერი ტექსტის დამახსოვრება)	სიმღერების შესრულება პლიუს და მინუს ფონოგრამების გამოყენებით

გაკვეთილი - 34 - გასეირნება ზოოპარკში

განმავითარებელი შეფასება (მასწავლებელი აფასებს სიტყვიერი ან წერილობითი კომენტარით) :

ხმების ამოცნობა და განცალკევება			
ზოოპარკში ჩაწერილი ხმების მოსმენა, ხმების გამოყოფა და ამოცნობა	ცხოველების ხმებისა და წიგნის პერსონაჟების ლაიტმოტივების განცალკევება	მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტების ნახატებთან და ზოოპარკის ხმებთან მისადაგება	ხმებისა და ლაიტმოტივების გამოყენებით რაიმე ამბის მოგონება

გაკვეთილი - 55 -,, დო-დან დო-მდე''

განმავითარებელი შეფასება (მასწავლებელი აფასებს სიტყვიერი ან წერილობითი კომენტარით) :

ბგერათრიგის სიმღერა და გადაწერა		
რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოს შესწავლა და შესრულება ნოტების დასახელებით	დო-დან აღმავალი და დაღმავალი ბგერათრიგის სიმღერა	აღმავალი და დაღმავალი ბგერათრიგის სანოტო რვეულში გადაწერა

გაკვეთილი - 62 - მოვიარე სიმღერით

განმავითარებელი შეფასება (მასწავლებელი აფასებს სიტყვიერი ან წერილობითი კომენტარით) :

ხალხური სიმღერების ფოტოებთან მისადაგება			
საქართველოს კუთხეების ჩამოთვლა	ნასწავლი ხალხური სიმღერების გახსენება	ნასწავლი ხალხური სიმღერების კუთხეების დასახელება	სიმღერების ფოტოებთან დაკავშირება

გაკვეთილი - 63-72 - ჩიტი და მელია

განმავითარებელი შეფასება (მასწავლებელი აფასებს სიტყვიერი ან წერილობითი კომენტარით):

მუსიკალური სპექტაკლი			
სპექტაკლისათვის სასურველი გარემოსა და რესურსების მომზადება	სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება	როლების განაწილება	შემოქმედებითი უნარების წარმოჩენა

ფსიქოლოგიური დასკვნა

წინა წლებში გავლილი საინტერესო და მათთვის სახალისო ფორმით მიწოდებული თემებით ბავშვებმა შეიმეცნეს და გაარკვიეს გარე სამყაროში არსებული სხვადასხვა საგნების, ბუნების მოვლენების, აგრეთვე ცხოველებისა და ფრინველების ხმათა განსხვავებები.

მესამე კლასის სახელმძღვანელოში წარმოდგენილი საგაკვეთილო მასალა ასახავს გარე სამყაროს ცალკეული კომპონენტებიდან (პლანეტები, ქალაქი, სოფელი, ადამიანები, ტრანსპორტი, ზოოპარკი, მუსიკალური საკრავები და ა.შ.) აღქმულ ხმებს, რაც მათ საშუალებას აძლევთ უფრო აქტიურად ჩაერთონ სამყაროს მრავალფეროვან რიტმში, იცხოვრონ წარმოსახვით ფანტაზიებში. აღნიშნული პროცესი ბავშვებს თამაშის ასაკიდან გამოსვლის, ოცნებების სამყაროში გადმონაცვლებისა და სამყაროს მკვლევარებად ჩამოყალიბების პირობას უქმნით. ამ ასაკის მოსწავლეებს თვალსაჩინო მასალის გარეშე ჯერ კიდევ უჭირთ მასწავლებლის მიერ სიტყვიერად მიცემული დავალების შინაარსის გაგება. ისინი მგრძნობიარე და ემოციურნი არიან სწავლებისადმი და მასალის უკეთ ათვისებისთვის საჭიროებენ მეტ სტიმულირებას, მოტივაციას, ბიძგებს, შთაბეჭდილებებს, რასაც მასწავლებელი ახერხებს სახელმძღვანელოში წარმოდგენილი კარგად შესრულებული თვალსაჩინოების, ნახატების, ფოტოების საშუალებით. მესამე კლასის ბავშვები კარგი დამკვირვებლები არიან და ამ ფორმით წარმოდგენილი მასალის ათვისება მათ უკვე აღარ უჭირთ, მით უფრო, რომ მოცემული თემატიკა დაკავშირებულია ადრე ნასწავლ და ნაცნობი შინაარსის მასალებთან.

გარდა დედამიწის მრავალფეროვნებისა, ბავშვები იწყებენ სამყაროს სიღრმისეულ შესწავლას. ადრეული პერიოდიდან დაწყებული, მათი მუდმივი ინტერესის, ფანტაზიის, ფიქრისა და დაკვირვების ობიექტი სწორედ იდუმალებით მოცული კოსმოსი, მზის, მთვარის, ვარსკვლავების კვლევაა. ამ აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა მათთვის საინტერესო საგაკვეთილო თემა „პლანეტების მუსიკა“. ბავშვები თავისუფლდებიან სინამდვილის შეცნობის ადრე ნაცნობი პრიმიტიული ფორმებისგან და მათი ასაკისთვის შესაფერისი ორიგინალური, მხატვრულ-წარმოსახვითი ფორმით „გადადიან“ კოსმოსში. სინამდვილის შემეცნებაში მონაწილეობს წარმოსახვაც, რომელიც რეალისტური აზროვნების აუცილებელი, განუყოფელი მომენტია. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ბავშვები ეცნობიან მუსიკის წარმოშობის საინტერესო ამბებს, იგებენ ცნებების: „მუსიკა,“ „პლანეტა“, „მუზა“ შინაარსებს. მათ უჩნდებათ ინტერესი გაიაზრონ შესასწავლი მასალის არსებითი კავშირები და მიმართებები: „პლანეტები და ნოტები“, „ჯგუფურ დასარტყამ საკრავთა ორკესტრი“, ნოტების გრაფიკული ნახატების სხვადასხვა ფეხის ხმასთან მისადაგება, მუსიკალური კოლაჟი და ა.შ. ბავშვები თავად აგებენ სინამდვილის, მათი წარმოსახვის, შესაბამის ხატებას; მათ უვითარდებათ რეპროდუქციული წარმოსახვა. ბავშვები განსაზღვრავენ და თავად ასახავენ ობიექტების ნაგულისხმევ მდგომარეობას, წარმოსახვითი მოვლენა შეიძლება წარმოაჩინონ როგორც “თითქოსდა“ მომხდარი. ამგვარი აქტივობებით სრულად კმაყოფილდება ბავშვების მოთხოვნილება წარმოსახვისადმი, საგნებისა და მოვლენებისადმი ემოციური დამოკიდებულების გამოვლენისადმი.

გაკვეთილში ჩართული აქტივობა შესაბამისი კითხვებით ფონემატური ყურადღების, მეხსიერებისა და მეტყველების განვითარების კარგი საშუალებაა. **LMMS**-ის პროგრამის გამოყენებით ბავშვები რამდენიმე სახის აქტივობას (სხვადასხვა ხმების ჩაწერა, დალაგება, ერთი დღის ისტორიის გადმოცემა, მუსიკალური კოლაჟების შექმნა და სხვ.) ერთდროულად ახორციელებენ, რაც ანალიზურ-სინთეზური მოქმედების და აბსტრაქტულ მსჯელობაზე გადასვლის საიმედო და ეფექტური საშუალებაა. ყოველივე

ეს კი განზოგადებული ცოდნის საფუძველი ხდება.

მესამე კლასის მოსწავლეები სასწავლო მოქმედებების ცალკეულ კომპონენტებს თვითრეგულაციის საშუალებით ასრულებენ, რაშიც მათ ეხმარებათ სახელმძღვანელოში საინტერესოდ წარმოდგენილი მეთოდიკები: მხიარული ნოტების შესწავლა. სხვადასხვა ჟანრის საკრავების გაცნობა, ქალაქის რიტმის ხმების მოსმენა-ამოცნობა და მუსიკალური კოლაჟის შექმნა და სხვ. ბავშვებს მოსწონთ ჯგუფური აქტივობები, რაც მათ უვითარებთ თანამშრომლობისა და მეგობრული დამოკიდებულებების გრძნობებს.

ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი
ლია ქურხული

ფსიქოლოგიური დასკვნა გაკვეთილისთვის „პლანეტები და ნოტები“

ავტორმა სრულად მისდია და მაქსიმალურად გამოიყენა სტანდარტის „გარე სამყაროს ხმები“ მოთხოვნა, რადგანაც გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა არა მხოლოდ ყოველდღიური ხმებით, არამედ უახლოესი კოსმოსის ხმებითაც, ხმებით, რომლებსაც გამოსცემენ პლანეტები – NASA-ს თანამედროვე მონაცემების მიხედვით.

მუსიკალური ნოტების და პლანეტების სახელების ერთმანეთთან დაკავშირება არ უნდა ართულებდეს ნოტების შესწავლას ამ ასაკობრივ საფეხურზე ბავშვის ინტერმოდალური აღქმის შესაძლებლობიდან გამომდინარე. ბავშვის ელემენტარული წარმოდგენა თანამედროვე ასტრონომიის შესახებ არ ეწინააღმდეგება ბავშვის განვითარების შესაძლებლობებს, პირიქით, ასეთი მრავალფეროვანი, ინტეგრირებული მიდგომა, ასოციაციების სიმდიდრე აღვივებს ბავშვის ინტერესს, შემოქმედებით უნარებს და დამატებით დასაყრდენს აძლევს მასალის (ნოტების) ათვისებასა და დამახსოვრებაში.

რაც შეეხება ტერმინებს და ცნებებს (ტელესკოპი, კოსმიური მუსიკა, დედამიწის ხმა) ეს ყველაფერი თანამედროვე ბავშვებისათვის უცხო არ არის, მითუმეტეს რომ სტანდარტი პირველივე კლასიდან ითხოვს კომპიუტერული მუსიკალური პროგრამის LMMS-ის შესწავლას

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ვთვლი, რომ წარმოდგენილი სახელმძღვანელო არის ახალი ნოვატორული ნაბიჯი ბავშვის ესთეტიკური და კოგნიტური განვითარების თვალსაზრისით.

ფსიქოლოგიის დოქტორი,
ილიას უნივერსიტეტის პროფესორ -ემერიტუსი
ნათელა იმედაძე

LMMS-ის ინსტრუქცია

LMMS არის მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამა. ზუსტად ამ პროგრამაშია მოცემული და შესრულებული ის აქტივობები, რომელიც თან ერთვის 1-6 კლასის მუსიკის სახელმძღვანელოს. გთავაზობთ ამ პროგრამის მოკლე ინსტრუქციას:

პროგრამა LMMS-ის გახსნისთანავე გამოჩნდება ასეთი ინტერფეისი, რომელშიც ოთხი ძირითადი ფანჯარაა, თუმცა აქ მოცემული გაკვეთილებისთვის დაგვჭირდება ორი:

Song-Editor (ფანჯარა მარცხენა ზედა მხარეს) და Beat+Bassline Editor (ფანჯარა ზედა მარჯვენა მხარეს).



პროექტის შენახვა.

უმჯობესია თავიდანვე შევინახოთ გახსნილი პროექტი სასურველ ადგილას: ჩამოვშლით Project-ს, ვირჩევთ პუნქტს Save, შემდეგ კი გამოსულ ფანჯარაში მივუთითებთ იმ ადგილს, სადაც ვინახავთ ფაილს. ასევე, დანარჩენ მოქმედებებსაც ვინახავთ (ვასეივებთ) Ctrl+S-ის მეშვეობით.

სემპლის გამოძახება.

მაუსით ვაჭერთ ნოტის ლოგოს, რომელიც Song-Editor-ის მარცხენა მხარეს მდებარეობს. გამოვა მენიუ, სადაც დაინახავთ სემპლების ჩამონათვალს:

მაუსის მარცხენა ღილაკით ორჯერ ვაწკაპებთ სემპლზე, რომელიც ავტომატურად გადავა Beat+Bassline Editor-ის ფანჯარაში. შემდეგ ორჯერ ვაწკაპებთ სემპლის გრაფას, რომელიც ისრით არის მითითებული და ამ მოქმედების შემდეგ ავტომატურად გადავდივართ ახალ ფანჯარაში,



ფანჯარა - Piano-Roll.

Piano-Roll-ში სემპლი ავტომატურად ჯდება ნოტა „ლა“-ზე (A4), სადაც შეგიძლიათ მაუსით შეამოკლოთ და გაწელოთ სემპლი.



სემპლის ჩასმა Song-Editor-ში.

როდესაც დავამთავრებთ სემპლის რედაქტირებას, დავხუროთ Piano-Roll-ის ფანჯარა და სემპლი ჩავსვათ მთავარ ფანჯარაში- **Song-Editor**-ში.

მიაქციეთ ყურადღება, რომ სემპლი უნდა იჯდეს Beat/Bassline-ს ხაზზე.

სემპლის ნუმერაციის ან სახელის შეცვლა ხდება შემდეგნაირად: მაუსის მარჯვენა ღილაკით ერთხელ ვაწკაპებთ Beat/Bassline 0-ზე და გამოსულ ფანჯარაში ვუცვლით სახელს, ან ნუმერაციას.

სემპლის წაშლა.

მაუსით ერთხელ ვაჭერთ მწვანე ლოგოს და ჩამოშლილ მენიუში ვირჩევთ Remove this track.

სემპლის ჩასმა Song-Editor-ში.

როდესაც დავამთავრებთ სემპლის რედაქტირებას, დავხუროთ Piano-Roll-ის ფანჯარა და სემპლი ჩავსვათ მთავარ ფანჯარაში- **Song-Editor**-ში.

მიაქციეთ ყურადღება, რომ სემპლი უნდა იჯდეს Beat/Bassline-ს ხაზზე.

სემპლის ნუმერაციის ან სახელის შეცვლა ხდება შემდეგნაირად: მაუსის მარჯვენა ღილაკით ერთხელ ვაწკაპებთ Beat/Bassline 0-ზე და გამოსულ ფანჯარაში ვუცვლით სახელს, ან ნუმერაციას.

სემპლის წაშლა.

მაუსით ერთხელ ვაჭერთ მწვანე ლოგოს და ჩამოშლილ მენიუში ვირჩევთ Remove this track.

აუდიომასალის სია

1. ვ. დოლიძე _ „ცეკვა ქართული“ ოპერიდან „ქეთო და კოტე”
2. ვ. დოლიძე – „ქართული ცეკვა“ ოპერიდან „ქეთო და კოტე” ხალხურ საკრავთა ორკესტრი
3. გ. ჰოლსტის სიუიტა – „პლანეტების მუსიკა“ – მარსი.
4. ვ.ა. მოცარტი – ოპერა – „ჯადოსნური ფლეიტა“. უვერტიურა
5. აუდიოჩანაწერი – „ქალაქის ხმები“
6. ქალაქის ხმა პარიზის ოპერის გარშემო – Around the Paris Opera at Rush Hour
7. ნ. რიმსკი-კორსაკოვი – „კელას გაფრენა“
8. კ. სენ-სანსი – „ვირი“
9. კ. სენ-სანსი – „სპილო“.
10. ჟ. ბიზე – „კარმენი“ მესამე მოქმედების საორკესტრო შესავალი
11. ვ.ა. მოცარტი – „ფიგაროს ქორწინება“. უვერტიურა
12. ი. ბობოხიძე – „მზეო თიბათვისა“ – ასრულებს ჰამლეტ გონაშვილი
13. ჰ. გონაშვილი – „ჭონა“ – ასრულებს ჰამლეტ გონაშვილი
14. ჯ.ფ. სოუსა – მარში – washington post
15. ი.ს. ბახი – კონცერტი ორი კლავესინისათვის c-moll
16. „შინა ვორგილ“- სვანური ხალხური სიმღერა
17. კ. დებიუსი – არაბესკა №2
18. ფ. შოპენი – ნოქტიურნი №9
19. ჯ. გერშვინი – Summer time
20. დ. შოსტაკოვიჩი – საბალეტო სუიტა №1, ვალსი სკერცო
21. ა. ხაჩატურიანი – „ცეკვა ხმლებით“ ბალეტიდან „გაიანე”
22. ი. პუჩიკი – „გლადიატორების მარში“
23. დ. შოსტაკოვიჩი ბალეტ სიუიტა №2, ვალსი
24. Marines’ Hymn (The Halls of Montezuma)
25. „კირია ლესა“-მეგრული საშობაო – ანსამბლი „მერეხი“
26. ლარჭემის ჩანაწერი
27. ართანული ალილო – ფოლკლორული ანსამბლი „მთიები“
28. ე. გრიგი – „დილა“
29. მესხური „მზე შინა“ – ასრულებენ: თინათინ ჟვანია, ნანა ვალიშვილი და ნატო ზუმბაძე
30. რ. ვაგნერი — უვერტიურა ოპერიდან „ტანჰოიზერი”
31. კ. სენ-სანსი -„კარნავალი“ – „აკვარიუმი“
32. კ. სენ-სანსი -„ჭიაღუები“
33. კ. სენ-სანსი -„ფინალი“.
34. ზ. ფალიაშვილი — გუნდი თავისუფლება
35. ლ.ვ. ბეთჰოვენი — სიმფონია №9 ფინალი
36. ფ. შუბერტი – „ავე მარია“
37. „უჩა ბიჭი“ ლაზური ხალხური სიმღერა – ანსამბლი „ლაშარელა“
38. „აჭარული” ფრაგმენტი სუხიშვილების სიუიტიდან „ასა ფართი”
39. პილილის ჩანაწერი
40. ს.პროკოფიევი – „კლასიკური სიმფონია“, I ნაწილი.
41. რ. შტრაუსი – კონცერტი ჰობოისათვის
42. ა. მიზანდარი – „აღმოსავლური მელოდია“
43. აჭარულ-შავშური სიმღერა „ჯილველო“ – ანსამბლი „პატარა გეორგიკა“
44. ლუი არმსტრონგი – „Wonderfull day“.
45. ჯ. გერშვინი „Summer time“
46. ი. შტრაუსი – „სპარსული მარში“
47. „დათოს ფერხული“ – ანსამბლი „მთიები“
48. „ჩაკრულო“ – ასრულებენ ილია ზაქაიძე, როსტომ საგინაშვილი
49. ჯ. ვერდი – მარში ოპერიდან „აიდა“
50. „რაჭული საცეკვაო“ – ანსამბლი „მზეთამზე“
51. თუშური სიმღერა „მთიდან სიმღერით მოვდივართ” ანსამბლი „გეორგიკა”
52. ს. ცინცაძე – II სიმებიანი კვარტეტი – „მზე შინა“

53. ლ. ანდერსონი „Sleigh ride“
54. თუშური საცეკვაო „ლიქოკელი“
55. ლელა თათარაიძე – „თუშური მელოდიები“.

საშობაო-საახალწლო სიმღერების სია

1. რაჭული „ალილო“
2. დალოცვა გუდასტვირზე
3. Deck the Halls
4. Jingle Bells
5. Kids Christmas song
6. We wish you a merry Christmas
7. ვ. კახიძე – „ალილო“
8. მ. დავითაშვილი – „საახალწლო“
9. გერმანული საშობაო სიმღერა
10. რაჭული მრავალჟამიერი

მარშების სია

1. Washington Post (Sousa)
2. The Thunderer (Sousa)
3. Battle Hymn of the Republic (Steffe _ J.W. Howe)
4. Colonel Bogey (K. Afford)
5. ჟ. ბიზე – კარმენი „მარში“

სიმღერების აუდიომასალის სია

1. ს. მირიანაშვილი – „დო რე მი“ – ანსამბლი „მზიური“
2. ს. მირიანაშვილი – „დო რე მი“, „მინუს“ ფონოგრამა
3. მ. დავითაშვილი – „მანანას სიმღერა“ – კინოფილმიდან „მანანა“
4. მ. დავითაშვილი – „მანანას სიმღერა“, „მინუს“ ფონოგრამა
5. რ. როჯერსი – „დო რე მი“ – კინოფილმიდან „მუსიკის ჰანგები“
6. რ. როჯერსი – „დო რე მი“, „მინუს“ ფონოგრამა
7. ლ. იაშვილი – „კომში, კომში“ ასრულებს ვოკალური ანსამბლი „მზიური“
8. ლ. იაშვილი – „კომში, კომში“, „მინუს“ ფონოგრამა
9. თ. კოპალიანი – „დანისლულა ზეცის კიდე“
10. ი. ბობოხიძე – „ფიფქები” ასრულებენ ელენე რაქვიაშვილი და ირაკლი უჩანეიშვილი
11. მ. არაშიძე – „კანფეტების თოვლი“ – სტუდია „ბასტი ბუბუს“ ბავშვები
12. მ. არაშიძე – „კანფეტების თოვლი“, „მინუს“ ფონოგრამა
13. ლ. ბეკმანი – В лесу родилась елочка ასრულებენ ი. გაბუნია, მ. ოთიაშვილი
14. ლ. ბეკმანი – В лесу родилась елочка, „მინუს“ ფონოგრამა
15. რ. როჯერსი – „ედელვაისი“ ასრულებს მ. მამულაშვილი
16. რ. როჯერსი – „ედელვაისი“, „მინუს“ ფონოგრამა
17. ვ. კახიძე – „ანო და ვანო“
18. ვ. კახიძე – „ანო და ვანო“, „მინუს“ ფონოგრამა
19. მ. დავითაშვილი – „პატარა მატარებელი“ – სტუდია „ბასტი-ბუბუს“ ბავშვები
20. მ. დავითაშვილი – „პატარა მატარებელი“, „მინუს“ ფონოგრამა
21. მ. ჩხეიძე – „თოლია“ – ასრულებს ანა ორჯონიკიძე
22. მ. ჩხეიძე – „თოლია“, „მინუს“ ფონოგრამა ასრულებს ია გაბუნია
23. გ. გორდეზიანი – „რა დილა თენდება“ ასრულებს ი. გაბუნია
24. გ. გორდეზიანი – „რა დილა თენდება“, „მინუს“ ფონოგრამა
25. „კირიე ელეისონ” – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II – ასრულებენ მ. როინიშვილი და პ. ცეცხლაძე

26. მ. ოთიაშვილი – „ჩიტი და მელა“ – ასრულებენ ი. გაბუნია, მ. მამულაშვილი, მ. ოთიაშვილი
27. მ. ოთიაშვილი – „ჩიტი და მელა“, „მინუს“ ფონოგრამა
28. ინგლისური სიმღერა „E-I-E-I-O’’
29. ინგლისური სიმღერა „E-I-E-I-O’’ „მინუს“ ფონოგრამა

სიმღერები კლასის კონცერტისათვის

01 ნ. გაბუნია – მეორე ლეგენდა – ასრულებს მ. ოთიაშვილი
02 ნ. გაბუნია – მეორე ლეგენდა „მინუს” ფონოგრამა F dur
03 ნ. გაბუნია – მეორე ლეგენდა „მინუს” ფონოგრამა G dur
04 ჯ. კახიძე – მზის სიმღერა – ასრულებენ ჯანსუღ კახიძე და გოგი დოლიძე
05 ჯ. კახიძე – მზის სიმღერა „მინუს” ფონოგრამა C dur
06 ჯ. კახიძე – მზის სიმღერა „მინუს” ფონოგრამა Fis dur
07 ვ. მაჭავარიანი – სულიკო
08 ვ. მაჭავარიანი – სულიკო „მინუს” ფონოგრამა
09 რ. როჯერსი – „The Lonely Goather’’ – ასრულებს თ. ჭოხონელიძე
10 რ. როჯერსი – „The Lonely Goather’’ „მინუს” ფონოგრამა
11 გ. გორდეზიანი – საახალწლო – ასრულებს მ. ოთიაშვილი
12 გ. გორდეზიანი საახალწლო. „მინუს” ფონოგრამა
13 ს. ცინცაძე – სიმღერა შავ კატაზე – ასრულებს მ. ოთიაშვილი
14 ს. ცინცაძე – სიმღერა შავ კატაზე „მინუს” ფონოგრამა
15 ნ. გაბუნია – „აქარგული-ჩაქარგული” – ასრულებს მ. ოთიაშვილი
16 ნ. გაბუნია – „აქარგული-ჩაქარგული” „მინუს” ფონოგრამა
17 თ. გაბუნია – „გაზაფხულო ლამაზო” – ასრულებს მ. ოთიაშვილი
18 თ. გაბუნია – „გაზაფხულო ლამაზო” „მინუს” ფონოგრამა
19 ი. გურგულია – „საქანელა” – ასრულებენ ია და მაია ოთიაშვილები
20 ი. გურგულია – „საქანელა” „მინუს” ფონოგრამა
21 ი. ბობოხიძე – „ფიფქები” – ასრულებენ ელენე რაქვიაშვილი და ირაკლი უჩანეიშვილი
22 ი. ბობოხიძე – „ფიფქები” „მინუს” ფონოგრამა
23 ნ. გაბუნია – „თოვლი მოდის ციდან” – ასრულებს ია გაბუნია
24 ნ. გაბუნია – „თოვლი მოდის ციდან” „მინუს” ფონოგრამა
25 ხალხური – „ჩონგურს სიმები გავუბი” – ასრულებენ ია და მაია ოთიაშვილები
26 ხალხური – „ჩონგურს სიმები გავუბი” „მინუს” ფონოგრამა
27 გ. ბზვანელი – „სამშობლოს” – ასრულებს მარიამ გიორგობიანი
28 გ. ბზვანელი – „სამშობლოს” „მინუს” ფონოგრამა
29 თ. კოტრაუ – „სანტა ლუჩია” – ასრულებს რობერტინო ლორეტი
30 თ. კოტრაუ – „სანტა ლუჩია” „მინუს” ფონოგრამა
31 ი. გურგულია – „ნაკადულო” – ასრულებს მ. ოთიაშვილი
32 ი. გურგულია – „ნაკადულო” „მინუს” ფონოგრამა
33 გ. მაჭარაშვილი – „ოცნება” – ასრულებს ლიზი ლუკაშვილი
34 გ. მაჭარაშვილი – „ოცნება” „მინუს” ფონოგრამა

ვიდეომასალის საქაღალდეების სია

01 planetebi
02 Big Ben Chime
03 Amazing Clock chimes Marine Hymn honoring Marine Corps in Park at Roodhouse, Illinois
04 Ferry Building Clock Tower at Night San Francisco California
05 My Movie 5
06 mze
07 Kluane Lake Ice Sounds.
08 BAIKAL ICE live sound
09 Merry Christmas From Young Scottish Bagpipers In Scotland
10 O Holy Night Kings College, Cambridge
11 The Ferryboat _ a Scottish dance using Christmas music
12 МАЛЕНЬКОЙ ЕЛОЧКЕ ХОЛОДНО ЗИМОЙ
13 Concerto di natale P.C & Fiammetta & Francesca P. Ave Maria di Nazareth
14 Concerto di Primavera 2000 _ La zanzara
15 Aloiz Mizandari _ tiflis polka 1867
16 Valerian Mizandari 1919 wlis aglumi
17 The Sound Of The Moon
18 Funny! Orchestra plays Microsoft Windows _ the waltz
19 ეს ლამაზი მთები (ბასტი-ბუბუ)

მუსიკალური კოლაჟები

1. საათის ხმა მის გარეშე
2. მი ოსტინატო
3. ცირკი
4. სოფელი
5. სოლ ოსტინატო
6. წვიმა
7. სი ოსტინატო
8. ქალაქის ხმა
9. დო ოსტინატო
10. ტყე
11. რე ოსტინატო
12. მატარებელი
13. ფა ოსტინატო
14. ორკესტრი
15. ლა ოსტინატო
16. ფერმაში
17. პატარა დო ოსტინატო
18. ტელეფონის ზუმერი
19. ჩემი ცხოვრების ერთი დღე
20. მხიარული დღე
21. მწყემსი ბიჭი დო
22. გაკვეთილზე
23. დაბადების დღე

კომპიუტერულ-მუსიკალური პროგრამა LMMS-ის აქტივობები

LMMS აქტივობა 1 ნოტები
LMMS აქტივობა 2 ქალაქი
LMMS აქტივობა 3 ტრანსპორტი
LMMS აქტივობა 4 ზარები
LMMS აქტივობა 5 ნაბიჯები
LMMS აქტივობა 6 ვენერა
LMMS აქტივობა 7 მზე
LMMS აქტივობა 8 მეტრო
LMMS აქტივობა 9 ყინული
LMMS აქტივობა 10 იუპიტერი
LMMS აქტივობა 11 სატურნი
LMMS აქტივობა 12 დედამიწა
LMMS აქტივობა 13 მარსი
LMMS აქტივობა 14 მთვარე
LMMS აქტივობა 15 პლუტონი
LMMS აქტივობა 16 სოფელი
LMMS აქტივობა 17 ინტონაციები 1
LMMS აქტივობა 18 ინტონაციები 2
LMMS აქტივობა 19 ფრაზები
LMMS აქტივობა 20 ერთი დღე

პლანეტების ხმებზე შექმნილი მუსიკალური კოლაჟების აუდიომასალა

დედამიწა mp3
იუპიტერი mp3
მარსი mp3
მთვარე mp3
პლუტონი mp3
სატურნი mp3
ვენერა mp3

მუსიკალური ლექსიკონი

ა

ადაჯიო – (იტალიურად Adagio ნიშნავს ნელა, დინჯად) – ნაწარმოების მშვიდ, ნელ ტემპში შესრულება
ავთენტიკური – თვითმყოფი, ნამდვილი, სარწმუნო, პირველწყაროზე დამყარებული
ავლოსი – სალამურის ტიპის უძველესი ჩასაბერი საკრავი
აკომპანემენტი – ფრანგულად თანხლებას ნიშნავს. მუსიკალური ნაწარმოების, მელოდიის ინსტრუმენტული თანხლება
აკომპანიატორი – მუსიკოსია, რომელიც ინსტრუმენტულ თანხლებას უწევს სოლისტს
აკორდი – იტალიური სიტყვაა და შეთანხმებას ნიშნავს. მუსიკაში სხვადასხვა სიმაღლის ბგერების ერთდროული თანაჟღერადობა, ხმათა შეთანხმება, შეწყობა
ალეგრო – იტალიური სიტყვაა და სწრაფად, ჩქარა შესრულებას ნიშნავს
ალტერაცია (ლათ. Alterare შეცვლა) – მუსიკაში ბგერის 1/2 ან 1 ტონით – ამაღლებას ან დადაბლებას ალტერაცია ეწოდება. იგი აღინიშნება ქრომატული ნიშნებით – დიეზით, დუბლდიეზით, ბემოლით და დუბლბემოლით. დიეზი № ბგერას 1/2 ტონით ამაღლებს, ხოლო ბემოლი – 1/2 ტონით ადაბლებს
ანდანტე – იტალიური სიტყვაა და ზომიერად შესრულებას ნიშნავს
ანსამბლი ფრანგული სიტყვაა და ერთობლიობას ნიშნავს. მუსიკაში – ერთად, შეთანხმებულად დაკვრასა და სიმღერას
ანტრაქტი – ფრანგული სიტყვაა და შესვენებას ნიშნავს (entre — შორის, acte — აქტი, მოქმედება). თეატრში _ მოქმედებებს შორის შესვენებებს
არია – იტალიურად ჰაერს, ქარს ნიშნავს, ოპერაში კი სოლო სიმღერას

ბ

ბალეტი – ფრანგული სიტყვაა და ცეკვას ნიშნავს
ბეკარი – გაუქმების ნიშანია. იგი სანოტო ჩანაწერში აუქმებს ალტერაციის ნიშნებს – დიეზსა და ბემოლს
ბლიც-ოპერა – (გერმანულად blitz ელვას ნიშნავს) პატარა, მცირე ზომის მუსიკალური ნაწარმოები

დ

დირიჟორი – ფრანგული სიტყვაა და ხელმძღვანელს ნიშნავს. დირიჟორობს გუნდს, სიმფონიურ ორკესტრს
დუეტი – ლათინური სიტყვაა და ორი შემსრულებლისაგან შემდგარ ანსამბლს ნიშნავს

ე

ეთნომუსიკოლოგია – ამა თუ იმ ხალხის ეთნიკურ-მუსიკალური ტრადიციების შემსწავლელი მეცნიერება

ეტიუდი – ფრანგული სიტყვაა და შესწავლას ნიშნავს. მუსიკაში ეტიუდი მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრის ტექნიკის გასაუმჯობესებელი პიესაა

ვ

ვალსი – გერმანული სიტყვაა და რწევას, ქანაობას ნიშნავს. მე-19 საუკუნის გერმანულ-ავსტრიული სამეჯლისო ცეკვა
ვარიაცია – ლათინური სიტყვაა variatio შეცვლას, ცვლილებას ნიშნავს, მუსიკაში – მელოდიის სხვადასხვა სახის ცვლილებას.
ვოკალი – vocale იტალიურად ხმას, ხმიანს ნიშნავს

ი

იმიტაცია – ლათინური სიტყვაა და მიბაძვას ნიშნავს

კ

კამერული მუსიკა – (იტალიურად camera ოთახს ნიშნავს) ინსტრუმენტული ან ვოკალური მუსიკა, რომელიც მცირე რაოდენობის შემსრულებლებისთვის არის შექმნილი და სრულდება მცირე ზომის სალონებსა თუ დარბაზებში

კანკანი – (წარმოდგება ფრანგ. სიტყვიდან canard – იხვი) ალჟირული წარმოშობის ჩქარი ცეკვა ორწილადი ზომით.

კაპელმაისტერი – გერმანულად დირიჟორს, ლოტბარს ნიშნავს

კვარტეტი – (ლათ. quartus ოთხი)კამერული ანსამბლი, შემდგარი ოთხი შემსრულებლისგან, რომელთაგან თითოეულს დამოუკიდებელი პარტია აქვს

კვინტეტი – (ლათ. qvinta ხუთი) ხუთი მუსიკოსისაგან შემდგარ ანსამბლი ან ასეთი ანსამბლისათვის შექმნილ ნაწარმოები

კლავიატურა – გერმანული სიტყვაა და ფორტეპიანოზე კლავიშთა ერთობლიობას ნიშნავს

კლავიკორდი – „კლავის“ ლათინურად გასაღებს ნიშნავს, „კორდე“ – სიმს. ფორტეპიანოს წინაპარი კლავიშიანი საკრავი.

კლავიში – ლათინური სიტყვაა და „გასაღებს“ ნიშნავს

კლასიკური – ლათინურად სანიმუშოს, საუკეთესოს, სრულყოფილს ნიშნავს

კომპოზიტორი — ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ადამიანს, რომელიც წერს, იგონებს, ქმნის მუსიკას

კომპოზიცია – ლათინური სიტყვაა და ნაწარმოების შედგენას, შეთხზვას ნიშნავს, მუსიკაში კი მუსიკალური ნაწარმოების შექმნას.

კონსერვატორია – (იტალიური სიტყვაა და თავშესაფარს ნიშნავს) უმაღლესი მუსიკალური სასწავლებელი.

კონტრაპუნქტი – punctum contra punctum (ლათინურად) სიტყვა-სიტყვით წერტილი, წერტილის წინააღმდეგ ნიშნავს, მუსიკაში კი რამდენიმე დამოუკიდებელი ხმის ან მელოდიის ერთდროულ ჰარმონიულ შეწყობას.

კონფერანსიე – ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს კონცერტებისა და წარმოდგენების წამყვანს, მონაწილეთა გამომცხადებელს; მსახიობს, რომელიც მაყურებელს ართობს სახუმარო ამბებითა და მახვილსიტყვაობით

კონცერტი – ლათინური სიტყვაა და შეჯიბრს, შეთანხმებას ნიშნავს

ლ

ლაიტმოტივი – მუსიკალური თემა, რომელიც ახასიათებს რომელიმე გმირს, პერსონაჟს ან რაიმე მოვლენას

ლეგატო – იტალიური სიტყვაა და მუსიკალური ნაწარმოების გადაბმულად სიმღერა-დაკვრას ნიშნავს

ლიბრეტო – იტალიურად პატარა წიგნს ნიშნავს. ლიბრეტო ოპერის სიტყვიერი ტექსტია, რომელშიც გადმოცემულია ოპერის შინაარსი.

ლოტბარი – **მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი**

მ

მაჟორი – ფრანგული სიტყვაა და „დიდს“, „მტკიცეს“ ნიშნავს. მაჟორულ ტონალობებში მხიარული, სადღესასწაულო ხასიათის ნაწარმოებები იწერება

მარში – marche ფრანგული სიტყვაა და სიარულს, სვლას ნიშნავს. მუსიკალური ნაწარმოები მკაფიო, მწყობრი რიტმით, ზომა – 2/4 ან 4/4.

მელოდია – ბერძნული სიტყვაა და სიმღერას ნიშნავს

მენუეტი – ფრანგული სიტყვაა და მცირეს, პატარას ნიშნავს. მენუეტი მე-17-18 საუკუნეების ფრან-

გული სამეჯლისო ცეკვაა. ახასიათებს ზომიერი ტემპი და ¾ ზომა
მესა – საეკლესიო მუსიკალური ფორმა, რომელიც კათოლიკურ ეკლესიაში სრულდება წირვის დროს. ესაა დიდი მრავალნაწილიანი ნაწარმოები სოლისტი მომღერლების, გუნდისა და ორკესტრისათვის
მეცოპიანო – იტალიური სიტყვაა და ზომიერად ხმადაბლა შესრულებას ნიშნავს
მეცოფორტე – იტალიური სიტყვაა და ზომიერად ხმამაღლა შესრულებას ნიშნავს
მინორი – ფრანგული სიტყვაა და მცირეს, პატარას ნიშნავს. მინორულ ტონალობებში ხშირად სევდიანი ხასიათის ნაწარმოებები იწერება
მისამღერი – ეს არის სიმღერის ის ნაწილი, რომელიც კუპლეტებს შორის მეორდება
მოდერატო – moderato იტალიური სიტყვაა და ნაწარმოების ზომიერად შესრულებას ნიშნავს
მოტივი – motivo იტალიური სიტყვაა და საფუძველს, მამოძრავებელ ძალას ნიშნავს. მუსიკაში, კი მუსიკალური ნაწარმოების ან სიმღერის უმცირეს ნაწილს, რომელიც ნათლად გამოხატავს ძირითადი მელოდიის ხასიათსა და განწყობას. უმეტესად მოტივები 1-2 ტაქტისგან შედგება
მუსიკა – ხელოვნების დარგი, რომელიც სინამდვილეს ასახავს მუსიკალური მხატვრული ფორმებითა და განსაზღვრული წესით ორგანიზებული მუსიკალური ბგერების მეშვეობით.
musikaluri kolaJi _ (coller ფრანგული სიტყვაა და შეწებებას ნიშნავს) ხელოვნებაში კი განსხვავებული ფორმების ნაწილებისაგან ახალი მთლიანის შექმნას. მუსიკაში – სხვადასხვა დამოუკიდებელი მოტივებისაგან შედგენილი ახალი მუსიკალური კომპოზიცია

ნ

ნევმები – ძველბერძნულად სუნთქვას ნიშნავს. მუსიკალური დამწერლობის შუასაუკუნოვანი სისტემა. ნევმები არ განსაზღვრავდა ბგერის ზუსტ სიმაღლესა და არც გრძლიობას
ნოტი – (ლათინურად nota ნიშანს ნიშნავს) მუსიკალური ბგერის პირობითი გრაფიკული ნიშანი

ო

ოპერა – opera იტალიური სიტყვაა და ნაწარმოებს ნიშნავს 1. თეატრი, სადაც მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებები იდგმება. 2. მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები, რომელშიც ერთმანეთს ეხამება ვოკალური (სოლო, გუნდი, ანსამბლი) და ინსტრუმენტული მუსიკა, ცეკვა, მხატვრობა, სცენოგრაფია
ორკესტრი – მუსიკოსთა დიდი ჯგუფი, რომლებიც ერთდროულად უკრავენ
სხვადასხვა საკრავზე
ოსტინატო – (იტალიურად ostinato **ნიშნავს დაჟინებულს, ჯიუტს) ერთი ბგერის, მელოდიური ფრაზის ან რიტმული ფიგურის მრავალგზის დაჟინებული განმეორება**

პ

პა-დე-დე – ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ორ ნაბიჯს, ბალეტში – წყვილის
ცეკვას
პარტიტურა – იტალიური სიტყვაა და განაწილებას, დაყოფას ნიშნავს. მუსიკაში – მრავალხმიანი მუსიკალური ნაწარმოების ყველა (ვოკალური და ინსტრუმენტული) პარტიის ერთობლიობა; ნოტების წიგნი, რომელიც შეიცავს ასეთი ნაწარმოების ყველა პარტიის ჩანაწერს
პასიონი – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს წამებას, ვნებას. მუსიკაში –
ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოები აგებული სახარებისეულ ტექსტზე
პაუზა – ლათინური სიტყვაა და შეწყვეტას, გაჩერებას, შესვენებას ნიშნავს;
მუსიკაში კი – მუსიკალური ნაწარმოების შესრულებისას ხმოვანების შეწყვეტას
პიანო – იტალიური სიტყვაა და ხმადაბლა შესრულებას ნიშნავს. აღინიშნება ასე - p
პიესა – ფრანგული სიტყვაა და ნაწარმოებს ნიშნავს
პოპმუსიკა – თანამედროვე, პოპულარული, საესტრადო მუსიკის გავრცელებული სახეობა
პოპური – ფრანგული სიტყვაა და შერეულ კერძს ნიშნავს. 1. ნარევი, ნაზავი. 2. მუსიკალური პიესა, რომელიც სხვადასხვა ნაწარმოებებიდან ამოღებული მუსიკალური ნაწყვეტებისაგან შედგება – ერთგვარი მუსიკალური კოლაჟი
პრეამბულა – préambule ფრანგული სიტყვაა და „შესავალს“ ნიშნავს
პროფესიული მუსიკა – კომპოზიტორის მიერ დაწერილ მუსიკას პროფესიული ჰქვია

ჟ

ჟანრი – ფრანგული სიტყვაა და „სახეობას“ ნიშნავს. მუსიკაში მრავალნაირი ჟანრია: კამერული, სიმფონიური, საოპერო, ვოკალური, ინსტრუმენტული და სხვ.

რ

რეგენტი – ლათინური სიტყვაა და მმართველს ნიშნავს. მუსიკაში – მგალობელთა გუნდის ლოტბარს
რეგისტრი – (ლათინურად registrum სიას ნიშნავს) ადამიანის ხმის ან საკრავის ხმოვანების სიმაღლე. არსებობს დაბალი, საშუალო და მაღალი რეგისტრის ბგერები
რეკვიემი – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „განუსვენე სამარადისოდ“, მუსიკაში კი რეკვიემი სამგლოვიარო ხასიათის დიდი ფორმის ნაწარმოებია გუნდისა და ორკესტრისათვის
რეპეტიცია – ლათინური სიტყვაა და გამეორებას ნიშნავს
რიტმი – ბგერების გრძლიობათა თანაზომიერი მონაცვლეობა
რონდო – ფრანგული სიტყვაა და ფერხულს, წრეში ცეკვა-სიმღერას ნიშნავს. მუსიკაში ნაწარმოების ფორმას, სადაც ერთი ძირითადი თემა-რეფრენი რამდენჯერმე მეორდება

ს

სიმფონია – ბერძნული სიტყვაა და კეთილხმოვანებას ნიშნავს. მუსიკაში დიდი ფორმის ნაწარმოებია სიმფონიური ორკესტრის შესრულებით
სოლისტი – მუსიკოსი ან მომღერალი, რომელიც მარტო უკრავს ან მღერის
სოლო – იტალიური სიტყვაა და ერთს, ერთადერთს ნიშნავს
სონატა – წარმოდგება იტალიური სიტყვიდან - sonare, რაც ჟღერადობას ნიშნავს. მუსიკაში ერთი ან ორი საკრავისთვის დაწერილი დიდი ფორმის ნაწარმოები
სონატინა – მცირე ფორმის პატარა სონატა
სტაკატო – იტალიური სიტყვაა და მუსიკალური ნაწარმოების მოწყვეტით შესრულებას ნიშნავს
სუიტა – ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს „თანამიმდევრობას“, მუსიკაში ეწოდება რამდენიმე დამოუკიდებელი პიესისაგან შემდგარ დიდი ფორმის ნაწარმოებს

ტ

ტონიკა – იტალიური სიტყვაა. მუსიკაში ნიშნავს გამის პირველ საფეხურს
ტრიო – ლათინური სიტყვაა და სამი მუსიკოსისგან შემდგარ ანსამბლს ნიშნავს
ტრეკი – ინგლისური სიტყვაა და ნაკვალევს, გზას ნიშნავს. მუსიკაში – მუსიკალურ გზას. კომპიუტერულ პროგრამაში ტრეკებზეა განლაგებული ადამიანის ან საკრავის ხმა

უ

უვერტიურა – ფრანგულად ouverture – დასაწყისს, გახსნას, შესავალს ნიშნავს. უვერტიურით იწყება ოპერა, ბალეტი, ოპერეტა, დრამატული სპექტაკლი.
მე-19 ს-ში უვერტიურამ სონატური ალეგროს ფორმაში დაწერილი ერთნაწილიანი, დამოუკიდებელი საორკესტრო ნაწარმოების ფორმა მიიღო

ფ

ფერხული – წრეში ცეკვა-სიმღერას ნიშნავს
ფინალი – იტალიური სიტყვაა და დასასრულს ნიშნავს, მუსიკაში კი მუსიკალური ნაწარმოებების (სიმფონია, კონცერტი, კვარტეტი და ა.შ.) დასასრულს - დასკვნით ნაწილს
ფოლკლორი – ინგლისური სიტყვაა და ხალხურ სიბრძნეს ნიშნავს. მუსიკალური ფოლკლორი ხალხურ მუსიკას ნიშნავს
ფოლკლორისტი – მეცნიერი, რომელიც სწავლობს ხალხურ შემოქმედებას
ფორტე – იტალიური სიტყვაა და ხმამაღლა შესრულებას ნიშნავს. აღინიშნება ასე – f

ფრაზა (ბერძ. phrasis გამოთქმა) – 1. დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა. 2. მუსიკალური თემის პატარა, შედარებით დასრულებული ნაწილი. ფრაზა შეიძლება შედგებოდეს ორი ან სამი მოტივისაგან

შ

შაირი – სახუმარო ლექსი და სიმღერაა

ხ

ხემი – ხის ჯოხი, რომელზეც გაჭიმულია ცხენის ძუა. ხემით უკრავენ ვიოლინოზე, ჩელოსა და ზოგიერთ სხვა სიმებიან საკრავზე

ჯ

ჯაზი – ინგლისური სიტყვაა და ველურ ქცევას ნიშნავს. მიმართულება მუსიკაში, რომელიც მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე შეიქმნა აშშ-ის სამხრეთში შავკანიანი მოსახლეობის გარემოში. ჯაზისთვის დამახასიათებელია იმპროვიზაცია

ჯაზ-ბენდი – ინგლისური სიტყვაა და ჯაზ-ორკესტრს ნიშნავს, რომლის შემადგენლობაშია: კონტრაბასი, როიალი, სასულე და დასარტყამი ინსტრუმენტები. ჯაზ-ბენდი ასრულებს ჯაზურ მუსიკას

ჰ

ჰიმნი – ბერძნული სიტყვაა და სადიდებელ სიმღერას ნიშნავს

ამ სახელმძღვანელოს გაყიდვის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში,
გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ცხელ ხაზზე (+995 32) 2 200 200

დამატებითი ინფორმაცია სახელმძღვანელოს/სერიის შესახებ
იხილეთ ვებ-გვერდზე:

დაფინანსებულია „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით
უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში